

არასამთავრობო ორგანიზაციათა
კოალიცია სამოქალაქო
საზოგადოება დემოკრატიული
საქართველოსთვის

საქართველოს არასამთავრობო
ორგანიზაციათა კონგრესი

კოალიციის

სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული საქართველოსთვის

კოალიციის შექმნის იდეა გაჩნდა 2005 წლის 20 დეკემბერს, როგორც საპასუხო რეაქცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მიმართ განხორციელებულ არაკანონიერ ქმედებებზე.

სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა 12 სამოქალაქო ორგანიზაციის გაერთიანება, რომელიც მიზნად ისახავს დაიცვას კანონი და სამართალ-დაცვითი ორგანოების დამოუკიდებლობა საქართველოში.

კოალიციის მიზნები:

კოალიცია მოწოდებულია ხელი შეუწყოს:

- ✓ სამოქალაქო საზოგადოების კონსოლიდაციას, განმტკიცებასა და განვითარებას;
- ✓ საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დამკვიდრებასა და დაცვას საქართველოში;
- ✓ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას;
- ✓ კანონის უზენაესობის დამკვიდრებას;
- ✓ საზოგადოების მასმედიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ობიექტურ და უწყვეტ ინფორმირებას საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ - პოლიტიკურ პროცესებზე;
- ✓ ხელისუფლების საქმიანობაზე სამოქალაქო საზოგადოების კონტროლის უზრუნველყოფას;

კოალიციის სტრატეგიული მიმართულებები:

საზოგადოებასთან ურთიერთობა:

- ✓ მედიის, ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების, უცხოური მისიების რეგულარული განახლება საქართველოს სოციალური და პოლიტიკური განვითარებისთვის;
- ✓ მედიის განვითარებისა და დამოუკიდებლობისთვის ხელის შეწყობა;

სარედაქციო საბჭო:

ირინა ფუტყარაძე
ლაშა ბლიაძე
ლაშა ჩხარტიშვილი

სამართლებრივი სფერო:

- ✓ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი კანონმდებლობის ანალიზი;
- ✓ იურიდიული დახმარების გაწევა მოქალაქეებისთვის;

კონფლიქტები და რეგიონული უსაფრთხოება — სტრატეგიული ანალიზი;

არჩევნები და პოლიტიკური პარტიები (ადგილობრივი და ცენტრალური არჩევნების მონიტორინგი, პოლიტიკური პლურალიზმისთვის ხელის შეწყობა);

კოალიციის წესდება

კოალიციის დამფუძნებლებმა შეიმუშავეს წესდება წევრობის, მიზნებისა და აქტივობების ფორმების შესახებ.

კოალიციაში გაწევრიანება შეუძლია ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს.

კოალიციის მიმდინარე აქტივობები:

20 დეკემბერი, 2005 წელი, პრესკონფერენცია მოსამართლეები, იურისტები, ჟურნალისტები დამოუკიდებელი სასამართლოსთვის (სასტუმრო „თბილისი მარიოტი“);

23 დეკემბერი, 2005 წელი, კონფერენცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მხარდასაჭერად (სასტუმრო თბილისი მარიოტი) მონაწილეობა მიიღო სამოცხე მეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ;

12 იანვარი, 2006 წელი, პრესკონფერენცია (სასტუმრო თორი), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მხარდასაჭერად,

მასზე განხორციელებული ზეწოლის წინააღმდეგ. გამოიცა მიმართვა, რომელსაც ორმოცმა ორგანიზაციამ მოაწერა ხელი;

13 იანვარი, 2006 წელი, ერთიანი მოხსენება, რომელსაც ხელი მოაწერა სამოცდაათზე მეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რათა მხარი დაეჭირათ სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის საქართველოში;

25 იანვარი, 2006 წელი, კონფერენცია ადამიანის უფლებების სფეროში არსებული მდგომარეობა საქართველოში 2005 წლისთვის (შერატონ მეტეხი პალასი);

14 თებერვალი, 2006 წელი, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში არსებული დარღვევებისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია;

თებერვალ-მარტი, 2006 წელი, მთელი რიგი აქტივობები სანდრო გირგვლიანის მკვლელობასა და მის შედეგებთან მიმართებაში საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად;

10 მარტი, 2006 წელი, თბილისის კინოს სახლში გამართული შეხვედრა სანდრო გირგვლიანის ოჯახის წევრების მონაწილეობით;

13 მარტი, 2006 წელი, პრესკონფერენცია სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით განცხადების გაკეთება და საზოგადოებისთვის დაგეგმილი აქტივობების გაცნობა კოალიციის მიერ (საია-ს ოფისი);

16 მარტი, 2006 წელი, მიმართვა მძლოლეებისადმი და შესაბამისი კამპანია ქალაქის მასშტაბით დაუსიგნალე სიცოცხლეს;

17 მარტი, 2006 წელი, სანდრო გირგვლიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფართომასშტაბიანი დემონსტრაცია სახელმწიფო კანცელარიის შენობის წინ;

18 მარტი, 2006 წელი, კონფერენცია განათლებისა და მეცნიერე-

ბის რეფორმა საქართველოში (90 მონაწილე, სასტუმრო „თბილისი მარიოტი“);

20 მარტი, 2006 წელი, მრგვალი მაგიდა ჯავახეთის პრობლემების განსახილველად, ჯავახეთის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მოსმენა (დაახლოებით 40 მონაწილე, სასტუმრო ქორთიარდ მარიოტი);

24 მარტი, 2006 წელი, კოალიციისა და პოლიტიკური პარტიების მიერ ერთობლივად მომზადებული და ხელმოწერილი მემორანდუმი;

28 მარტი, 2006 წელი, პრესკონფერენცია საქართველოს მოქალაქეების მისამართით გაკეთებული განცხადება მეხუთე იზოლატორში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენასთან დაკავშირებით;

4 აპრილი, 2006 წელი, პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა კოალიციის ინიციატივას, შექმნილიყო დამოუკიდებელი საგამოძიებო ჯგუფი სანდრო გირგვლიანის მკვლელობისა და 27 მარტს თბილისის მეხუთე იზოლატორში დაღუპულთა საქმეების გამოსაძიებლად. კოალიციამ მიმართა საზოგადოებას თხოვნით, მხარი დაეჭირათ ამ ინიციატივისთვის. ჩვენ გვჯერა, რომ ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს თანამდებობის პირთა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩადენილი დანაშაულებების დამოუკიდებელ გამოძიებას (პრესკონფერენცია გაიმართა კონსტიტუციის 42-ე მუხლის ოფისში);

1 მაისი, 2006 წელი, კოალიციის მიმართვა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსადმი, რათა აზერ რამიზ ოგლუ სამედოვისთვის მიენიჭებინათ ლტოლვილის სტატუსი საქართველოში, რადგანაც ის არის საქართველოში რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციის კავკასიური ცენტრი რწმენისა და ცნობიერების დასაცავად თავმჯდომარე. მოხდა მისი დაკავება და ექსტრადირება აზერბაიჯანში;

7 ივნისი, 2006 წელი, კოალიციის მიმართვა ქართულ საზოგადოებას, საერთაშორისო და დიპლომატიურ მისიებს — 7 ივნისს,

არასამთავრობო ორგანიზაცია მრავალეროვანი საქართველოს ოფისი გაძარცვეს და წაიღეს კომპიუტერები. ფული ხელუხლებელი იყო. კოალიცია ეჭვობს, რომ ქურდები უბრალო კრიმინალები არ იყვნენ და თხოვნით მიმართავს საიდუმლო საქმეთა სააგენტოს, შეწყვიტოს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში ჩარევა;

29 ივნისი, 2006 წელი, კოალიციის მიმართვა საერთაშორისო საზოგადოებისადმი. არასამთავრობო ორგანიზაციების 5 წარმომადგენელი (ირაკლი კაკაბაძე, ლაშა ჩხარტიშვილი, ზურაბ რთველიაშვილი, დავით დალაქიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი) დააპატიმრეს, როდესაც ისინი მართავდნენ საპროტესტო აქციას სასამართლოს ეზოში და სარგებლობდნენ სიტყვის თავისუფლების უფლებით. ისინი აპროტესტებდნენ ქალაქის სასამართლოს მიერ ტელევიზია 202-ის დამფუძნებლების (შალვა რამიშვილი, დავით კოხრეიძე) წინააღმდეგ გამოტანილ განაჩენს;

19 ივლისი, 2006 წელი, კოალიციის ქალმა წარმომადგენლებმა სოლიდარობა გამოუცხადეს პატიმრებს (ირაკლი კაკაბაძე, ლაშა ჩხარტიშვილი, ზურაბ რთველიაშვილი, დავით დალაქიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი). ქალები დაარბიეს მცველებმა და აიძულეს, დაეტოვებინათ სასამართლოს ეზო;

4 აგვისტო, 2006 წელი, კოალიციამ მოაწყო პრესკონფერენცია და ირაკლი ბათიაშვილის დაპატიმრების ფაქტი შეაფასა, როგორც ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული რეპრესია, ხოლო ირაკლი ბათიაშვილს პოლიტიკური პატიმარი უწოდა;

8 აგვისტო, 2006 წელი, არასამთავრობო ორგანიზაცია თანასწორობის ინსტიტუტის წარმომადგენელი ლაშა ჩხარტიშვილი დააპატიმრეს სასამართლოში არეულობის შეტანის ბრალდებით. თუმცა რამე დამამტკიცებელი საბუთი მის წინააღმდეგ არ წარუდგენიათ;

9 აგვისტო, 2006 წელი, პრესკონფერენცია, რომელიც ამ არაკანონიერ დაკავებას ეხებოდა;

20 სექტემბერი, 2006 წელი, ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რომელიც ეხებოდა პენიტენციურ სისტემაში არსებულ გაუსაძლის მდგომარეობას. არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ გამართა პრესკონფერენცია პენიტენციურ სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ. კერძოდ, ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევა, ცუდად მოპყრობა და წამება. მიმართვა დაეგზავნა ადამიანისა და სამოქალაქო უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს;

20 ოქტომბერი, 2006 წელი, არასამთავრობო ორგანიზაცია თანასწორობის ინსტიტუტმა და არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ სახელმწიფო კანცელარიის შენობის წინ გამართა მშვიდობიანი, მუსიკალური აქცია არა — ძალადობას. ხელოვანებმა, პოეტებმა და მუსიკოსებმა გამოსატყეხ თავიანთი დამოკიდებულება ძალადობის მიმართ. ასევე წარმოდგენილი იყო ფოტო და ვიდეომასალა. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრებისა და მანიფესტაციების შესახებ არსებული კანონის თანახმად, ორგანიზატორებს ჰქონდათ ოფიციალური ნებართვა აქცია განეგრძოთ ღამის 12 საათამდე, ის დაარბია პატრულმა 7 საათსა და 5 წუთზე;

25 ოქტომბერი, 2006 წელი, არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციამ ჩაატარა კონფერენცია, რომელიც ეხებოდა აზრის გამოხატვის თავისუფლებას საქართველოში. კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია და დაგმეს ეროვნული ლიბერალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, პაციფისტისა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მომხრე ირაკლი ბათიაშვილის მიმართ განხორციელებული არაკანონიერი და არადამიანური მოპყრობის ფაქტი, ასევე სხვადასხვა შეხვედრებისა და მანიფესტაციების დარბევა, ათობით ადამიანის დაპატიმრება, თანასწორობის ინსტიტუტის წევრების (ირაკლი კაკაბაძე, ლაშა ჩხარტიშვილი, ზურაბ რთველიაშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი, დავით დალაქიშვილი, და სხვა.) დაკავება;

30 ოქტომბერი, 2006 წელი, კოალიციამ შექმნა საინფორმაციო ცენტრი, რათა შეეფასებინა საქართველოში არსებული სიტუაცია

ქვეყანაში მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობებისთვის ინფორმაციის მიწოდების საშუალებით.

დაფუძნებლები

დაარსების წელი

- ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი (2000)
- კონსტიტუციის 42-ე მუხლი (1997)
- კონსტიტუციური უფლებების დაცვის ქსელი (2002)
- კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი (1997)
- კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი (1994)
- ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრი ობიექტივი (2002)
- საზოგადოებრივი მოძრაობა მრავალეროვნული საქართველო (1999)
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (1994)
- საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია (2000)
- სოციალურ მეცნიერებათა ახალგაზრდული ასოციაცია (ახალგაზრდული ალტერნატივა) (2004)
- ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის (1996)

კოალიციის საკოორდინაციო საბჭო:

1. ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი, **ურა ნანუაშვილი**
2. თანასწორობის ინსტიტუტი, **ირაკლი კაკაბაძე**
3. კავკასიის ქალთა ქსელი, **ნინო ციხისთავი**
4. კანონის სახალხო ტრიბუნალი, **ნინო გვენეტაძე**
5. კონსტიტუციის 42-ე მუხლი, **მანანა კობახიძე**
6. კონსტიტუციური უფლებების დაცვის ქსელი, **ალექსი შოშიკელაშვილი**
7. კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი, **კობა ბოჭორიშვილი**
8. კონფლიქტისა და მოლაპარაკების საინფორმაციო ცენტრი, **გიორგი ხუციშვილი**
9. ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრი ობიექტივი, **ირმა ინაშვილი**
10. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, **გიორგი ჩხეიძე**
11. სახალხო მოძრაობა მრავალეროვნული საქართველო, **არნოლდ სტეფანიაძე**
12. სოციალურ მეცნიერებათა ახალგაზრდული ასოციაცია (ახალგაზრდული ალტერნატივა), **ლაშა ბლიაძე**
13. ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის, **ნანა კაკაბაძე**

კოალიციის სამდივნო:

კოალიციის სამდივნოს აღმასრულებელი მდივანი:

ირინა ფუტკარაძე („ჯანმრთელი სამყაროს“ წარმომადგენელი)

georgian.ngocoalition@yahoo.com

საკონტაქტო ინფორმაცია:


- kobacpcr@caucasus.net
- gelaniko@yahoo.com
- nanakakabadze2005@yahoo.com
- shoshikelashvili@yahoo.com
- gyla@gyla.ge
- hridc@hridc.org
- kgeorge@iccn.ge
- equality_institute@yahoo.com
- cwn@access.sanet.ge
- alternativa@caucasus.net
- hwngo@yahoo.com
- pmmg@caucasus.net

კოალიციის ვებ-გვერდის მისამართი:

www.ngocoalition.org

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული საქართველოსთვის“

კოალიციის ახმუშობა



„ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი“

დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს

ორგანიზაციის მუშაობის ძირითადი მიმართულებებია:

იურიდიული დახმარება - ადამიანის უფლებათა ცენტრში ფუნქციონებს უფასო იურიდიული დახმარების ცენტრი, სადაც მოქალაქეებს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საკითხებში სატელეფონო, პირადი კონსულტაციითა და სასამართლო წარმომადგენლობით უზრუნველყოფენ.

ინფორმაცია - ცენტრის ბაზაზე შექმნილია ქართულ-ინგლისური ინტერნეტ გაზეთი, ვებ-პორტალი და მონაცემთა ბაზა www.HumanRights.ge, სადაც ყოველდღიურად შუქდება ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მიმდინარე პროცესები. აქვე შეგიძლიათ გაეცნოთ კანონმდებლობას, ანგარიშებს, ანალიტიკურ სტატიებსა და სხვა საინტერესო რესურსებს.

განათლება/საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება - ცენტრი რეგულარულად მართავს ტრენინგ-სემინარებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის ადამიანის უფლებათა საკითხების შესახებ. ადამიანის უფლებათა ცენტრი თარგმნის და გამოსცემს ანგარიშებს, სახელმძღვანელოებს, ცნობარებსა და საინფორმაციო ბუკლეტებს.

მონიტორინგი — ორგანიზაცია ატარებს ადამიანის უფლებათა მონიტორინგს. ახორციელებს კონკრეტული დარღვევებისა და ფაქტების შესწავლას.

რეპორტიინგი - ორგანიზაცია ევროპის საბჭოს, ევროპის კავშირს, ეუთოს, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ობიექტურ ინფორმაციას რეგულარულად აწვდის.

ლობირება - ცენტრი ლობირებას უწევს ადამიანის უფლებათა მხარდამჭერი კანონმდებლობისა და სხვა ინიციატივების განხორციელებას საქართველოში.

ცენტრი მუშაობს შემდეგ პროგრამებზე:

ბავშვთა უფლებები; ქალთა უფლებები; ტრეფიკინგი; ლტოლვილები; მედია; პოლიცია და ადამიანის უფლებები; კონფლიქტების პრევენ-

ცია; ადამიანის უფლებათა საკითხში განათლება; სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები;

ცენტრი განვერთანებულია შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ქსელებში:

- ✓ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH);
- ✓ წამების წინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS-წამება);
- ✓ ადამიანის უფლებები საზღვრებს გარეშე (HRWB);
- ✓ ადამიანის უფლებათა ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საერთაშორისო სისტემები (HURIDOCS);
- ✓ მშვიდობის საერთაშორისო ბიურო (IPB);
- ✓ ბავშვთა უფლებების საინფორმაციო ქსელი (CRIN);
- ✓ სამოქალაქო მშვიდობის სამსახურების ევროპული ქსელი (EN. CPS);
- ✓ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (ICC);
- ✓ UNITED for Intercultural Action - ევროპული ქსელი ნაციონალიზმის, რასიზმის, ფაშიზმის წინააღმდეგ და მიგრანტებისა და ლტოლვილების მხარდასაჭერად.

ორგანიზაცია გამოხატავს მადლიერებას იმ ორგანიზაციებისა და ფონდების მიმართ, რომლებმაც ცენტრს აღმოუჩინეს ფინანსური დახმარება სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების განხორციელებაში. მათ შორის არიან:

- ✓ გაეროს ფონდი მონობის თანამედროვე ფორმების წინააღმდეგ;
- ✓ გაეროს ბავშვთა ფონდი;
- ✓ ევროპის საბჭო;
- ✓ ეუთო;
- ✓ ევროკომისია;
- ✓ ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის (აშშ);
- ✓ ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდი (დიდი ბრიტანეთი);
- ✓ კანადის საელჩო;
- ✓ კორდეიდი (ნიდერლანდები);
- ✓ მსოფლიო ბანკი;
- ✓ ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო/ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი;
- ✓ ნორვეგიის ადამიანის უფლებათა ფონდი;
- ✓ ნიდერლანდების სამეფოს საელჩო;
- ✓ საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და განვითარების თანამშრომლობის გენერალური სამდივნო (YDAS);

- ✓ ფრიდრიხ ებერტის ფონდი;
- ✓ ღია საზოგადოების ინსტიტუტი (ბუდაპეშტი, უნგრეთი);
- ✓ შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო;
- ✓ შვედური ინსტიტუტი;
- ✓ ციხის საერთაშორისო რეფორმა/ევროკავშირი;

მისამართი: თბილისი, 0105, რუსთაველის გამზ. 1, V სად., IV სართ., ბინა 68

ტელ.: (995 32) 99 04 02; (995 32) 45 45 33
 ფაქსი: (995 32) 99 08 01
 ელ-ფოსტა: hridc@hridc.org
 ვებ-გვერდი: www.hridc.org www.HumanRights.ge

თანასწორობის ინსტიტუტი

არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტი“ შეიქმნა 2006 წლის დასაწყისში. ორგანიზაციის შექმნის ინიციატორები იყვნენ: კონფლიქტოლოგი ირაკლი კაკაბაძე, ეკოლოგი ლაშა ჩხარტიშვილი, მწერალი ზურაბ რთველიაშვილი, იურისტი ზვიად ბოკუჩავა და პროგრამისტი მიხეილ კაჭკაჭიშვილი. ორგანიზაციაში განევრიანება შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს წესდებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

თანასწორობის ინსტიტუტის მიზნებია:

- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვა;
- სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური უფლებების დაცვა;
- კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ხელშეწყობა;
- ორგანიზაცია შეიძლება ეწეოდეს ნებისმიერი სახის საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და რომელიც პირდაპირ და/ან არაპირდაპირ ემსახურება ორგანიზაციის მიზნების განხორციელებას.

ორგანიზაციის მიერ საწყის ეტაპზე გამოიყო საქმიანობის რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება, ესენია: სამართალდამცავ და პენიტენციურ სისტემებში შემავალი სტრუქტურების საქმიანობის მონიტორინგი, სასამართლოს ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობისათვის ხელშეწყობა, არაძალადობის იდეის პოპულარიზაცია, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების მონიტორინგი და შეფასება გარემოს დაცვის თვალსაზრისით მიზანშეწონილობის კუთხით, ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის მხარდაჭერა.

დასახული პრიორიტეტების ფარგლებში „თანასწორობის ინსტიტუტმა“ აწარმოა ფართომასშტაბიანი საპროტესტო საზოგადოებრივი კამპანიები: „საქართველო სიკვდილის ბრიგადების გარეშე“ და „არა ადამიანთა წამებას სასჯელალსრულების დაწესებულებებში“, რომელთა ფარგლებში გაიმართა ათობით პრესკონფერენცია და სხვადასხვა სახის საპროტესტო მიტინგი თუ მანიფესტაცია.

„საქართველო სიკვდილის ბრიგადების გარეშე“ წარმოებულ იქნა კამპანია შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან გადამეტებული ძალის გამოყენებისა და ამ სტრუქტურის წარმომადგენლების, მათ შორის მაღალჩინოსნების მიერ ჩადენილი მკვლელობების ობიექტური და გამჭვირვალე გამოძიებისა და დამნაშავეთა დასჯის მოთხოვნით. ამ კამპანიის ფარგლებში ყველაზე მეტად გახმაურდა სანდრო გირგვლიანის და ამირან რობაქიძის მკვლელობის სწრაფი და სამართლიანი გამოძიებისთვის ხელშეწყობის მიზნით გამართული ღონისძიებები. სწორედ ამ მოთხოვნების გაუღერების მიზნით გამართულ მშვიდობიან საპროტესტო აქციებს მოჰყვა შედეგად ხელისუფლების მიერ ორგანიზაციის ხელმძღვანელებისა და აქტივისტების ირაკლი კაკაბაძის, ლაშა ჩხარტიშვილის, ზურაბ რთველიაშვილის, დავით დალაქიშვილის ჯაბა ჯიშკარიანისა და ლევან გოგიჩაიშვილის მრავალგზის უკანონოდ დაპატიმრება და დაჯარიმება, ასევე მათ წინააღმდეგ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის არაერთი აქტი.

„არა ადამიანთა წამებას სასჯელალსრულების სისტემის დაწესებულებებში“ ამ კამპანიის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებს შორის ყველაზე ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი შეიძინა პატიმარ გიორგი მიქიაშვილთან დაკავშირებულმა საქმემ. იგი 2005 წლის 29 ოქტომბერს დაკავებისას სასტიკად იქნა ნაცემი საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მიერ, რამაც მისი ჯანმრთელობის ფსიქიკური სფეროს სერიოზული დაზიანება გამოიწვია. მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა წამებამ, რომლის მსხვერპლიც ის არაერთხელ გახდა სწორედ პენიტენციურ სისტემაში შემავალ დაწესებულებებში. უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი გ. მიქიაშვილის გადარჩენის მიზნით, მისი სათანადო პროფილის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის მოთხოვნით გაიმართა არაერთი საპროტესტო ხასიათის ღონისძიება. იმან, რომ ამის მიუხედავად ხელისუფლებამ არ დააკმაყოფილა ეს ელემენტარული და სამართლიანი მოთხოვნა, წარმოშვა აუცილებლობა შექმნილიყო „გიორგი მიქიაშვილის გადარჩენის საერთაშორისო კომიტეტი“.

მუსიკალური საპროტესტო აქცია „არა ძალადობას“ გაიმართა 2006 წლის 20 ოქტომბერს. ამ ღონისძიების ფარგლებში

ხელოვანებმა დაგმეს ნებისმიერი სახის ძალადობა. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ხელისუფლების, როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს, მიერ მოქალაქეთა მიმართ განხორციელებული ძალადობაზე, ასევე კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების მნიშვნელობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ღონისძიება ჩატარდა კანონმდებლობის ყველა შესაბამისი ნორმის დაცვით, იგი მაინც დაარბია პოლიციამ.

თანასწორობის ინსტიტუტი აქტიურ მონაწილეობას იღებს კოალიცია სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული საქართველოსთვის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებში. ხშირად ის გვევლინება ინიციატორის როლშიც, გარდა ზემოხსენებული მუსიკალური საპროტესტო აქციისა, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ობიექტური გამოძიების მოთხოვნით საქართველოს მასშტაბით განხორციელებული საპროტესტო აქცია „სიცოცხლის სიგნალს“.

„თანასწორობის ინსტიტუტი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ასეთი თანამშრომლობის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მაგალითად შეიძლება გამოდგეს წამების მსხვერპლთა მხარდასაჭერი საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების სერია, რომლებიც 2006 წლის 25-26 ივნისს „წამების მსხვერპლთა საერთაშორისო სარეაბილიტაციო საბჭოს“ ეგიდით გაიმართა. იგი ორგანიზებულ იქნა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კერძოდ: „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრსა“ და „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრთან“ ერთად.

თანასწორობის ინსტიტუტი დაარსების დღიდან აქტიურად თანამშრომლობს შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“, „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრსა“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, „კონსტიტუციური უფლებათა დაცვის ცენტრი“, „კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი“, სტუდია „რეპორტიორი“, ასოციაცია „ლობო“.



კონსტიტუციის 42-ე მუხლი

ორგანიზაციის მიზნები

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებების დამკვიდრება და მათი განხორციელებისთვის ხელშეწყობა;

საერთაშორისო დოკუმენტებითა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ადამიანის უფლებათა დამკვიდრება საქართველოში და მათი განხორციელების უზრუნველყოფა;

ადვოკატის პროფესიული დონისა და პრესტიჟის ამაღლება, საერთაშორისო დონის საადვოკატო პრაქტიკისა და გამოცდილების დამკვიდრება საქართველოში;

სამართლებრივი კულტურისა და მართლშეგნების დამკვიდრება; ადამიანის უფლებათა სფეროში უცხოეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილებისა და პრაქტიკის შესწავლა და საქართველოში დანერგვა;

ადამიანის უფლებათა დამცველი პირებისთვის მათი საქმიანობის განხორციელებაში თანადგომა;

სამეცნიერო, საგანმანათლებლო, საგამომცემლო და სხვა საქმიანობა.

ორგანიზაციის საქმიანობა

ადამიანთა დარღვეული უფლებების სასამართლოში დაცვა; შეხვედრების, კონფერენციების, სემინარების, მრგვალი მაგიდებისა და ა.შ. მოწყობა;

ორგანიზაციამ დააარსა ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი; გამოსცემს სამართლებრივი ხასიათის ბროშურებსა და ბუკლეტებს; თანამშრომლობს ადამიანის უფლებათა დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მასმედიასთან.

გამგეობა

ორგანიზაციას მართავს გამგეობა, რომელიც შედგება გამგეობის თავმჯდომარისა და 4 წევრისგან. გამგეობა ხელმძღვანელობს ორგანიზაციის მუშაობას და თვალყურს ადევნებს ორგანიზაციაში მიმდინარე საქმეებს.

გამგეობის თავმჯდომარეა მანანა კობახიძე, წევრები - ნინო ელბაქიძე, თამარ გაბისონია, შორენა ნაზლაიძე, კახაბერ კახაბერი.

ორგანიზაციის სტრუქტურა

ორგანიზაციაში ამჟამად მუშაობს 39 თანამშრომელი, რომელთაგან დიდი უმრავლესობა პროფესიონალი ადვოკატია. შეიძლება ითქვას,

რომ ორგანიზაცია წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიულ გაერთიანებას. ორგანიზაციაში ადვოკატებს აქვთ სხვადასხვა სტატუსი, რომელიც განსაზღვრავს მათ პასუხისმგებლობასა და სხვადასხვა სირთულის საქმეში მათი ჩართვის საკითხს.

ჯგუფური მუშაობა

ორგანიზაციაში დანერგილია საქმეზე ჯგუფური მუშაობის პრინციპი. ორგანიზაციის ყოველკვირეულ შეხვედრებზე დგება სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ინტენსიურად იწყებენ მუშაობას ახლად შემოსულ საქმეებზე. ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობენ როგორც სტუდენტები, ისე ადვოკატები.



კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი

კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 1997 წლიდან აქტიურად მუშაობს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ორგანიზაციას გააჩნია პროექტების განხორციელების დიდი გამოცდილება, შესაბამისი რესურსები პერსონალის, ოფისისა და ტექნიკური აღჭურვილობის სახით. ორგანიზაციის ცენტრალური ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, მიტროფანე ლალიძის ქ. №3. ორგანიზაციას აქვს ფილიალი გორში. მისამართი: ლერმონტოვის 9. ფილიალი დაკომპლექტებულია: 3 ადვოკატით, 5 მოხალისეთი და 15 სტუდენტით. აგრეთვე აქვს ფილიალი თელავში მისამართზე: ბიბერაძის 3. ფილიალში საქმიანობს 3 ადვოკატი, 5 მოხალისე და 17 სტუდენტი. ორგანიზაციის ცენტრალურ ოფისში ამჟამად 8 იურისტი მუშაობს სრულ განაკვეთზე, 6 მოხალისე.

1997 წლიდან სხვადასხვა დროს ორგანიზაციას მხარდაჭერას უწევდნენ დონორები: გაეროს განვითარების პროგრამა UNDP, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი UNHCR, ევროკავშირი (ტასისის პროგრამა), ეუთო, მერსი კორპი, ამერიკის იურისტთა ასოციაციის აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების სამართლებრივი ინიციატივა (ABA/CEELI), ფონდი „ჰორიზონტი“, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“, „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ – PRI.

კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, საზოგადოებაში მართლშეგნების დონის ამაღლებასა და კანონის პატივისცემის დამკვიდრებას, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესის ხელშეწყობას.

ცენტრი ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში იცავს პირის ინტერესებს საქართველოს საერთო სასამართლოებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, საქართველოს ადმინისტრაციულ ორგანოებში, ასევე სამართალდამცავ ორგანოებში. ორგანიზაცია აწეობს ადგილობრივი და საერთაშორისო დონის კონფერენციებს, სემინარებსა და ტრენინგებს. პერიოდულად ატარებს გამოკვლევებსა და მონიტორინგს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა ცოდნის ამაღლების მიზნით ცენტრში

1998 წლიდან ფუნქციონებს იურიდიული კლინიკა. ცენტრი გამოსცემს იურიდიულ ჟურნალს, სტუდენტურ ბიულეტენს.

ამჟამად ცენტრი ახორციელებს პროექტს, რომლის ფარგლებშიც ხდება იმ პირების უფასო სამართლებრივი დახმარება, რომლებიც არიან ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი და აქვთ შრომით-სამართლებრივი დავები. არის აგრეთვე პროექტი, რომელიც იცავს ნარკოტიკების მომხმარებელთა უფლებებს და პროექტი არასრულწლოვან მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის შესახებ.

მისამართი: მიტროფანე ლალიძის ქ. №3.

ტელეფონი: 922561, 922566

ელ.ფოსტა: cpcr@caucasus.net



კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი

ინფორმაცია ცენტრის შესახებ

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი (ICCN) არის დამოუკიდებელი, არაკომერციული, სამშვიდობო, კვლევითი და სატრენინგო ინსტიტუტი. ცენტრის დაარსების ინიციატორი და დამფუძნებელი არის პროფესორი გიორგი ხუციშვილი. 1994 წელს, ჯონ დ-სა და ქატერინ თ. მაკართურის ფონდის ფინანსური და საერთაშორისო უსაფრთხოებისა და იარაღის კონტროლის სტენფორდის უნივერსიტეტთან არსებული ცენტრის ორგანიზაციული მხარდაჭერით, ICCN ჩამოყალიბდა საქართველოში დარეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციად (რეგისტრაციის სერთიფიკატი მინიჭებულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 3 ნოემბერს, 1994 წელს). დაარსების დღიდან მოყოლებული, ცენტრი აქტიურად არის ჩართული საქართველოსა და კავკასიის რეგიონში მშვიდობის დამყარებისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესში. ცენტრს გააჩნია პროფესიული გამოცდილება შემდეგ სფეროებში: კვლევები და ანალიზი, მათ შორის რეგიონული უსაფრთხოების საკითხების შესწავლა, სოციოლოგიური გამოკვლევები და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, ადამიანის უფლებების დაცვა გენდერული თანასწორობის, რელიგიური თავისუფლების, ეთნიკური უმცირესობების უფლებების კუთხით, იძულებით გადაადგილებულთა/ლტოლვილთა საკითხების შესწავლა, საგანმანათლებლო აქტივობები სამშვიდობო საკითხებზე, მათ შორის ტრენინგები სხვადასხვა სფეროში, საზოგადოებრივი დიპლომატიის (მეორე მიმართულება) ძალისხმევა კონფლიქტის ზონაში, სასაზღვრო საქმიანობა და სამშვიდობო კამპანიები, მედია და საგამომცემლო აქტივობები, საერთაშორისო ექსპერტიზა, თანამშრომლობა რეგიონებს შორის.

გრძელვადიანი მიზნები

კონფლიქტისა და მოლაპარაკების საერთაშორისო ცენტრის ძირითადი გრძელვადიანი მიზნებია:

- დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- მშვიდობის დამყარება და კონფლიქტის პრევენცია/მართვა დანაწევრებულ საზოგადოებაში;
- ადამიანის უფლებები;
- ტოლერანტობა და გენდერული თანასწორობა;

მეთოდები

ცენტრი მიმართავს შემდეგ მეთოდებს:

- რეგიონული უსაფრთხოების საკითხების შესწავლა;
- კვლევები და ანალიზი;
- სოციოლოგიური გამოკვლევები და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა;
- ტრენინგები;
- საზოგადოებრივი დიპლომატიის ძალისხმევა კონფლიქტის ზონაში;
- სასაზღვრო საქმიანობა;
- სამშვიდობო კამპანია და თანამშრომლობა;

სამიზნე ჯგუფები

ცენტრის მთავარი სამიზნე ჯგუფები:

- უმცირესობათა (რელიგიური, ეთნიკური და სხვ.) ლიდერები და აქტივისტები;
- ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები და ჯგუფები;
- მასმედია;
- სახელისუფლებო/სამართალდამცველი ორგანოები;
- პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები, განსაკუთრებით ახალგაზრდა პოლიტიკური ლიდერები;
- მასწავლებლები და სტუდენტები;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
- იძულებით გადაადგილებულთა/ლტოლვილთა ლიდერები და აქტივისტები;

გეოგრაფიული დაფარვის ზონა

ცენტრის საქმიანობა ვრცელდება საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კონფლიქტის ზონებს - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, დაძაბულობის/სარისკო ზონებს ჯავახეთს, ქვემო ქართლს, ასევე ქუთაისსა და ზუგდიდს, სადაც თავმოყრილია იძულებით გადაადგილებულთა დიდი უმრავლესობა. ცენტრი საქართველოს ფარგლებს გარეთაც აქტიურად საქმიანობს, მაგალითად, სომხეთში, აზერბაიჯანში, რუსეთის ფედერაციაში შემაჯავალი ჩრდილო კავკასიის რეგიონში. ცენტრი არის რამდენიმე რეგიონული და ევროპული ქსელის წევრი.

თანამშრომლობა

- ქსელის შექმნა
 - ✓ კოალიციები (არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული საქართველოსათვის; ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი)
 - ✓ სპეციალური თემატური ჯგუფები (მაგ: იძულებით გადაადგილებულნი; უმცირესობები და სხვ.)
- სამოქალაქო საბჭო ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად;
 - ✓ რელიგიათშორისი ახალგაზრდული კომიტეტი;
 - ✓ რელიგიათშორისი და ინტერეთნიკური ქალთა კომიტეტი;
- ქრისტიან ქალთა კომიტეტი;

ცენტრის აქტივობები

- ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოების საკითხების შესწავლა (შემდგომი პუბლიკაციები);
- გამოკვლევა, მათ შორის სოციოლოგიური კვლევა: საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, ანალიზი, მონიტორინგი და ექსპერტთა შეფასება;
- კონფერენციები; სამუშაო შეხვედრები და მრგვალი მაგიდები პრობლემათა მოსაგვარებლად;
- ტრენინგები/სემინარები;
- პუბლიკაციები წიგნები, სტატიები, ბროშურები და სხვა;
- ჟურნალი მშვიდობიანი დრო;

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ

შემდეგ მისამართზე:

ივ. მაჩაბლის ქ. №5, პირველი სართული, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: 995 (32) 999-987; 995 (32) 923-920
 Fax: 995 (32) 939-178
 E-mail: iccn@iccn.ge
 Web site: www.iccn.ge



ჟურნალისტთა საერთაშორისო კავშირი „ობიექტივი“

ჟურნალისტთა კავშირი „ობიექტივი“ დაარსდა 2003 წელს. ის აერთიანებს 220 ჟურნალისტს, ტელევიზიის, რადიოსა და პრესის სფეროებიდან.

კავშირის მიზანია ქვეყანაში თავისუფალი ჟურნალისტიკის განვითარებისათვის ხელშეწყობა და ასევე, ჟურნალისტთა უფლებების დაცვა.

2003-2006 წლებში ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ ეგიდით მომზადდა 5 დოკუმენტურ-საგამომცემო ფილმი (ჟურნალისტთა მდგომარეობა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ; რელიგიური შემწყნარებლობის ტრადიცია საქართველოში; განათლების რეფორმა თუ ანტირეფორმა;) ფილმები თარგმნილია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე;

ჟურნალისტთა კავშირი „ობიექტივი“ ამზადებს ინტერნეტ-ვიდეო გაზეთს, სახელწოდებით „პროფესიონალები“. ეს არის პირველი ინტერნეტ-„ტელეგაზეთი“ საქართველოში, რომელიც მკითხველს საინტერესო ანალიტიკურ მასალებს სთავაზობს: პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, სოციალური სფერო.

„ობიექტივი“ ახორციელებს მედია-პროექტს „პრეს-რინგი“.

ეს არის საათიანი შოუ, რომელიც ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში გადის კვირაში სამჯერ. მედია-პროექტი აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს: სიტყვის თავისუფლება, პოლიტიკატიმრები, განათლების რეფორმა, პრივატიზაცია და ა.შ. შოუს სხვადასხვა წამყვანები უძღვებიან და მასში განსხვავებული პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

„ობიექტივის“ ეგიდით სამი წლის განმავლობაში გაიმართა 2 კონფერენცია: 1. განათლებისა და მეცნიერების რეფორმა („ობიექტივის“ ოფისი. 2004 წლის 11 ოქტომბერი); 2. ჟურნალისტთა უფლებების შელახვის ფაქტები საქართველოში (2005 წლის 8 მაისი „ობიექტივის“ ოფისი);

„ობიექტივის“ ფარგლებში ჩატარდა სენსაციური გამოძიება აბიტურიენტთა „სკალირებასთან“ დაკავშირებით (271 აბიტურიენტს განათლების სამინისტრომ არ მისცა გრანტი); საქმე იხილება საოლქო სასამართლოში.

2007 წელს „ობიექტივი“ მუშაობას განაგრძობს შემდეგი მიმართულებებით: ჟურნალისტთა უფლებები, პოლიტიკური პლურალიზმი, სოციალური პრობლემატიკა, პოლიტიკური კორუფცია;

საფოსტო ყუთი: objec_tive@yahoo.com



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) არის არასამეწარმეო იურიდიული პირი. საქმიანობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების შესაბამისად. ასოციაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა კავშირი.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიზნებია: იურისტთა შორის პროფესიული ეთიკის ნორმების დამკვიდრება; იურისტთა პროფესიული დაოსტატება და კვალიფიკაციის ამაღლება;

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა; საზოგადოებაში სამართალშეგნების დონის ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება;

სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზის შექმნა.

ასოციაციის მთავარი მისიაა: კანონის უზენაესობა სამართლიანობისათვის!

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) საქმიანობა დაიწყო, როგორც პროფესიონალ იურისტთა გაერთიანებამ, რომელმაც მიზნად დაისახა იურისტის პროფესიის გარშემო არსებული უარყოფითი სტერეოტიპის შეცვლა და საკუთარი პროფესიონალიზმის, კომპეტენტურობისა და საქმიანობის მაგალითზე იურიდიული პროფესიის განვითარების ხელშეწყობა, ადამიანის უფლებათა დაცვა, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერა.

საია დაფუძნდა 1994 წლის 9 სექტემბერს, ოფიციალურად კი რეგისტრაცია გაიარა 1994 წლის 21 სექტემბერს, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციამ (კავშირმა). საია წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციას. დღესდღეობით საია 600-მდე წევრს აერთიანებს.

წლების განმავლობაში საია შემდეგი მთავარი მიმართულებებით ახორციელებდა საქმიანობას:

- უფასო იურიდიული დახმარების სისტემის განვითარება;
- იურიდიული სწავლება და სამოქალაქო განათლება;
- საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფა;
- უფლებადარღვეულ მოქალაქეთა სასამართლო წარმომადგენლობა და სტრატეგიული სამართალწარმოება;

- იურისტთა პროფესიული დაოსტატება;
- სამოქალაქო საზოგადოების განვითარება;
- ინფორმაციის თავისუფლებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა.

საია საქმიანობას ახორციელებს თბილისსა და შვიდ რეგიონში:

- თელავი
- რუსთავი
- გორი
- ქუთაისი
- ბათუმი
- დუშეთი
- ოზურგეთი

ორგანიზაციის თავმჯდომარეები:

დავით უსუფაშვილი	(1994-1996)
გია გენაძე	(1997-1998)
ნინო გვენეტაძე	(1998-1999)
თინათინ ხიდაშელი	(1999-2001) (2003-2004)
ზაზა რუხაძე	(2001-2003)
ანა დოლიძე	(2004-2006)
გიორგი ჩხეიძე	2006

თავმჯდომარის მოადგილეები:

გია გენაძე	(1995-1996)
გიგლა აგულაშვილი	(1997-1998)
ზურაბ ბურდული	(1998-1999)
ზვიად კორძაძე	(1999-2000)
კოტე კუბლაშვილი	(2000-2001)
ზურაბ მარაქველიძე	(2001-2002)
თამარ ქალდანი	(2002-2003)
ანა დოლიძე	(2003-2004)
გიორგი ჩხეიძე	(2004-2005)
გია ზედელაშვილი	(2005-2006)

თბილისი, კრილოვის ქ. №15 ს.ი. 0102

ტელ.: (995 32) 936101 / 952353

ფაქსი: (995 32) 923211.

ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge



საერთო-სამოქალაქო

მოძრაობა

მრავალეროვანი საქართველო

საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო დაარსებულია 1999 წლის 15 ივნისს.

სსმმს შემადგენლობაში შედის საქართველოს ეთნიკურ სათვის-ტომოთა 56 არასამთავრობო ორგანიზაციისა და 18 თემის წარმომადგენელი. მოძრაობა აერთიანებს 12 000-ზე მეტ ინდივიდუალურ წევრს და გააჩნია 12 ფილიალი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში.

ორგანიზაცია ესწრაფვის: საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა თანასწორუფლებიანობას, მათი ინტერესებისა და ფასეულობების ურთიერთპატივისცემას, ურთიერთ-სასარგებლო თანამშრომლობას, სეპარატიზმისადმი შეურიგებლობას.

ორგანიზაციის მისია და პროფილი

იყოს საქართველოში ჰარმონიული ეთნოსთაშორისი ურთიერთობების განვითარების ძირითადი ლობისტი ყველა დონეზე

ხელი შეუწყოს ისეთი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, რომელიც აგებულია ჭეშმარიტ დემოკრატიულ ფასეულობებზე

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საქართველოში მშვიდობის, ურთიერთდობისა და პატივისცემის გარემოს დამკვიდრებაში, ეთნიკური კონფლიქტების აღმოფხვრასა და მათ პრევენციაში

შეასრულოს მედიატორის როლი საქართველოს ხელისუფლებასა და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა შორის

ხელი შეუწყოს საზოგადოებაში სამართალშეგნების დონის ამაღლებას, სამოქალაქო განათლებასა და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრებას

აწარმოოს ფართო პროფილის უფლებდაცვითი საქმიანობა

განახორციელოს კვლევითი, მონიტორინგული და აგრეთვე, საგამომცემლო საქმიანობა.

სსმმს-ს ეგიდით შექმნილია ასოცირებული ორგანიზაციები: სსმმს-ს ახალგაზრდული კავშირი, ასოციაცია მრავალეროვანი საქართველოს ქალები, ჟურნალისტთა ასოციაცია მრავალეროვანი საქართველო, სამოქალაქო განათლების მულტიეთნიკური რესურს-ცენტრი, რომელიც დღეს უკვე დამოუკიდებელი და ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და კვალიფიციური ორგანიზაციაა. ის ემსახურება საქართველოს მულტიეთნიკური საზოგადოების წარმომადგენელთა

სამოქალაქო განათლებას, პროფესიულ გადამზადებასა და მათი სამოქალაქო აქტივობის ზრდას.

ორგანიზაციის ადგილობრივ პარტნიორთა ქსელი მეტად ფართოა, კერძოდ, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის, ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი, ახალი თაობა ახალი ინიციატივა, საზოგადოების კვლევის ცენტრი, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, კონსტიტუციური უფლებების დაცვის ქსელი, ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი, ალტერნატივა და სხვ.

სსმმს 2006 წელს გამოვიდა ერთ-ერთ დამფუძნებლად არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციისა სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული საქართველოსთვის, რომლის თანადამფუძნებლები არიან ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის, კონსტიტუციური უფლებების დაცვის ქსელი და სხვა ორგანიზაციები. კოალიციის მიზანია საქართველოში იმ დემოკრატიული ღირებულებების შენარჩუნება და დაცვა, რომელიც საქართველოს არაერთი თაობის ძალისხმევითა და დასავლეთის საზოგადოების დიდი დახმარებით დამკვიდრდა ქვეყანაში. ამ მიზნით ორგანიზაცია აწყობს აქციებს, პრესკონფერენციებს, მრგვალ მაგიდებს, შეხვედრებს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან, აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს მთელ პოლიტიკურ სპექტრთან დემოკრატიული ფასეულობების ერთობლივი დაცვის მიზნით.

სსმმს განეწინაურებულია შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებში: ევროპის უმცირესობათა ფედერალური კავშირი, ევროპის უმცირესობები, ახალგაზრდულ კლუბთა ევროპული კონფედერაცია.

სსმმს დონორებია: CORDAID-ი, ევროსაბჭო, გაერო, ევროპის ახალგაზრდული ფონდი, უმცირესობათა უფლებების საერთაშორისო ჯგუფი, საერთაშორისო იდეა და სხვ.

სსმმს გამოცემები: გაზეთები — მრავალეროვანი საქართველო (ქართულ და რუსულ ენებზე) და ახალგაზრდული კავკასიური ექსპრესი (ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და ინგლისურ ენებზე), ბიულეტენი სამოქალაქო განათლება (რუსულ ენაზე), ბროშურა ეროვნული უმცირესობები საქართველოში (ქართულ და რუსულ ენებზე), ფონდრაიზინგის სახელმძღვანელო (რუსულ ენაზე); საქართველო

ლოს ეთნიკურ სათვისტომოთა ცნობარი და არაერთი სხვა. ჩვენი ორგანიზაციის პოლიტიკური ექსპერტების ავტორობით ქვეყნდება არაერთი ანალიტიკური სტატია საქართველოს პერიოდულ პრესაში, საქართველოს შიდა პოლიტიკის, აგრეთვე, რეგიონული უსაფრთხოებისა და გეოპოლიტიკის აქტუალურ ასპექტებზე.

სსმმს სტრუქტურული რეფორმა: 2005 წლის ზაფხულში CORDAID-ის ფინანსური მხარდაჭერით, ორგანიზაციამ განახორციელა რიგი ღონისძიებებისა, რომლებმაც ხელი შეუწყო ორგანიზაციის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას, ოპერატიულობის ზრდას, მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და მის ორგანულ ერთეულებს შორის ურთიერთობებისა და ფუნქციების მკაფიო გადანაწილებას, რაც აისახა გადანყვეტილებების მიღებისა და მათი ეფექტური რეალიზაციის პროცესის გამარტივებაზე.

სსმმს-ს ეგიდით და პარტნიორობით განხორციელებული საქმიანობა

სსმმს-ს თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან:

— ტრენინგ-კურსი დემოკრატია სწავლებისა და პრაქტიკის მეშვეობით ცარნიკოვო (ლატვია) კიშინიოვი (მოლდოვა). ორგანიზაციის ცენტრი: სსმმს, დაუგავილსის (ლატვია) განვითარების ახალგაზრდული ცენტრი, გაგაუზიის (მოლდოვა) ახალგაზრდული რესურს-ცენტრი, სომხეთის ასირიელ ახალგაზრდათა ასოციაცია;

— სემინარი შვეიცარიაში თემაზე დემოკრატია, ფედერალიზმი, მულტიკულტურალიზმი, რომლის კოორდინატორი საქართველოში იყო სსმმს;

— კონფერენცია საქართველო მრავალეროვანი სახელმწიფო, რომლის ორგანიზატორები გახლდნენ მრავალეროვანი საქართველო, ევროპის ეროვნებათა ფედერალური კავშირი, საქართველოს გერმანელთა ასოციაცია აინუნგი და საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება;

— პროექტი "Intercommunity Centre of youth", რომელიც სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში განახორციელა "WORLD VISION"-მა სსმმს-სა და რაგბის ფედერაციის ხელშეწყობით;

სსმმს-ს მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში:

— სემინარი ეთნიკური უმცირესობებისთვის – „Easter Seminar 2000“ სამხრეთ ტიროლში (იტალია) ევროპის ეროვნებათა ფედერალური კავშირის ხელშეწყობით;

— კონფერენცია — „ქოვენტრი 2000“ (ინგლისი). ორგანიზატორი - ევროპის უმცირესობათა საერთაშორისო ორგანიზაცია;

— კონფერენცია სტრასბურგში, მიძღვნილი ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის ევროსაბჭოს ჩარჩო-კონვენციის ძალაში

შესვლის ხუთი წლისთავისადმი;

— ტრენინგ-კურსი მონაწილეობა და მოქალაქეობა ევროპის ეროვნულ უმცირესობათათვის (ბუდაპეშტი, სტრასბურგი);

— მსოფლიო სომხური ორგანიზაციის კონგრესი (მოსკოვი);

— ენობრივი პოლიტიკის მსოფლიო კონგრესი, რომელიც მოეწყო Linguapax institute კატალონიის მთავრობის ხელშეწყობით (ბარსელონა);

— FUEN-ის 48-ე კონგრესი.

სსმმს-ს მიერ განხორციელებული ადგილობრივი ღონისძიებები:

ტრენინგები

— ტრენინგ-კურსები საქართველოს ეთნიკურ უმცირესობათა არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერთათვის თემებზე: კონფლიქტთა ტრანსფორმაცია, დიალოგის წარმართვა; არასამთავრობო ორგანიზაციის მენეჯმენტი; ეროვნულ უმცირესობათა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბეჭდვითი ორგანოების განვითარება; მრავალეროვანი საქართველო თანამშრომლობა და ურთიერთგაგება;

— გრძელვადიანი სასწავლო კურსი განვითარება და დემოკრატია-ზაცია მონაწილეობითა და მოქალაქეობით სამხრეთ კავკასიის უმცირესობათა არასამთავრობო ორგანიზაციების ახალგაზრდა ლიდერთათვის.

სემინარები

— საქართველოს ეთნიკური უმცირესობები: უფლებები, მოვალეობები, შესაძლებლობები;

— უმცირესობათა ენების განვითარება უმცირესობათა რეგიონული ენების ევროპული ქარტიის შესაბამისად;

— სამართლებრივი კულტურა და კულტურათაშორისი ურთიერთობის როლი.

კონფერენციები

— მოქალაქეობა და ეროვნებისადმი კუთვნილება;

— რეგიონთაშორისი კომუნიკაციები საქართველოში ეთნოსთაშორისი ურთიერთგაგებისა და ტოლერანტობისთვის (სამცხე-ჯავახეთი - ქვემო ქართლი);

— საქართველოს სახელმწიფო ენა;

— ყურნალისტთა უფლებების დაცვა და საქართველოს ძალისხმევა სტრუქტურები;

— ეთნიკური უმცირესობები ვარდების რევოლუციიდან ერთი წლის შემდეგ.

მრგვალი მაგიდები და დისკუსიები

— მმართველობა და სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში (სსმმს-ს გარდაბნის ფილიალი);

— ნაბიჯი მომავლისკენ: ეთნოსთაშორისი ნდობის მოპოვება სა-

ხალხო დიპლომატიის მეშვეობით, რომელიც გაიმართა თბილისსა და ცხინვალში საქართველოს ოსთა ასოციაციის ორგანიზებითა და სსმმს-ს მხარდაჭერით;

— შეხვედრა-დისკუსია ეროვნულ უმცირესობათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა საქართველოს ეთნიკურ სათვისტომოთა წარმომადგენლების, სახელმწიფო სტრუქტურების, აზერბაიჯანისა და სომხეთის პარლამენტის დელეგაციების მონაწილეობით.

სხვა ღონისძიებები:

— სსმმს-ს ხელშეწყობით მარნეულში გაიხსნა სამოქალაქო განათლების მულტიეთნიკური რესურს-ცენტრი;

— სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოიცა წინასაარჩევნო ლიტერატურა: საარჩევნო კოდექსი; საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებული კითხვარი საარჩევნო კომისიის წევრთათვის და ამომრჩევლთათვის;

— ფესტივალი ყველა საქართველოსათვის, საქართველო ყველასათვის, რომელიც სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა;

— სსმმს აქვს საარჩევნო-სადაამკვირვებლო გამოცდილება. ორგანიზაცია დარეგისტრირებულია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და ასრულებდა თავისუფალ სადაამკვირვებლო მისიას 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, ეუთოს, IRI-ისა და ორგანიზაცია ახალი თაობის ორგანიზებით.

ორგანიზაციის შეხვედრები

ორგანიზაციის საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებების ლობინგისთვის მეტად მნიშვნელოვანია ის შეხვედრები, რომლებზეც წარმოდგენილი იყო სსმმს. მათ შორის, უპირველესად უნდა აღინიშნოს შეხვედრა აშშ-ის პრეზიდენტთან ბ-ნ ჯორჯ ბუშთან; აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან ბ-ნ კოლინ პაუელთან; სხვადასხვა დროს ევროსაბჭოს გენერალურ მდივანთან ბ-ნ ვალტერ შვიმერსა და ბ-ნ ტერი დევისთან; ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელთან მათიას იორშთან; ეუთოს უმაღლეს კომისართან ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ბ-ნ როლფ ეკეუსთან; ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრთან, ეუთოს თავმჯდომარესთან ბ-ნ კარელ დე გუხტთან; ყაზახეთის პრეზიდენტთან ბ-ნ ნურსულტან ნაზარბაევთან და სხვ.

ორგანიზაციის კანონშემოქმედებითი საქმიანობა

— სსმმს მონაწილეობდა კანონპროექტის საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესახებ შემუშავებაში;

— აგრეთვე, კანონპროექტის სახელმწიფო ენის შესახებ განხილვასა და დახვეწაში;

— სსმმს-მ მოამზადა წინადადებები ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ კანონში ცვლილებების თაობაზე;

— აგრეთვე, მოამზადა წინადადებათა პაკეტი საქართველოს საარჩევნო სისტემის რეფორმირების შესახებ, რომელთა ნაწილი ასახული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს საარჩევნო კოდექსში შეტანილ ცვლილებებში;

— სსმმს აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ უმცირესობათა დაცვისა და ინტეგრაციის“ შემუშავების პროცესში;

— სსმმს გახლავთ, აგრეთვე, ინიციატორი და ლობისტი საქართველოს პარლამენტის მიერ ევროსაბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო-კონვენციის სწრაფი რატიფიცირებისა.

ორგანიზაციის სამომავლო საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებები:

ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვა: ეთნიკურ უმცირესობათა მონაწილეობის გაზრდა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა

ევროპულ და ჩრდილოეთატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის ხელშეწყობა

ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება და კულტურათაშორისი განათლების დანერგვა-განვითარება ეთნიკურ საკითხებთან დაკავშირებული კონფლიქტების პრევენცია და მათი მშვიდობიანი მოგვარების პროცესის ხელშეწყობა

არჩევნების პროცესის მონიტორინგი

სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკანონმდებლო საფუძვლების რეფორმირების აქტიური ხელშეწყობა, რათა საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა გახდეს საქართველოში მცხოვრებ ეთნოსთა ჰარმონიული თანაცხოვრების გარანტი

საქართველოს მულტიეთნიკურ საზოგადოებაში დემოკრატიული ფასეულობების თანაბარი დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობა

სახელმწიფო ადმინისტრირების სისტემის რეფორმირების ლობინგება, რომ საქართველოს სახელმწიფო მართვის სისტემაში აისახოს ქვეყნის ეთნიკური მრავალფეროვნება, რათა სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში სრულად იყოს გამოყენებული ის პოტენციალი, რომელიც საქართველოს მულტიეთნიკურ საზოგადოებას გააჩნია ინტელექტუალური, გონებრივი და საკადრო რესურსის სახით

ანალიტიკურ-კვლევითი საქმიანობა, საქართველოს საგარეო და სამინაო პოლიტიკის, აგრეთვე, მსოფლიოში მიმდინარე ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიკური ტენდენციების ანალიზი, სათანადო რეკომენდაციებისა და სტრატეგიების (მათ შორის, ეკონომიკური, საინფორმაციო, სოციალური და სხვა სახის უსაფრთხოების) შემუშავება

რეგიონალური უსაფრთხოების საკითხების კვლევა და რეგიონული უსაფრთხოების ასპექტების დამუშავება

ახალი დემოკრატიების /new democracies/ ქვეყნების არასამთავრობო სექტორთან კონტაქტების გაღრმავება საქმიანობის კოორდინაციის მიზნით

ფერადი რევოლუციების ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის ჩამოყალიბება ამ ქვეყნებში დემოკრატიული პროცესების შემდგომი ლობირებისა და დემოკრატიის განვითარების პრობლემების შედარებითი კვლევის მიზნით.



სოციალურ მეცნიერებათა ახალგაზრდული ასოციაცია
(მოძრაობა ახალგაზრდული ალტერნატივა)

ორგანიზაციის შესახებ:

სოციალურ მეცნიერებათა ახალგაზრდული ასოციაცია (სმაა) არის არაკომერციული, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 2004 წლის თებერვალში დაფუძნდა. რეგისტრაცია გაიარა ამავე წლის ივლისში. 2004 წლის სექტემბერში ორგანიზაციის ბაზაზე ჩამოყალიბდა სტუდენტური მოძრაობა „ახალი სტუდენტური ალტერნატივა“ (შემდგომში **ახალგაზრდული ალტერნატივა**).

ორგანიზაციის მმართველი ორგანოა არჩევითი საბჭო.

ორგანიზაცია აქტიურად არის ჩართული საქართველოში სტუდენტების უფლებების დაცვის და ზოგადად, ახალგაზრდული პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. ორგანიზაციის წევრები არიან სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრები, ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო სასწავლებლების სტუდენტები. ორგანიზაცია ახორციელებს საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმის მონიტორინგს.

„ახალგაზრდული ალტერნატივა“-ს წარმომადგენლობა აქვს ქალაქ ზუგდიდში.

ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე ინფორმაცია მუდმივად ეგზავნებათ საქართველოში აკრედიტირებულ დიპლომატიურ კორპუსს და საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციებს.

ორგანიზაციის ძირითადი მიზნები და ამოცანები:

- ✓ ადამიანის უფლებების დაცვა, ძირითადად, სტუდენტებისა და ახალგაზრდების უფლებების დაცვა;
- ✓ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მონიტორინგი;
- ✓ განათლების სამინისტროს და სახელმწიფოს ახალგაზრდული პროგრამების მონიტორინგი;
- ✓ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი დემოკრატიული პრინციპების შესახებ ინფორმაციის გავრცელება სემინარების, ტრენინგების და კონფერენციების გზით.
- ✓ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული რეგიონული (კავკასიის ქვეყნების მასშტაბით) საერთაშორისო პროექტების განხორციელება;
- ✓ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე რეაგირება;
- ✓ აღმოჩენილი უფლებადარღვევების შეტყობინება ადგილობრივი და საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციებისთვის მათი აღმოფხვრის მიზნით.
- ✓ თვითმმართველობის პრინციპების პროპაგანდა და ხელშეწყობა მთელი ქვეყნის მასშტაბით;

✓ სტუდენტური თვითმმართველობების ჩამოყალიბება და განვითარება სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

✓ სამართლებრივი ცოდნის ამაღლების მიზნით სტუდენტებს შორის დებატების ორგანიზება-ხელშეწყობა.

საქმიანობა:

✓ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების აღმოჩენა და მათზე რეაგირება პრესკონფერენციების, მშვიდობიანი აქციების გზით. ასევე, სასამართლო გზით ადამიანის უფლებების დაცვა.

✓ „ახალგაზრდული ალტერნატივა“ უმაღლესი განათლების შესახებ კანონპროექტის განხილვისას აქტიურად მუშაობდა: ჩაატარა რამდენიმე შეხვედრა საქართველოს პარლამენტში. უმაღლესი განათლების კანონპროექტთან დაკავშირებით ორგანიზაციამ აგრეთვე სპეციალური განცხადება და საკუთარი შენიშვნები გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს.

✓ ორგანიზაციის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, „ახალგაზრდულმა ალტერნატივამ“ სახელმწიფო უნივერსიტეტებში სტუდენტური თვითმმართველობის ჩამოყალიბების ხელშეწყობად განახორციელა რამდენიმე პროექტი.

✓ ორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობს სტუდენტების უფლებების დარღვევების ფაქტების გამოვლენაში პრობლემების გადაჭრის მიზნით. „ახალგაზრდული ალტერნატივა“-ს საქმიანობას სისტემატურად აშუქებს მასმედია.

✓ მომავალში „ახალგაზრდული ალტერნატივა“-ს დაგეგმილი აქვს პერიოდული ჟურნალის გამოცემა, რომელიც ახალგაზრდობის პრობლემებს, სახელისუფლებო პროგრამების მონიტორინგების შედეგებს და ზოგადად, ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ ვითარებას გააშუქებს.

✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების მონიტორინგი უკვე ორი წელიწადია ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

პარტნიორები:

„სოციალურ მეცნიერებათა ახალგაზრდული ასოციაცია“ („ახალგაზრდული ალტერნატივა“) ევროსაბჭოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ქსელის წევრია.

2006 წელს ასოციაცია გახდა ევროპული უფლებადამცველი ახალგაზრდული ორგანიზაციების (Euro net) ქსელის ასოცირებული წევრი.

ჩვენი პარტნიორები არიან არასამთავრობო ორგანიზაციები: „საზოგადოების კვლევის ცენტრი“; „ყოფილი პოლიტიკატიმრები ადამინის უფლებებისთვის“; სტუდია „რეპორტიორი“; „სტუდია რე“;

„ადამიანის უფლებების საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი“; „პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისთვის“. ორგანიზაცია ასევე თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან, კავკასიის, ბალტიის და ასევე ევროპის ქვეყნებში.

პროექტები:

2004 - „დიალოგი წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებას შორის“.

პროექტი მოიცავდა ახალგაზრდობის შეხვედრებს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან 2004 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ. შეხვედრების დასრულების შემდეგ ორგანიზაციამ გამოსცა შეხვედრების ამსახველი ბროშურა.

დონორი ორგანიზაცია: ფრიდრიხ ებერტის ფონდი

პოლიტიკურ მეცნიერებებში სახელმძღვანელოს თარგმნა და გამოცემა ქართულ ენაზე.

პროექტის ფარგლებში ინგლისურიდან ქართულად ითარგმნა სახელმძღვანელო პოლიტიკურ მეცნიერებებში. (შტეფან ტანსეი „პოლიტოლოგიის საფუძვლები“)

დონორი ორგანიზაცია: ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2005 სტუდენტების მეცნიერული ფორუმი.

პროექტი მოიცავდა მრგვალი მაგიდების ჩატარებას სტუდენტებისთვის სხვადასხვა სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე. ასევე, დებატები ამ საკითხებზე განიხილებოდა სპეციალური ინტერნეტ-ფორუმის საშუალებით.

პარტნიორი ორგანიზაცია: საზოგადოების კვლევის ცენტრი

დონორი ორგანიზაცია: IREX

სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

პროექტი ითვალისწინებდა სტუდენტების მომზადებას პირველი სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ასევე ზოგადად, სტუდენტური თვითმმართველობის იდეის პოპულარიზაციას.

დონორი ორგანიზაცია: LINKS (UK)



„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“

ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ შეიქმნა 1996 წლის 18 მარტს.

ორგანიზაციის შექმნის ინიციატორები იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ 80-იან წლებში ანტისაბჭოთა აგიტაცია პროპაგანდისათვის გასამართლებული პირები. ორგანიზაცია არ არჩევს თავის წევრებს მხოლოდ პოლიტპატიმრობის ნიშნით, მისი წევრობა შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს წესდების მოთხოვნებს. ამჟამად ორგანიზაციაში გაერთიანებულია 87 წევრი, თუმცა მის ყოველდღიურ საქმიანობაში დაახლოებით ორი ათეული წევრია ჩართული.

ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები:

- ✓ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვა.
- ✓ უფლების შელახვის ყოველი გამოვლენილი ფაქტის შეტყობინება ადგილობრივი და უცხოური უფლებადამცველი ორგანიზაციებისათვის ამ დარღვევათა აღმოფხვრის მიზნით.
- ✓ იმ საკანონმდებლო აქტებზე მუშაობა, რომლებიც უშუალოდ ეხებიან ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის საკითხებს.
- ✓ საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა პრობლემატიკის პოპულარიზაცია.

ორგანიზაციამ არსებობის 7 წლის მანძილზე განახორციელა 30-ზე მეტი პროექტი. ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია:

„სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრებისათვის“ (1996-1997 წწ.). პროექტი ითვალისწინებდა ყოველთვიური ბიულეტენების გამოცემას ქართულ და ინგლისურ ენებზე. ბიულეტენებში საუბარი იყო საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევების კონკრეტულ ფაქტებზე, აგრეთვე განხილული იყო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხების თეორიული ასპექტები. პროექტის თანადამფინანსებლები იყვნენ აშშ-ს საელჩოს დემოკრატიული კომისია და ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“.

„სემინარები არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის“ (1996-1997 წწ.).

პროექტი ითვალისწინებდა სემინარების ჩატარებას ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემატიკით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და იურისტებისათვის. პროექტი დააფინანსა საქართველოში გაეროს წარმომადგენლობამ.

1997-1998 წლებში ორგანიზაციის ინიციატივითა და ფრიდრიხ ებერტის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, ჩატარდა ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემატიკისადმი მიძღვნილი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების 4 კონფერენცია.

„როგორ დავიცვათ საკუთარი უფლებები“ (1997-1998 წწ.).

პროექტი ითვალისწინებდა ამავე სახელწოდებით ბროშურის გამოცემას /თან ახლავს მასალებს/, აგრეთვე სემინარების ჩატარებას ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემატიკისადმი მიძღვნილ საკითხებზე თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების პოლიციის რაიონულ განყოფილებებში. პროექტი ძირითადად დააფინანსა ევრაზიის ფონდმა (თანადამფინანსებელი ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“).

1998 წელს გაეროს განვითარების პროგრამების საქართველოს წარმომადგენლობის მიერ ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა ჩვენს ორგანიზაციაში დამუშავებული ბროშურა „ადამიანის უფლებები საქართველოში: კრიტიკული ანალიზი“ /თან ახლავს მასალებს/.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის“ /აფინანსებდა კანადის საელჩო/ 1998-1999 წწ. პროექტი ითვალისწინებდა საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ ყოველთვიური ბიულეტენების გამოცემას ქართულ და ინგლისურ ენებზე.

1999 წელს ორგანიზაცია მონაწილეობდა დიდი ბრიტანეთის საელჩოს ინიციატივით დაწყებულ და იტალიური საქველმოქმედო ორგანიზაცია „ნუოვა ფრონტიერას“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტში. პროექტი ითვალისწინებდა მსჯავრდებულთა დასაქმებას, ხოლო ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენელთა ფუნქცია იყო ამ დასაქმების პერიოდში პატიმართა უფლებების დაცვის მონიტორინგი.

1999 წელს და 2000 წლის დასაწყისში ორგანიზაციამ განახორციელა რამდენიმე პროექტი, რომლებიც ითვალისწინებდნენ მსჯავრდებულთა უფლებების დაცვასთან და მათი პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ აქტივობებს (ინგლისური ენის სწავლება მსჯავრდებულთათვის, მათთვის ყოველთვიური ბიულეტენების

გამოცემა და 4 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში საქართველოს ახალი კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა საკითხებზე სემინარების ჩატარება). აღნიშნულ პროექტებს აფინანსებდნენ ქართული ფონდი „ჰორიზონტი“, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციები Oxfam-ი და Penal Reform International-ი.

2000 წელს ორგანიზაციამ დაასრულა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტი „როგორ დავნერგოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები“, რომელიც ითვალისწინებდა საერთაშორისო ორგანიზაციის Penal Reform International-ის მიერ 1995 წელს ჰოლანდიაში გამოცემული სახელმძღვანელოს „Aking Standards Work“ ის ქართულ ენაზე თარგმნას. სახელმძღვანელო („პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები“) ქართულ ენაზე გამოიცა 2000-იანი ტირაჟით.

„სემინარები პოლიციის განყოფილებებში“ დააფინანსა ფონდმა „ჰორიზონტი“. პროექტი ითვალისწინებდა სემინარების ჩატარებას პოლიციის 15 რაიონულ განყოფილებაში.

მსჯავრდებულთა დახმარება - 2000 წელს განხორციელებული ეს პროექტი ითვალისწინებდა მსჯავრდებულთათვის უფასო იურიდიული დახმარების აღმოჩენას მათი უფლებების დაცვის მიზნით. დახმარება ითვალისწინებდა როგორც ზედამხედველობის წესით სასჯელის გასაჩივრებას, ისე კონკრეტული კანონიერი შეღავათების მიღებისათვის განცხადებების შედგენას. პროექტი ითვალისწინებდა აგრეთვე მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების უფასო სამართლებრივ დახმარებას. პროექტი დააფინანსა ფონდმა „ღია საზოგადოება საქართველო“.

უფლებადაცვითი ორგანიზაციების ქსელის შექმნა (2001წ.) პროექტი ითვალისწინებდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში უფლებადაცვითი ორგანიზაციების ქსელის შექმნასა და მათი საქმიანობის კოორდინაციას. პროექტი დაფინანსებულია COLPI-ს მიერ.

სამაგალითო სასამართლო გადაწყვეტილებები (2002) ითვალისწინებდა უზენაესი სასამართლოს მიერ გასული წლის იმ სასამართლო გადაწყვეტილებების წიგნად გამოცემას, რომლებშიც გამოყენებულ იქნა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები. პროექტი დაფინანსებულია ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) მიერ.

მონიტორინგი და ტრენინგები პოლიციის განყოფილებებში (2002) დაფინანსებულია ღია საზოგადოება საქართველოს მიერ.

სამოქალაქო საზოგადოება და ეროვნული უმცირესობები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (2002) დაფინანსებულია ევროპის საბჭოს მიერ.

2003 - წამების პრევენცია საქართველოში: ხელისუფლება, საზოგადოება და წამების მსხვერპლნი (წამების მსხვერპლთა რეაბილიტაცია) დაფინანსებულია ევროპული კომისიის მიერ.

ორგანიზაციის წევრები სისტემატურად აწყობენ ან ესწრებიან საქართველოსა და უცხოეთში /ჩეხეთი, რუსეთი, უკრაინა, პოლონეთი, უნგრეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი/ ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემატიკისადმი მიძღვნილ სხვადასხვა სემინარებსა და კონფერენციებს. სხვადასხვა დროს ორგანიზაციის ხელმძღვანელები მინვეულები იყვნენ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა ქალაქებში ამ ქვეყნის მთავრობების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის იქაური სისტემების გასაცნობად.

ორგანიზაცია თანამშრომლობს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოღვაწე ქართულ /ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, კავკასიის ინსტიტუტი, კონსტიტუციის 42ე მუხლი, თავისუფლების ინსტიტუტი, სამართლიანი არჩევნები და სხვ./ და უცხოურ /Amnesty International, Human Rights Watch, Penal Reform International, პოლონეთის „ჰელსინკის ფონდი“, სომხეთის ორგანიზაცია „სამართლებრივი განუკითხაობის წინააღმდეგ“ და „აზერბაიჯანის ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი“/ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.



„ჯანმრთელი სამყარო“

არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელი სამყარო“ დაარსდა 2004 წლის 31 მარტს.

ორგანიზაციაში განვერიანებულნი არიან სხვადასხვა პროფესიის მოქალაქეები.

ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები:

- ✓ ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სოციალურ და ჯანმრთელობის სფეროებში;
- ✓ ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა;
- ✓ მონიტორინგის განხორციელება სახელმწიფო პროგრამების მიმდინარეობაზე;
- ✓ ადამიანის ჯანმრთელობის, შრომის, ყოფაცხოვრების, დასვენების, კვების, რადიაციული და ქიმიური უსაფრთხოების მიზნით ღონისძიებების გამართვა;
- ✓ ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების განხილვასა და პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა;
- ✓ ბავშვებისა და მოზარდების ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დასაქმების პროგრამების შემუშავება;
- ✓ გარემოსდაცვით ღონისძიებებში მონაწილეობა;
- ✓ მოსახლეობის სანიტარიული განათლების მიზნით ტრენინგების მოწყობა;
- ✓ მოხუცებულთა და უმწეოთა ჯანმრთელობაზე, მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა;
- ✓ პროფილაქტიკური მედიცინის განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ სოციალურად საშიშ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში მონაწილეობა;
- ✓ ექიმისა და პაციენტის უფლებების დაცვა;
- ✓ ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

ორგანიზაციის მისია:

არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელი სამყარო“, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრი, გრძნობს

პასუხისმგებლობას ქვეყანაში არსებული კრიზისული სოციალური ფონისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ამრიგად, იგი აქტიურად არის ჩაბმული ამ ვითარების გასაუმჯობესებლად მიმართულ საქმიანობაში.

დონორები:

- ✓ ფარმაცევტული კომპანია „ავერსი ფარმა“;
- ✓ საერთაშორისო ორგანიზაცია „ამქორი“;
- ✓ ფონდი „ჯანმრთელი ბავშვები“;

არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელი სამყარო“ გაერთიანებულია არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციაში „სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული საქართველოსთვის“.

ორგანიზაციის მიერ განახორციელებული პროექტები და საქველმოქმედო აქციები:

- ✓ საქველმოქმედო აქცია აჭარის რეგიონში დევიზით „შეუვნარჩუნოთ ჯანმრთელი სამყარო აჭარას“. აქციის ფარგლებში რეგიონის სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, ბავშვებს, მოზარდებსა და მოხუცებს ადგილზე ჩაუტარდათ ამბულატორიული შემოწმება. ექიმების რეკომენდაციით გაიცა მედიკამენტები. მოსახლეობას დაურიგდა სამედიცინო საკონსულტაციო ბარათები. საქველმოქმედო აქცია გაიმართა ფარმაცევტული კომპანია „ავერსი ფარმას“ მხარდაჭერით;
- ✓ საქველმოქმედო აქცია კასპის ინვალიდ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისთვის;
- ✓ პროექტი „დავეხმაროთ სენაკის ინვალიდ ბავშვთა სახლს“ საერთაშორისო ორგანიზაცია „ამქორისა“ და ფონდი „ჯანმრთელი ბავშვების“ მხარდაჭერით. პროექტში მონაწილეობდნენ თბილისიდან საგანგებოდ მივლინებული სხვადასხვა დარგის პრაქტიკოსი ექიმები;
- ✓ საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია — სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული საქართველოსთვის კონგრესის პროექტის ორგანიზატორი. პროექტი განხორციელდა ფონდი „ქორდედის“ მხარდაჭერით.

მონიტორინგი და ტრენინგები:

- ✓ ორგანიზაციამ ფრინველის გრიპის მოსალოდნელი პანდემიის პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით განახორციელა მონიტორინგი სახელმწიფო სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში (წითელი ხიდი, სარფი, ვალე, აეროპორტი) და მეფრინველეობის ფაბრიკებში (ნორიო, მუხრანი);
- ✓ ქვეყნის იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც მოსახლეობა ძირითადად მისდევს მეფრინველეობას, ჩატარდა ტრენინგები თემაზე „როგორ დავიცვათ თავი ფრინველის გრიპის მოსალოდნელი პანდემიისგან“;
- ✓ ხულოს რაიონში პედიატრებსა და დერმატოვენეროლოგებს ჩაუტარდათ სემინარები თემებზე: „დიარეის მქონე ავადმყოფთა მკურნალობა“ და „სოკოვან დაავადებათა მკურნალობა“. ექიმებს გადაეცათ სერტიფიკატები;
- ✓ ტოქსიკოლოგიურ განყოფილებებში, ბავშვთა და მოზარდთა ინფექციურ საავადმყოფოებში განხორციელდა მონიტორინგი საკვების მიერ მონამვლესა და მოშხამვებზე;
- ✓ პაციენტთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ჩატარდა მონიტორინგი თბილისის ონკოლოგიურ საავადმყოფოში; განხორციელდა მონიტორინგი სუიციდების ფაქტებთან დაკავშირებით.

ბროშურებისა და სხვადასხვა სახის ლიტერატურის გამოცემა:

- ✓ როგორ დავიცვათ თავი კანისა და ვენერიული დაავადებებისგან;
- ✓ სურსათი — ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში;
- ✓ ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება ქართულ რეალობაში.

საქართველოს არასამთავრობო**ორგანიზაციათა კონგრესი**

(თბილისი, 2006 წლის ივნისი)

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ „სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული საქართველოსთვის“ 2006 წლის ივნისში გამართა საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონგრესი, რომლის მიზნები იყო:

შესაძლებლობის მიცემა საქართველოს არასამთავრობო (მათ შორის რეგიონულ) ორგანიზაციათა ფართო სპექტრისთვის, გაეცვალათ იდეები და შეხედულებები, რათა მათ ჩამოეყალიბებინათ ერთიანი მიდგომა ქვეყნის უმთავრესი პრობლემების მოსაგვარებლად

ეჩვენებინა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მაღალი პოტენციალი და ქმედუნარიანობა, რაც ვარდების რევოლუციის შემდეგ მთავრობის რამდენიმე პირის მიერ და მასმედიის საშუალებით კითხვის ნიშნის ქვეშ იყო დაყენებული

კონგრესი მასშტაბით პირველი იყო მსგავს კონგრესებს შორის საქართველოში. მან მოგვცა შესაძლებლობა, ფართოდ განგვეხილა და გადაგვეხიჯა ის მიდგომები, რომელიც საჭიროა სამოქალაქო საზოგადოების გავლენისა და მიღწევების შესანარჩუნებლად ვარდების რევოლუციის შემდეგ. კონგრესზე განხილულ იქნა ბევრი პრობლემა და გამოწვევა. ექსპერტებმა გააკეთეს პრეზენტაცია და დამსწრეთ გაუზიარეს მათი სამუშაო გამოცდილება არასამთავრობო ორგანიზაციებში მთელი საქართველოს მასშტაბით. მათ თანაბრად შეიტანეს წვლილი შედეგის მიღწევაში — არასამთავრობო სექტორის როლის გაძლიერებაში დემოკრატიულ პროცესებში.

კონგრესის იდეა იყო იმ პრობლემებისა და საკითხების განხილვა, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს, მესამე სექტორის განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, პრაქტიკული გადაწყვეტის გზების ძებნას, თემატური რეკომენდაციებისა და საბოლოო დეკლარაციის მიღებას.

განხილულ იქნა ე.წ. მესამე სექტორის სოციალ-ეკონომიკურ პრობლემებში ჩაბმულობის საკითხი, რაც გამოიხატება არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთობლივ მცდელობებში, განავითარონ საერთო აქტივობები, რომელიც გაზრდის მათ გავლენას ეროვნულ და რეგიონულ დონეზე, გაააქტიურებს და გააადვილებს კოორდინაციის პროცესს კოალიციაში „სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული საქართველოსთვის“.

კონგრესზე განხილული თემები:

პლენარულ სხდომას თან დაერთო თემატური სესიები. თითოეული სესიის ბოლოს დაიწერა რეკომენდაციები, რომლებიც შემოტანილი და განხილული იყო ბოლო პლენარულ სხდომაზე.

პლენარული სხდომის მთავარი თემები:

- ✓ კოალიციის „სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული საქართველოსთვის“ პრეზენტაცია. მისი მიზნები, აქტივობები, მომავალი გეგმები და ა.შ
- ✓ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების არსებული მიღწევები და მიღებული გამოცდილება
- ✓ სამოქალაქო საზოგადოების როლი დემოკრატიულ პროცესებში საქართველოში. პრობლემები და პერსპექტივები
- ✓ არსებული რეგიონული პრობლემები: კორუფცია, ადამიანის უფლებები, სასამართლოს დამოუკიდებლობა, თავდაცვის საკითხები და ა.შ.
- ✓ კონგრესის საბოლოო დოკუმენტი

კონგრესის საბოლოო დოკუმენტი (დეკლარაცია) მოიცავს იმ საერთო რეკომენდაციებს, რომლებიც შემუშავდა კონგრესის დროს.

რეკომენდაციები მოიცავს სხვადასხვა დონეს: ეროვნულს, რეგიონულს, საერთაშორისოს, სამოქალაქო საზოგადოებასა და საერთაშორისო საზოგადოებას.

მომავალ წელს საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონგრესი (2007) განიხილავს 2006 წლის კონგრესზე მიღებული რეკომენდაციების შესრულებას.

კონგრესის პროგრამა

25 ივნისი, 2006 წ.
შერატონ მეტეხი პალასი,
თბილისი, საქართველო

სამოქალაქო საზოგადოების როლი

დემოკრატიული საქართველოს მშენებლობაში

- 9:00 – 10:30 კონგრესის მონაწილეთა რეგისტრაცია;
- 10:30 – 12:00 კონგრესის გახსნა - გიორგი ხუციშვილი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი;

I სესია:

მოდერატორი – გიორგი ხუციშვილი;

თემატური მოხსენებები: (7 წუთი)

1. ანა დოლიძე - „სამოქალაქო საზოგადოების როლი და ადგილი ხელისუფლებასთან ურთიერთობაში“;
2. ნინო გვენეტაძე - „დამოუკიდებელი სასამართლო და მისი როლი დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში“;
3. ნანა კაკაბაძე - „ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში“;
4. ირაკლი კაკაბაძე - „სამართალდამცავი სისტემები საქართველოში“;

დისკუსია;

12:00 – 12:30 შესვენება;

12:30 – 14:00 II სესია:

მოდერატორი - გელა ნიკოლაიშვილი;

თემატური მოხსენებები (7 წუთი);

1. მანანა კობახიძე - „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სამართლიანი სასამართლოს უფლება“;
2. ლია მუხაშაგია - „სამართალდამცავ სტრუქტურებზე სამოქალაქო საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმები“;
3. ირმა ინაშვილი - „მედია და ხელისუფლება, მედიის თავისუფლების პრობლემები საქართველოში“;
თანამომხსენებელი: ხათუნა ჩარკვიანი - „არასამთავრობო ორგანიზაციების საზოგადოებასთან ურთიერთობა და მათი როლი დემოკრატიის მშენებლობაში“;

- 4. კობა ბოჭორიშვილი „თავისუფალი ბიზნესის სამართლებრივი პრობლემები“;
- 5. გიორგი ხუციშვილი - „სამოქალაქო საზოგადოების როლი კონფლიქტების მოგვარების პროცესში“;

დისკუსია;

14:00 – 15:00 სადილი;

15:00 – 16:30 III სესია:

მოდერატორი - კობა ბოჭორიშვილი;

თემატური მოხსენებები (7 წუთი);

- 1. არნოლდ სტეპანიანი - „ეთნიკურ უმცირესობათა მონაწილეობა სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში“;
- 2. ალექსი შოშიკელაშვილი - „რეგიონული პოლიტიკის პრობლემები“;
- 3. ლაშა ბლიაძე - „ახალგაზრდობის პრობლემები, განათლების რეფორმა და თვითმმართველობა უნივერსიტეტში“;
- 4. ზაქარია ქუცნაშვილი - „არჩევნები და თვითმმართველობის პრობლემები“;
- 5. ნინო ციხისთავი - „ქალთა მონაწილეობის ზეგავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე“;

დისკუსია;

16:30 – 17:00 შესვენება;

17:00 – 18:00 IV სესია:

მოდერატორი - ლია მუხაშავერა;

თემატური მოხსენებები (7 წუთი);

- 1. ირინა ფუტკარაძე - „სოციალური პოლიტიკა ქვეყანაში, სიღარიბე და ჯანმრთელობა“;
- 2. ლაშა ჩხარტიშვილი - „ეკოლოგიური პრობლემები საქართველოში“;

დისკუსია;

18:00 – 18:30 კონგრესის დელეგატების მიერ კონგრესის დეკლარაციის მიღება და

ტექსტზე ხელის მოწერა;

კონგრესის დახურვა

საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონგრესი

25 ივნისი, 2006 წ.
შერატონ მეტეხი პალასი,
თბილისი, საქართველო

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 303-მა არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენელმა და მოწვეულმა სტუმარმა:

მათ შორის თბილისიდან 131 არასამთავრობო ორგანიზაციის დელეგატი, საქართველოს რეგიონებიდან 123 არასამთავრობო ორგანიზაციის დელეგატი, 28 ჟურნალისტი დელეგატი.

პოლიტიკური პარტიების, დიპლომატიური მისიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების 41 წარმომადგენელი კონგრესს ესწრებოდა სტუმრის სტატუსით.

საქართველოს პოლიტიკური პარტიები

- 1. აკაკი ასათიანი — ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი;
- 2. კონსტანტინე გამსახურდია — პარტია თავისუფლება;
- 3. დავით გამყრელიძე — ახალი მემარჯვენეები;
- 4. გიორგი გაჩეჩილაძე — მწვანეთა მოძრაობა;
- 5. კობა დავითაშვილი — კონსერვატიული პარტია;
- 6. სალომე ზურაბიშვილი — საქართველოს გზა;
- 7. გოგი თოფაძე — მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს;
- 8. შალვა ნათელაშვილი — ლეიბორისტული (შრომის) პარტია;
- 9. დავით უსუფაშვილი — რესპუბლიკური პარტია;
- 10. თამარ ჩხეიძე — ი. ჭავჭავაძის საზოგადოება;

დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელები

- 11. მ.ა. ნამიკ ალიევი, ელჩი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში;
- 12. მ.ა. იგორ გაონი, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში;
- 13. მ.ა. ონო ელდერბოხი, ელჩი, ჰოლანდიის საელჩო საქართველოში;
- 14. მ.ა. ერთან თეზგორ, ელჩი, თურქეთის საელჩო საქართველოში;
- 15. მ.ა. ფილიპ ლეფორი, ელჩი, საფრანგეთის საელჩო საქართველოში;
- 16. მ.ა. დონალდ მაკლარენი, ელჩი, დიდი ბრიტანეთის საელჩო საქართველოში;
- 17. მ.ა. იასეკ მულტანოვსკი, ელჩი, პოლონეთის საელჩო საქართველოში;
- 18. მ.ა. როი რივი, ელჩი, ეუთოს მისია საქართველოში;
- 19. მ.ა. ფაბრიციო რომანო, ელჩი, იტალიის საელჩო საქართველოში;
- 20. მ.ა. ჰრაჩ სიღვანიანი, ელჩი, სომხეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში;
- 21. მ.ა. მიკოლა სპისი, ელჩი, უკრაინის საელჩო საქართველოში;
- 22. მ.ა. ჯონ ტეფტი, ელჩი, აშშ-ის საელჩო საქართველოში;
- 23. მ.ა. უვე შრაში, ელჩი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო საქართველოში;
- 24. მ.ა. ვლადიმერ ჩიკვიშვილი, ელჩი, რუსეთის ფედერაციის საელჩო საქართველოში;
- 25. მ.ა. ტორბენ ჰოლცე, ელჩი, დელეგაციის ხელმძღვანელი, ევროკომისიის დელეგაცია საქართველოში;

დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები

- 26. მედიკო ბუკია, აშშ-ის საელჩო საქართველოში;
- 27. დებორა მილერი, მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში, აშშ-ის საელჩო საქართველოში;

საერთაშორისო ორგანიზაციები

- 28. დავით აფრასიძე, კონრად ადენაუერის ფონდი;
- 29. ვოლფგანგ იონი, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი;
- 30. იულია იაკობი, ევროკავშირის დელეგაცია;
- 31. ერიკ იონსონი, დირექტორი, შვედეთის განვითარების სააგენტო;
- 32. გერლინდ მელსბახი, სამხრეთ კავკასიის წარმომადგენელი;
- 33. ირის მუტი, ეუთო-ს ადამიანის განზომილებათა ოფისი;
- 34. დენი რობერტსონი, აშშ-ის განვითარების სააგენტო, კავკასიის წარმომადგენლობა;
- 35. ცენო რეიჰენბუჰერი, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება;
- 36. გიომ სიმენსკი, ხელმძღვანელი, ეუთო-ს ადამიანის განზომილებათა ოფისი;
- 37. რობერტ უოტკინსი, მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში, გაერო-ს განვითარების პროგრამა;
- 38. გიუნტერ ფიხტენერი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი;
- 39. მერილინ ზელინი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია;
- 40. კლოდ ზულო, ამერიკის იურისტთა ასოციაცია;
- 41. მიხეილ ჩაჩხუნაშვილი, ფონდი კორდედის წარმომადგენელი საქართველოში;

არასამთავრობო ორგანიზაციები

თბილისი

- 42. თამარ აბრამიშვილი, ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი;
- 43. რამაზ აფციაური, გაერო-ს ასოციაცია;
- 44. თამარ ალექსიძე, საქართველოს იურისტ სტუდენტთა ასოციაცია;
- 45. საბინა ალიევა, აზერბაიჯანელების კავშირი საქართველოში სამოქალაქო მოძრაობა;
- 46. გიორგი ანდრიაძე, ნაციონალური ლობი;
- 47. ეკა აღდგომელაშვილი, ქალთა ინიციატივების მხარდაჭერთა ჯგუფი;
- 48. მამუკა არეშიძე, მოძრაობა კავკასიელი;
- 49. რობერტ არუთუნიანი, თბილისის სომეხთა კავშირი ავლაბარი;
- 50. ალი ბაბაევი, საქართველო ჩემი სამშობლოა;
- 51. იოსებ ბარათაშვილი, იურისტთა ასოციაცია პროცესი;
- 52. ალა ბუჟენცევა, საქართველოს რუს ქალთა კავშირი იაროსლავნა;
- 53. რეზო ბენდელიანი, ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები;
- 54. მარინა ბერიაშვილი, ქალთა დასაქმების საინოვაციო ცენტრი;
- 55. ეკა ბესელია, ეკა და კომპანია;
- 56. მაია ბიბილეიშვილი, ასოციაცია ბავშვი, ინვალიდი, ოჯახი და საზოგადოება;
- 57. ზურაბ ბინაძე, სოციალურ მეცნიერებათა ახალგაზრდული ასოციაცია — ახალგაზრდული ალტერნატივა;
- 58. ლაშა ბლიაძე, სოციალურ მეცნიერებათა ახალგაზრდული ასოციაცია — ახალგაზრდული ალტერნატივა;
- 59. ირაკლი ბოკუჩავა, სოციალური პროგრამების ფონდი;
- 60. კობა ბოჭორიშვილი, კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი;
- 61. პაატა გაჩეჩილაძე, კავშირი XX საუკუნე;
- 62. ლელა გაფრინდაშვილი, ქალთა ინიციატივები თანასწორობისთვის;
- 63. თენგიზ გაგლოევი, საქართველოს ოსთა ასოციაცია;
- 64. მანანა გალუაშვილი, ინვალიდ ქალთა საერთაშორისო ასოციაცია;
- 65. ნაირა გელაშვილი, კავკასიური სახლი;
- 66. დავით გიორგაძე, დაზარალებულთა უფლებების დაცვის ასოციაცია;
- 67. გიორგი გიორგაძე, დაზარალებულთა უფლებების დაცვის ასოციაცია;
- 68. კახაბერ გოგაშვილი, წამების საწინააღმდეგო კომიტეტი;
- 69. ნინო გუჯარაიძე, მწვანე ალტერნატივა;
- 70. პაატა გურგენიძე, სამოქალაქო ინიციატივა დემოკრატიისთვის;
- 71. თორნიკე გურული, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
- 72. ნინო გვენეტაძე, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია;
- 73. ია დანელია, საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო;
- 74. მანანა დარჯანია, ასოციაცია პოსტ ფაქტუმ;
- 75. თეა დარსაველიძე, ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- 76. ანა დოლიძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
- 77. გელა დოლიძე, მოძრაობა განათლებისა და მეცნიერების გადარჩენისათვის;

- 78. შოთა ვაშაკიძე, ასოციაცია კვალი;
- 79. ია ვერულაშვილი, ქალთა ცენტრი;
- 80. პაატა ზაქარეიშვილი, განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრი;
- 81. გია თარხან-მოურავი, პოლიტიკური კვლევის ინსტიტუტი;
- 82. გიორგი თევზაძე, ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- 83. ნანა იაშვილი, ბავშვი და გარემო;
- 84. ირინა ინასარიძე, ასოციაცია ანიკა;
- 85. ირმა ინაშვილი, ჟურნალისტთა საერთაშორისო კავშირი ობიექტივი;
- 86. ნანა კაკაბაძე, ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის;
- 87. ირაკლი კაკაბაძე, თანასწორობის ინსტიტუტი;
- 88. მაიკო კაციტაძე, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი;
- 89. ალექსანდრა კალატოზიშვილი, ახალი ხედვა;
- 90. მანანა კობახიძე, კონსტიტუციის 42-ე მუხლი;
- 91. ვახტანგ კომახიძე, სტუდია რეპორტიორი;
- 92. მაია კუპრავა-შარვაშიძე, მარტოხელა მშობელთა ასოციაცია;
- 93. როზა კუხალაშვილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალთა საბჭო;
- 94. ალექსანდრე კუხიანიძე, ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევის ცენტრი;
- 95. დავით კვაჭანტირაძე, ასოციაცია სამართალი და თავისუფლება;
- 96. ხათუნა ლაგაზიძე, საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო;
- 97. მარინა ლებანიძე, კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი;
- 98. ირაკლი ლეჟინაძე, საქართველოს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენტა ასოციაცია;
- 99. ნანა ლომიძე, საქართველოს ჟურნალისტ ქალთა ასოციაცია;
- 100. ია მამალაძე, საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის საბჭო;
- 101. ნინო მარდაღიშვილი, საქართველოს ინვალიდთა ალიანსი;
- 102. იუნიონა (გიული) მარგალიტაძე, ასოციაცია ფენიქსი ;
- 103. მანანა მეტუკე, ინვალიდ მეომართა და დაღუპულ მებრძოლთა მეუღლეთა კავშირი;
- 104. ირაკლი მელაშვილი, სახალხო ფორუმი;
- 105. მაია მგალობლიშვილი, გენეზისი;
- 106. ავთო მიქანაძე, ადამიანის უფლებათა საგანმანათლებლო ცენტრი;
- 107. მარი მიქოიანი, ქართველ სომეხთა გაერთიანება ნორ სერუნდი;
- 108. ანი მიროტაძე, ალტერნატიული ცენტრი;
- 109. აგიტ მირზოევი, საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო;
- 110. ლევან მოსახლიშვილი, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი;
- 111. რუსუდან მშვიდლობაძე, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი;
- 112. მარინა მუსხელიშვილი, საზოგადოებრივი კვლევის ინსტიტუტი;
- 113. ლია მუხამაზია, კონსტიტუციის 42-ე მუხლი;
- 114. კობა ნადირაძე, ინვალიდთა კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის;
- 115. უჩა ნანუაშვილი, ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი;
- 116. დავით ნარმანია, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია;
- 117. ნანა ნაზაროვა, ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება;
- 118. გელა ნიკოლაიშვილი, ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის;
- 119. გია ნოდია, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი;
- 120. გურამ ოდიშარია, კავკასიური დიალოგი;
- 121. ნიკო ორველაშვილი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტი;
- 122. გალინა პეტრიაშვილი, ასოციაცია გენდერმედიკავკაზ;
- 123. მაგდა პოპიაშვილი, საქართველოს მედია კლუბი;
- 124. ილონა პოპოვა-კერესელიძე, საქართველოს კაზაკთა კავშირი;
- 125. გია ჟორჟოლიანი, საზოგადოებრივი კვლევის ინსტიტუტი;
- 126. თამარ ჟვანია, სამართლიანი არჩევნები;
- 127. ალექსანდრე რუსეცკი, ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეა;
- 128. ელენე რუსეცკი, ქალთა საინფორმაციო ცენტრი;
- 129. ნინო სააკაშვილი, ფონდი ჰორიზონტი;
- 130. ლილი საფაროვა, ქურთ-იეზიდების ეროვნული კონგრესი საქართველოში;
- 131. ლია სანიკიძე, ქალები მომავლისათვის;
- 132. დავით სულაქველიძე, სამართლის უზენაესობის საზოგადოებრივი ტრიბუნალი;
- 133. არნოლდ სტეპანიანი, საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო;
- 134. სულეიმანოვა ლეილა, მრავალეროვანი საქართველოს ქალები;
- 135. ნანა სუმბაძე, პოლიტიკური კვლევის ინსტიტუტი;
- 136. ნათია სვანიძე, საქართველოს რეგიონალური მედიის საბჭო;

- 137. მერაბ ტურავა, სამართლის უზენაესობის საზოგადოებრივი ტრიბუნალი;
- 138. ნანა ფანცულაია, ქალთა ფონდი საქართველოში;
- 139. ირინა ფუტკარაძე, ჯანმრთელი სამყარო;
- 140. რუსიკო ფხაკაძე, სახლი;
- 141. ნათია ქემერტელიძე, სამოქალაქო ინტერესების დაცვის ახალგაზრდული კავშირი;
- 142. ზაქარია ქუცნაშვილი, კანონი ხალხისთვის;
- 143. ძიძია ლუდუშაური, ქალი და ჯანმრთელობა;
- 144. დავით ყიფიანი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი;
- 145. ვახტანგ ყოლბაია, კავკასიური დიალოგი;
- 146. შალვა შავგულიძე, ადვოკატი;
- 147. ნატო შავლაყაძე, ქალთა კლუბი პეონი;
- 148. ნინო შიოშვილი, საქართველოს ქალთა დასაქმების ხელშეწყობის ასოციაცია ამაგდარი;
- 149. ბორის შკრიბაბაი, აფხაზეთის ბრმათა და ყრუმუნჯთა ასოციაცია ჰერა;
- 150. ალექსი შოშიკველაშვილი, კონსტიტუციური უფლებების დაცვის ქსელი;
- 151. ხათუნა ჩარკვიანი, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია;
- 152. თამარ ჩიქოვანი, რადიო თავისუფლება;
- 153. მარინა ჩოხელი, კონსტიტუციის 42-ე მუხლი;
- 154. თამარ ჩუგოშვილი, სამოქალაქო ინტერესების დაცვის ახალგაზრდული კავშირი;
- 155. ლაშა ჩხარტიშვილი, თანასწორობის ინსტიტუტი;
- 156. მაია ცაბოშვილი, იბერ-ირონი;
- 157. როზა ცინდელიანი, აფხაზეთის ქალთა ასოციაცია საბინები;
- 158. ლელა ცისკარიშვილი, წამების მსხვერპლთა სარეაბილიტაციო ცენტრი;
- 159. ნინო ციხისთავი, კავკასიის ქალთა ქსელი;
- 160. ვახტანგ ძაბირაძე, 14 აპრილი;
- 161. კახაბერ ძევისაშვილი, იბერ-ირონი;
- 162. თამთა ნუნუნავა, კოალიცია ბავშვის უფლებები;
- 163. დიმიტრი ხაჩიძე, კონსტიტუციის 42-ე მუხლი;
- 164. ირინა ხანთაძე, ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი;
- 165. იულია ხარაშვილი, დევნილ ქალთა ასოციაცია;
- 166. ზაზა ხატიაშვილი, ადვოკატი;
- 167. ლელა ხომერიკი, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი;
- 168. გიორგი ხუციშვილი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი;
- 169. ნინო ჯავახიშვილი, დინამიური ფსიქოლოგია განვითარებისა და დემოკრატიისთვის;
- 170. ჩარიტა ჯაში, ასოციაცია გენდერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის;
- 171. ვანდა ჯიჯელავა, კონსტიტუციის მუხლი 42;
- 172. მარიამ ჯიშკარიანი, ემპათია;

აჭარა

- 173. მზია ამალლობელი, გაზეთი ბათუმელები, ქ. ბათუმი;
- 174. იაგო ბარამიძე, ადამიანის უფლებების საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი, ქ. ბათუმი;
- 175. სოფიკო ლაკია, კავშირი თემიდა, ქ. ბათუმი;
- 176. სვეტლანა ლოგუა, კავშირი თემიდა, ქ. ბათუმი;
- 177. არტურ ოგანესიანი, კავშირი აჭარის უმცირესობანი, ქ. ბათუმი;
- 178. ნური ყურაშვილი, აფხაზეთის ბრმათა და ყრუ-მუნჯთა კავშირი ჰერა, ხელვაჩაური;
- 179. პაატა შარაძე, საია-ს აჭარის ფილიალი, ქ. ბათუმი;
- 180. ნესტან ცეცხლაძე, თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი, ქ. ბათუმი;

გურია

- 181. დავით გოგიჩაიშვილი, ასოციაცია ლანჩხუთის რეგიონის საკრებულო, ქ. ლანჩხუთი;
- 182. მაია გოგოლაძე, კავშირი სოციუმში, ქ. ჩოხატაური;
- 183. ზვიად ერაძე, გურიის ახალგაზრდათა რესურს-ცენტრი, ქ. ოზურგეთი;
- 184. ვლადიმერ თელია, ალიანსი „განგაში — XX საუკუნე“, ქ. ლანჩხუთი;
- 185. ლია მშვიდობაძე, რეგიონალური ორგანიზაცია დია გურია, ქ. ლანჩხუთი;
- 186. თამაზ ტრაპაიძე, საია-ს ოზურგეთის ოფისი, ქ. ოზურგეთი;
- 187. მანანა ჯინჭარაძე, კავშირი სოციუმში, ქ. ოზურგეთი;

იმერეთი

- 188. თენგიზ ასლანიკაშვილი, კავშირი კონსტიტუციის მუხლი 42, ქუთაისის ფილიალი, ქ. ქუთაისი;
- 189. მადონა ბასილაძე, საია-ს ქუთაისის ფილიალი, ქ. ქუთაისი;
- 190. ალა გამახარია, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი სოხუმი, ქ. ქუთაისი;
- 191. ნატო გუბელაძე, გაზეთი P.S., ქ. ქუთაისი;
- 192. ხვიჩა ვაშაყმაძე, ქუთაისის საინფორმაციო ცენტრი, ქ. ქუთაისი;
- 193. რუსუდან ვაშაძე, დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვის ასოციაცია მადლი, ქ. ჭიათურა;
- 194. ანა კიკვაძე, ძალადობისგან დაცვისა და უსაფრთხოების ქსელი, ქ. ქუთაისი;
- 195. ლიკა კილაძე, საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი აფხაზეთი, ქ. ქუთაისი;
- 196. მაია მეცხვარიშვილი, ძალადობისგან დაცვისა და უსაფრთხოების ქსელი, ქ. ქუთაისი;
- 197. დათო მოდებაძე, ქუთაისის ადვოკატთა ასოციაცია, ქ. ქუთაისი;
- 198. ანდრო ნიკოლაიშვილი, კავშირი სამანი, ქ. სამტრედია;
- 199. ევეგენი ომანაძე, საზოგადოება და სამართალი, ქ. ქუთაისი;
- 200. მურმან სვანიძე, ასოციაცია აფხაზეთი, ქ. წყალტუბო;
- 201. დავით ჩიკაშუა, ახალგაზრდობა სამოქალაქო განვითარებისთვის, ქ. ქუთაისი;
- 202. მანუჩარ ცერცვაძე, იურისტთა და ეკონომისტთა ჭიათურის ოფისი, ქ. ჭიათურა;
- 203. ქეთევან ცხაკაია, იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი სპექტრი, ქ. ქუთაისი;
- 204. ზურაბ ხურციძე, იმერეთის რეგიონის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაცია საჩინო, ქ. ქუთაისი;
- 205. ეკა ჯანაშია, თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი ქუთაისი, ქ. ქუთაისი;

კახეთი

- 206. ალიბალა ასკეროვი, გვირათი, ქ. გურჯაანი;
- 207. მანანა აშკარელიშვილი, კავშირი ერის იმედი, ქ. გურჯაანი;
- 208. ჯოყოლა აჭიშვილი, ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის, პანკისის ხეობა;
- 209. თამარ ბატიაშვილი, საზოგადოებრივი კავშირი ჟურნალისტები და იურისტები სამართლიანობისთვის, ქ. თელავი;
- 210. გიორგი ბოკერია, სამოქალაქო განვითარების ასოციაცია, ქ. ლაგოდეხი;
- 211. კახი გიმაზაშვილი, კავშირი ალაზნის აუზის საბჭო, ქ. თელავი;
- 212. ანზორ გოგოლაძე, ალვანი 2000, ქ. ახმეტა;
- 213. კახა კველიშვილი, იურისტები სოციალურად დაუცველი ფენებისთვის, ქ. თელავი;
- 214. ენრი კობახიძე, ტელეკომპანია თანამგზავრი, ქ. თელავი;
- 215. ვერიკო კობიაშვილი, ადამიანის უფლებების საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის თელავის ოფისი, ქ. თელავი;
- 216. იზუმრუდ კურბანოვი, გვირათი, ქ. გურჯაანი;
- 217. საიდ მადავეი, ასოციაცია ბარტი, პანკისის ხეობა;
- 218. გიორგი მესაბლიშვილი, საზოგადოებრივი კავშირი მომავალი თაობა, ქ. თელავი;
- 219. ვახტანგ მოსიაშვილი, საზოგადოებრივი კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, ქ. თელავი;
- 220. გელა მთივლიშვილი, ადამიანის უფლებების საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი, ქ. გურჯაანი;
- 221. შუქია ნაროზაული, ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის, ქ. ახმეტა;
- 222. ჯილდა ნიბლაძე, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი, ქ. გურჯაანი;
- 223. ოთარ სამონაშვილი, ადამიანის უფლებების საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი, ქ. საგარეჯო;
- 224. მალხაზ სეხნიაშვილი, კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი, თელავის ოფისი, ქ. თელავი;
- 225. თენგიზ სიმაშვილი, საზოგადოებრივი კავშირი ევრიკა, ქ. თელავი;
- 226. ალიკა ტალიური, საზოგადოებრივი კავშირი მებრძოლ პატრიოტთა კავშირი, ქ. თელავი;
- 227. ლელა ტალიური, საია-ს თელავის ოფისი, ქ. თელავი;
- 228. აბესალომ ტურაშვილი, საზოგადოებრივი კავშირი თელავის საინფორმაციო ცენტრი, ქ. თელავი;
- 229. თინათინ ფოცხვერაშვილი, იურისტთა განვითარების ცენტრი, ქ. სიღნაღი;
- 230. ზაზა ჩუბურიშვილი, სიღნაღის საინფორმაციო ცენტრი, ქ. სიღნაღი;
- 231. ალექსანდრე ცუკილაშვილი, კავკასიის მერიდიანი, ქ. ყვარელი;
- 232. ლაურა ხარიტონაშვილი, ასოციაცია ვეჯინი, ქ. გურჯაანი;
- 233. ელდინო ჯანგულაშვილი, ინტელექტუალები ადამიანის უფლებათა დაცვისთვის, ქ. თელავი;

ქვემო ქართლი

- 234. მარინა ბჟალავა, ქვემო ქართლის ქალთა ასოციაცია, ქ. ბოლნისი;

- 235. მანცურ იუზბაშვილი, საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი, ქ. მარნეული;
- 236. ალექსანდრე ოქროპირიძე, ხიდი XX, ქ. რუსთავი;
- 237. ზემფირა რზაევა, კავშირი ეთნიკური ინიციატივების განვითარების სამოქალაქო საზოგადოება, ქ. რუსთავი;
- 238. ეკატერინე ფავლენიშვილი, საია-ს რუსთავის ოფისი, ქ. რუსთავი;
- 239. ირინა ჩინჩალაძე, კავშირი სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერის ცენტრი, ქ. ბოლნისი;
- 240. ვადიმ ჭანტურიძე, კავშირი ეთნიკური ინიციატივების განვითარების სამოქალაქო საზოგადოება, ქ. რუსთავი;
- 241. ხათუნა ხუციშვილი, ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის, ქ. რუსთავი;

მცხეთა-მთიანეთი

- 242. თამარ ბაშარაძე, ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის, ქ. მცხეთა;
- 243. ხათუთი კარიაული, კონკია ალიანსი, ქ. დუშეთი;
- 244. რეზი ოთარაშვილი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების ასოციაცია, ქ. დუშეთი;
- 245. ლალი სეთურიძე, ქალი და ჯანმრთელობა, ყაზბეგის ფილიალი, ქ. ყაზბეგი;
- 246. ლალი ქავთარაძე, კონკია ალიანსი, ქ. დუშეთი;
- 247. ლაშა ჩოხელი, საია-ს დუშეთის ოფისი, ქ. დუშეთი;

რაჭა

- 248. ნინო სოხაძე, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საკრებულოს ასოციაცია, ქ. ამბროლაური;
- 249. ფატი ქემოკლიძე, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საკრებულოს ასოციაცია, ქ. ამბროლაური;

სამეგრელო

- 250. გია აგუნავა, რადიო ევრაზია, ქ. ზუგდიდი;
- 251. ნანა ბალათურია, სამოქალაქო ინიციატივების განვითარების ასოციაცია, ქ. სენაკი;
- 252. ნატო ბერულავა, ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის, თავისუფალი გაზეთი, ქ. ზუგდიდი;
- 253. რიმა ბოხუა, წალენჯიხის ასოციაცია, შეზღუდული შესაძლებლობების ქალები და შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვთა დედეები, წალენჯიხა;
- 254. ლეილა გაბელია, ლეილენ გეორგია, ქ. აბაშა;
- 255. ინგა გვასალია, გაზეთი მთავარი სამეგრელოში, ქ. ფოთი;
- 256. მარინა დავითაია, ასოციაცია მედეა, ქ. ზუგდიდი;
- 257. ვეფხია ვეფხვაძე, თანამშრომლობისა და ურთიერთობების განვითარების ასოციაცია, ქ. სენაკი;
- 258. ლელა კაკაჩია, სამოქალაქო კავშირი მაცნე, ჩხორონყუ;
- 259. ქრისტინე კილანავა, აფხაზეთის ქალთა საბჭო, ქ. ზუგდიდი;
- 260. სოფიო კვიციანი, ასოციაცია მედეა, ჩხორონყუ;
- 261. ზაზა მაჭარაშვილი, საერთაშორისო მართლმადიდებელ ქრისტიანთა საქველმოქმედო ორგანიზაცია, ქ. ფოთი;
- 262. ირაკლი პატარაია, დემოკრატიის მხარდაჭერის ცენტრი, ქ. სენაკი;
- 263. ნიკა სართანია, საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერ პოლიტიკოსთა ასოციაცია, ქ. ზუგდიდი;
- 264. ნუგზარ ქობულაძე, მხარდაჭერა განვითარებისთვის, ქ. ფოთი;
- 265. რუსუდან ყალიჩავა, XX საუკუნის ქალები, ქ. ზუგდიდი;
- 266. ლაშა შედანი, საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი აფხაზეთი, ქ. ზუგდიდი;
- 267. მაია ჭუბელაძე, ადამიანის უფლებების საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი, ქ. ზუგდიდი;
- 268. გია ხასია, ათინათი, ქ. ზუგდიდი;
- 269. ჯილდა ხორავა, ადგილობრივი ტელევიზია კოლხეთი 89, ჩხორონყუ;

სამცხე-ჯავახეთი

- 270. გოჩა ატოშვილი, ბიზნესცენტრი, ქ. ახალციხე;
- 271. მაიქლ ავაქიანი, საქართველოს სომეხ ახალგაზრდათა კავშირი, ქ. ნინოწმინდა;
- 272. გულიკო ბექაური, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, ქ. ახალციხე;
- 273. ნინო ბერიძე, ქალთა ქსელი, ქ. ახალციხე;
- 274. არმენ დარბინიანი, სამცხე-ჯავახეთის მომხმარებელთა კავშირი, ქ. ნინოწმინდა;

- 275. არარატ ესოიანი, რეფორმებისა და განვითარების დემოკრატიული ცენტრი, ქ. ახალქალაქი;
- 276. ნანა ზუბაშვილი, სამყარო, ქ. ახალციხე;
- 277. გაგიკ იანდაზიანი, ახალქალაქის სახალხო უნივერსიტეტი, ქ. ახალქალაქი;
- 278. მარტინ კარახანიანი, რეფორმებისა და განვითარების დემოკრატიული ცენტრი, ქ. ახალქალაქი;
- 279. სერგეი კარახანიანი, კავშირი აბლარი, ქ. ახალქალაქი;
- 280. ლევონ ლევონიანი, კავშირი ეთნოსაერთაშორისო ინიციატივები სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის, ქ. ახალქალაქი;
- 281. ანაიდა ოგანესიანი, ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის, ქ. ახალციხე;
- 282. ვაგარშაკ შახბეგიანი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, ქ. ახალქალაქი;
- 283. ჯამბულ ხოზრევანიძე, კავშირი „ასპინძა“, ქ. ასპინძა;

სვანეთი

- 284. რუსუდან ნაკანი, მთიანი რეგიონის ქალები, ქ. მესტია;
- 285. ეთერ ჯაფარიძე, მთიანი რეგიონის ქალები, ქ. მესტია;

შიდა ქართლი

- 286. ზაზა აბაიაძე, რეგიონების დაცვითი საინფორმაციო ცენტრი ლიხი, ქ. ხაშური;
- 287. გიორგი არაყიშვილი, კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი, შიდა ქართლის ოფისი, ქ. გორი;
- 288. ქეთევან ბებიაშვილი, საია-ს გორის ოფისი, ქ. გორი;
- 289. ვერიკო ბინაძე, ათინათი, ქ. გორი;
- 290. ფატი ბუხრიკიძე, ასოციაცია მოსელნი, ქ. ქარელი;
- 291. არინა თავაკარაშვილი, საზოგადოებრივი მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო, გორის ფილიალი, ქ. გორი;
- 292. მარკა მღებრიშვილი, ასოციაცია ბილიკი, ქ. გორი;
- 293. დავით წიქარიშვილი, სასწავლო საინფორმაციო ცენტრი ქართლი 21, ქ. ხაშური;
- 294. საბა წინიკაშვილი, ადამიანის უფლებების საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი, ქ. გორი;
- 295. ალექსანდრე ჯოჯიშვილი, ბავშვთა და მოზარდთა უფლებების ორგანიზაცია სვლა, ქ. ხაშური;
- 296. მაია ჯულაყიძე, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოში, ქ. გორი;

აფხაზეთი

- 297. ცირა კაკუბავა, ქ. გალი;
- 298. მაია კვარაცხელია, ასოციაცია ავანგარდი, ქ. გალი;
- 299. თინა ქეცბაია, გალის ქალთა საბჭო, ქ. გალი;
- 300. რუსიკო ქობალია, ასოციაცია ავანგარდი, ქ. გალი;

ცხინვალის რეგიონი

- 301. დინა ალბოროვა, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების სააგენტო, ქ. ცხინვალი.
- 302. ირინა იანოვსკაია, ჟურნალისტები ადამიანის უფლებებისთვის, ქ. ცხინვალი.
- 303. ლირა ცხოვრებოვა, სამხრეთ ოსეთის ქალთა ასოციაცია დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის, ქ. ცხინვალი;

კონგრესზე ბაკთიუხული მოხსენაუბი

25 ივნისი, 2006 წ.
შერატონ მეტეხი პალასი,
თბილისი, საქართველო

„ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი“

უჩა ნანუაშვილი

ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობაზე საუბრისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ე.წ. რევოლუციური სინდრომი, რომელიც ახასიათებს ხელისუფლების მრავალ წარმომადგენელს. როდესაც ვინმე განსხვავებულ აზრს გამოხატავს, ის განიხილება მტრად და ნულოვანი ტოლერანტობა განსხვავებული აზრის მიმართ საზოგადოებასთან ურთიერთობაშიც ვლინდება. საზოგადოება დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: ჩვენ (ხელისუფლება) და ისინი. ისინი, ანუ ვინც უპირობოდ არ უჭერენ მხარს ხელისუფლებას, განიხილებიან როგორც უმნიშვნელო, მეორეხარისხოვანი ადამიანები. ეს არის სამწუხარო რეალობა.

ზოგადად, ხელისუფლება კრიტიკაზე რეაგირებს უკიდურესად აგრესიულად, განსხვავებით წინა ხელისუფლებისგან, რომელიც არაფერზე რეაგირებდა.

დამოუკიდებელი ორგანიზაციები იგნორირებულია საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. არასამთავრობოების თანამშრომლობა მთავრობასთან არის დემონსტრაციული. ხელისუფლება ცდილობს წარმოსახვითი თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნას.

ხელისუფლების აზრით, არასამთავრობოებმა უკვე შეასრულეს მისია ვარდების რევოლუციაში და ახლა აღარ არიან ანგარიშგასაწევი და საჭირონი. რევოლუციიდან რამდენიმე დღის შემდეგ მაღალი თანამდებობების პირთა მიერ გავრცელდა სპეკულაციები ამ თემაზე და გაისმა განცხადებები, რომ ახალი ხელისუფლება არ საჭიროებს მონიტორინგს, არასამთავრობო სექტორმა უნდა შეიცვალოს სტილი და ვოტჩდოგის ფუნქციის ნაცვლად, სოციალური საკითხებით უნდა დაკავდეს.

სამოქალაქო საზოგადოებიდან კადრების გადასვლა სამთავრობო სტრუქტურებში.

კრიტიკას ხელისუფლება აღიქვამს არაადეკვატურად. საზოგადოება მზად არის და ცდილობს ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, რადგან მნიშვნელოვანი შედეგები მხოლოდ ურთიერთთანამშრომლობით მიიღწევა. სამწუხაროდ, ხელისუფლების წარმომადგენლთა შორის ხშირია ზოგიერთი ორგანიზაციისადმი საერთოდ ტოტალური უყურადღებობა. ორგანიზაციებს, რომელთაც არ დაუჭირეს მხარი რევოლუციას, განსაკუთრებულ მტრებად განიხილავენ და უარს ამბობენ მათთან ერთად ერთ მაგიდასთან დაჯდომასა და დისკუსიაზეც კი. ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი მედია ბლოკავს არაერთ კრიტიკულ სიუჟეტსა და ინფორმაციას. ორგანიზაციებზე პირდაპირი და ირიბი ზეწოლისა და მუქარის ფაქტებიც უკვე საკმაოდ მომრავლდა უკანასკნელ ხანს - მონიტორინგის ფუნქციების შეზღუდვა, კონტროლის მექანიზმებიდან გარიყვა და მარგინალურ ჯგუფებად განხილვა, არასამთავრობოებისა და საზოგადოების აქტიური წარმომადგენლების მარგინალებად და კრიმინალებად წარმოდგენა. ხელისუფლება არანაირ ყურადღებას არ აქცევს საზოგადოებას.

ხელისუფლება მართულ არასამთავრობოთა ბირთვის შესაქმნელად ძალებს არ ზოგავს და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლში, რომელიც ეხება სახელმწიფო კონტროლს კავშირისა და ფონდის საქმიანობაზე, 2004 წლის 26 ნოემბერს ცვლილებები შეაქვს, რომლის თანახმადაც, ჩნდება დაინტერესებული

პირი და მისი უფლებები კავშირისა და ფონდის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლში ცვლილებების შეტანამდე ჩამოყალიბებულია, რომ სასამართლომ/იუსტიციის სამინისტრომ უნდა გააუქმოს რეგისტრაცია, თუ კავშირი ან ფონდი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, ან თუ წესდებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელება შეუძლებელი ხდება.

2. თუ კავშირი ან ფონდი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, ან თუ მისი წესდებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელება შეუძლებელი ხდება, სასამართლო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ან/და დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე განიხილავს და წყვეტს კავშირის ან ფონდის საქმიანობის გაგრძელების ან აკრძალვის საკითხს.

3. სასამართლოს მიერ კავშირის ან ფონდის საქმიანობის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელმა ტერიტორიულმა ორგანომ უნდა გააუქმოს რეგისტრაცია.

აქედან გამოიკვეთა ტენდენცია, რომ 2004 წლის 26 ნოემბერს შეტანილი ცვლილებით, რომლის ამოქმედებაც მოხდება 2005 წლის 2 მარტიდან, ისევ სასამართლოს მიენიჭა კავშირის ან ფონდის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება. ამ საკითხს სასამართლო იხილავს იუსტიციის სამინისტროს ან/და დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე, ე.ი. გაიზარდა დაინტერესებული პირის უფლებები კავშირისა და ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებით. თუმცა, დაინტერესებული პირის ვინაობაზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

თავად ამ ცვლილების შეტანის დრო გვავარაუდებინებს, რომ ხელისუფლება ცდილობს, კონტროლის ქვეშ მოაქციოს არასამთავრობო ორგანიზაციები, ანუ ხელისუფლებას ჰქონდეს მეტი ბერკეტი, ჩაერიოს არასამთავრობოების საშინაო საქმეებში, რათა მოახდინოს ერთგვარი კონტროლი.

კანონში არ არის მოცემული განმარტება, ვინ შეიძლება იყოს ეს ადამიანი. ის პუნქტიც საკმაოდ გაუგებარი და საეჭვოა, თუ რა იგულისხმება ორგანიზაციის მიზნების შეუსრულებლობაში, რადგან ეს ძალზედ სუბიექტური საკითხია. ვინ უნდა განსაზღვროს ესა თუ ის ორგანიზაცია ასრულებს თუ არა თავის მიზნებს? ეს საკმაოდ პირობითია. ორგანიზაციას შესაძლოა ჰქონდეს აქტიური და პასიური პერიოდი, იქიდან გამომდინარე, თუ რა რესურსები აქვს და ეს არ გულისხმობს, რომ ორგანიზაცია უნდა გაუქმდეს. ის არის ჩვეულებრივი სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი, რომელშიც სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს. ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან მსგავსი შეზღუდვების დანესება მიუთითებს, რომ ხელისუფლება დაინტერესებულია არა სამოქალაქო სექტორის განვითარებით, არამედ შეზღუდვით, შემდეგ უკვე კამპანიების აგორებით ცალკეული ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც იქნებიან კრიტიკულები ხელისუფლებისადმი და არ დახუჭავენ თვალს მათ დარღვევებზე. ხელისუფლება ცდილობს, ჰყავდეს მართული არასამთავრობოთა ბირთვი, რომლებიც, სამწუხაროდ, დიდ ნაწილს იკავებს უკვე საქართველოში. მსგავსი ინიციატივები და ცვლილებები მხოლოდ უარყოფითად იმოქმედებს ხელისუფლების იმიჯზე.

არასამთავრობო ორგანიზაციები უნდა იყვნენ დამოუკიდებელი და პოლიტიკურად მიუკერძოებელი. საზოგადოება უნდა იყოს აქტიური და ხელისუფლება — ანგარიშვალდებული.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთობა გახდება ცივილური და ხელისუფლება არა თავის გადარჩენისა და მოახლოებული არჩევნებისთვის დაცემული რეიტინგის გაუმჯობესების მიზნით, არამედ დემოკრატიული საქართველოსა და ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით დაიწყებს დიალოგს საზოგადოებასთან.

კავკასიის ქალთა ქსელი

ნინო ციხისთავი,

ერთი რამ უდავოა, რომ მსოფლიო აღიარებს ქალთა თანასწორობას. ცხადია, რომ საქართველოში ქალები ვითხოვთ თანაბარ შესაძლებლობებსა და კანონის წინაშე თანაბარ მდგომარეობას.

თუკი არსებობს 4 ტიპის პოლიტიკა გენდერული თანასწორობის მიმართულებით, რომლებიც შეიძლება შეფასდეს, როგორც

1. გენდერულად ბრმა პოლიტიკა
არ მიმდინარეობს ქალთა და მამაკაცთა საჭიროებათა აღრიცხვა ცალ-ცალკე, არ არსებობს დაცალკევებული სტატისტიკა
2. გენდერულად ნეიტრალური პოლიტიკა
აქცევენ ყურადღებას ქალთა პრაქტიკულ საჭიროებას, მაგრამ არ არსებობს ინტერესი ქალთა სტრატეგიული საჭიროებების მიმართ, არ ნაწილდება სათანადოდ მიდგომა და რესურსები
3. გენდერულად გაცნობიერებული პოლიტიკა
გენდერულად დაცალკევებული პოლიტიკის წარმართვა, განსხვავებული საჭიროებების აღიარება და მათი დაკმაყოფილება სახელმწიფო პოლიტიკის მხრიდან
4. გენდერულად ტრანსფორმაციული პოლიტიკა
 - ა. როცა მიმდინარეობს დისკრიმინაციის, ჩაგვრისა და განსხვავებათა შესწავლა
 - ბ. სტრატეგიულ საჭიროებათა აღრიცხვა
 - გ. გენდერული როლებისა და ტრადიციების კრიტიკული გადახედვა
 - დ. ქალთა და მამაკაცთა პასუხისმგებლობების პარმონიზაცია სამართლიანი პირობების შექმნით საკანონმდებლო სიბრტყესა და პრაქტიკაში
 - ე. თანაბარი შანსების მინიჭება ქალთა და მამაკაცთათვის, იყვნენ დასაქმებული, არჩეულნი და მომზადებულნი მათი პოტენციალის გაძლიერების გზით

ამ ფონზე მინდა მოგაწოდოთ სურათი, რა ხდება დღეს საქართველოში:

კი, დღეს უკვე არსებობს გენდერული თანასწორობის ორი ინსტიტუციური მექანიზმი: საპარლამენტო საკონსულტაციო საბჭო და სახელმწიფო კომისია. ეს სტრუქტურები შეიქმნა მას მერე, რაც ამ ორგანიზაციებმა დიდი ენერჯია დახარჯეთ რეკოლუციის შემდეგ და დავარწმუნეთ ხელისუფლება, რომ საჭიროა სახელისუფლებო პასუხისმგებელი ორგანო. დღეს კი უკვე არსებობს პოლიტიკის სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის შემუშავებული დოკუმენტები. მათ, ალბათ, მიიღებს მთავრობა.

მაგრამ რა ხდება პრაქტიკაში რეალურად. საკანონმდებლო სიბრტყე:

- ✓ არ გაკეთებულა არსებული კანონების გენდერული ანალიზი და აქედან გამომდინარე, ჩვენი კანონმდებლობა შესაბამისობაში არ მოსულა საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების მიმართ რიგი კონვენციებისა და სხვა აქტების მიმართ ქალთა და გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით
- ✓ თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონით მოისრა თვითმმართველი ერთეულების ქვედა, პირველადი დონე და აინია ზევით, რაიონის დონეზე, თანაც ჯეროვნად შემცირდა საერთო რაოდენობა 339-დან 77-მდე

- ✓ ოჯახური ძალადობის შესახებ კანონი (მაისი) ადმინისტრაციული დარღვევა ყოფილა და არა სისხლის სამართლის საქმე
- ✓ ოჯახის შექმნის უფლება არ აქვს დღეს ადამიანს, რომელიც ენიჭება ევროპული კონვენციით (მუხლი 8)
- ✓ ქორწინების რეგისტრაციის საკითხი აისახება მარტო კანონში, თუმცა წინააღმდეგობაშია სახელმწიფო ხელშეკრულებასთან, რომელიც დადებულია მართლმადიდებელ ეკლესიასთან (მუხლი 3)
- ✓ შრომის კანონი ჩვენი სიამაყეა (ფეხმძიმე ქალები ან ქალები, სანამ დაფეხმძიმდებიან საშიში ძალაა და სახელმწიფო ბოლო ორი წელიწადია, ხელჩართულ ბრძოლას აცხადებს ჩვენთან, რომ ჯეროვნად არ ასახოს ჩვენი საჭიროებები)
- ✓ ევროპის სოციალური ქარტია, დისკრიმინაციის კონვენცია, ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებებზე და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები რატიფიცირებული, მიერთებული, აღიარებული - ეს ყველაფერი საზღვრებს გარეთ რჩება, როცა ხელისუფლება ინგლისურად საუბრობს, თორემ აქ, შიგნით, ჩვენთან, არ თვლის საჭიროდ, დიალოგში შემოვიდეს

ახალი პრაქტიკა - მინისტრი ქალები 6-დან 1 დარჩა
თვითმმართველობის 2002 წლის მდგომარეობიდან, 14,5% ქალებიდან ახალი არჩევნებით მოსალოდნელია მესამედის შენარჩუნება - გამომდინარე იქიდან, რომ ის პროცენტი მხოლოდ პირველადი დონის არსებობის ხარჯზე იყო

ქალები, მათი ოჯახები, მათი მცირეწლოვანი და არასრულწლოვანი შვილები, ვისაც შექმნილი აქვს ოჯახი, - კანონგარეშენი არიან, მათ არ აღიარებს ჩვენი კანონმდებლობა

მდგომარეობა ციხეში და იქ ჩვენი ქალები

ვინც დაიცვა მათი უფლება - აღიარა მათი უფლება სასამართლოში და თქვა, რომ სწორედ ევროპული კონვენცია იცავს მათ - ის მოსამართლეები დევნას განიცდიან, მათ სერიოზული წნეხი გამოიარეს და კიდევ დიდხანს გაუგრძელებენ ამ ეკლიან გზას;

ფეხმძიმე ქალები გათავისუფლებულნი არიან სამსახურებიდან, სამსახურებში უკან აღარ დააბრუნეს ბავშვის გაჩენის შვებულებიდან დაბრუნებული ქალები

მრავალშვილიანი დედები, მარტოხელა დედები - მათი შემწეობა გაიგივდა მხოლოდ იმ მიდგომასთან, როცა საერთო შემცირებაში თამამად აყოლებენ და არც აინტერესებთ, როგორი სტატუსი აქვთ მინიჭებული იგივე სახელმწიფოსგან, რომელსაც ეს შემცირება აქვს გამოცხადებული

ეს ჩამონათვალი დიდია, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ამ ფონზე გამოკვეთილია, როგორი პოლიტიკა აქვს საქართველოს ქალთა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით. ეს არ არის არც ბრმა, არც ნეიტრალური, არც გაცნობიერებული და რა თქმა უნდა, არც ტრანსფორმაციული გენდერული პოლიტიკა

ეს არის გენდერული პოლიტიკა ქართულად, როდესაც დარწმუნებულნი არიან, რომ პასუხს არავენ მოსთხოვთ.

„კონსტიტუციის 42-ე მუხლი“

მანანა კობახიძე

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელების პრობლემები საქართველოში

სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების ერთ-ერთი ძირითადი პირობა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სამართლიანი სასამართლოს უფლებაა.

ამ უფლებებზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ზოგადად პიროვნების სამართლებრივი მდგომარეობა სახელმწიფოში და მისი სტატუსი. ამ უფლებას იცავს საერთაშორისო კონვენციები თუ ქვეყნის კონსტიტუცია. სახელმწიფო ვალდებულია, ქმნიდეს ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის გარანტიებს. თუმცა ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ ხელისუფლება, სხვა ძირითად უფლებებთან ერთად, უხეშად არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას და ხშირ შემთხვევაში ადამიანებისთვის მართლმსაჯულება ხელმიუწვდომელი ხდება.

აღნიშნული განცხადების საფუძველს გვაძლევს ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებსაც ჩვენ, ადვოკატები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ყოველდღიურად ვხვდებით მუშაობის პროცესში. საზოგადოებისთვის ბევრი რამ კარგად არის ცნობილი და ალბათ ძნელია, რამე განსაკუთრებული განაცხადო. მაგრამ მე მაინც მინდა რამდენიმე გარემოებასთან დაკავშირებით მივიქციო თქვენი ყურადღება. კერძოდ, ვარდების რევოლუციის შემდგომ განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა თუ სასამართლო რეფორმამ, მნიშვნელოვნად შეზღუდა კონსტიტუციის 42-ე მუხლით დაცული სასამართლოსადმი მიმართვისა თუ ევროპის კონვენციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე.

ყოველდღიურად კონსტიტუციის 42-ე მუხლს ათეულობით მოქალაქე აკითხავს სამართლებრივი დახმარების მიღების სურვილით და იმ პრობლემით, რომ მათ მიმართ ადგილი აქვს უფლებების უხეშ დარღვევას სახელმწიფო მოხელეების მხრიდან. ასეთმა შემთხვევებმა საგრძნობლად იმატა მიმდინარე წლის განმავლობაში. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ხშირად ადამიანური რესურსიც აღარ გვყოფნის იმისთვის, რომ დავიცვათ დაზარალებულები.

სისხლისსამართლებრივი კუთხით, მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ბრალდებულის დაცვის უფლების ეფექტური განხორციელება. სახელმწიფო ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს მატერიალურად ხელმოკლე ადამიანების დაცვის უფლებით უზრუნველყოფას. მით უმეტეს, რომ სახაზინო ადვოკატის დღიური ანაზღაურება, დღეის მდგომარეობით, შეადგენს მხოლოდ 2 ლარს. ასეთი კატეგორიის ადამიანებისთვის ერთადერთ რეალურ საშუალებას წარმოადგენდა ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ უფასო იურიდიული დახმარების პროგრამებს, მათ შორის, კონსტიტუციის 42-ე მუხლიც. თუმცა, მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის ივნისიდან, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, კავშირებსა თუ ასოციაციებს უფლება წაერთვათ, განახორციელონ საადვოკატო საქმიანობა და შესაბამისად, გამოიყენონ ორგანიზაციის ორდერი სისხლის სამართლის საქმეში. ეს ნიშნავს, რომ საკმაოდ სერიოზულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა ძირითადი საქმიანობაც ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვაა, ექმნებათ დაბრკოლება, აწარმოონ სტრატეგიული საქმეები, წარმოადგინონ სოციალუ-

რად დაუცველი მოსახლეობის ინტერესები საგამოძიებო ორგანოებსა თუ სასამართლოში. სამწუხაროდ, ეს, ერთის მხრივ, გამოიწვევს უფლებადამცველი ორგანიზაციების როლის შესუსტებას სამართალწარმოების პროცესში, ხოლო მეორეს მხრივ, დაზარალებულთა ისევ და ისევ სოციალურად დაუცველი ფენა. ვფიქრობთ, აღნიშნული გარემოებების ფონზე აშკარაა, რომ მართლმსაჯულება საქართველოში დღეისათვის უმრავლესობისთვის ხელმიუწვდომელია.

ცალკე პრობლემად მინდა გამოვკვეთო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ბოლოდროინდელი რეპრესიული ხასიათის ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, ადვოკატს დაცვითი სიტყვისთვის განესაზღვრა ვადა, რაც მოსამართლეს მისცემს საშუალებას ნებისმიერ დროს განსასჯელს შეუზღუდოს დაცვის უფლება. მოსამართლეს უფლება მიეცა, თავისი განკარგულებით ნესრიგის დარღვევისთვის ადვოკატს შეუფარდოს პატიმრობაც კი 1 თვემდე ვადით. ამის პრეცედენტი უკვე არის თელავის სასამართლოში. თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დღეს, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ფაქტობრივად არარსებობის პირობებში, მეტად ადვილია პროცესს ჩამოაშორონ არასასურველი დამცველი და ეს მაშინ, როდესაც არ არსებობს დაპატიმრების შესახებ მოსამართლის განკარგულების თუნდაც ერთ ინსტანციაში გასაჩივრების შესაძლებლობა. აღნიშნული პირდაპირ არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლს და, შესაბამისად, არაკონსტიტუციურია.

ქვეყანაში მნიშვნელოვან პრობლემად რჩება დანაშაულის არაეფექტური გამოძიება და დამნაშავე პირთა დაუსჯელობა, მით უმეტეს, როცა ადგილი აქვს სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან ჩადენილ ქმედებებს. შეუძლებელია მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე საუბარი, როდესაც თვეების განმავლობაში დაზარალებულებს უწევთ სახელმწიფო სასამართლო ექსპერტიზის დასკვნების მისაღებად ლოდინი, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ე.წ. სპეცოპერაციათა შედეგად დაღუპულ ადამიანებს. 2006 წლის იანვარში თბილისში, სამგორის მეტროსთან პოლიციის მიერ დაცხრილულ სურმანიძისა და სხვათა საქმეზე თბილისის პროკურატურისგან დღემდე ვერ მივიღეთ რამე სახის პასუხი საქმის გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით ექსპერტიზის გაჭიანურების გამო. მოკლულებს სისხლის სამართლის საქმეში დღემდე არ გააჩნიათ რამე სტატუსი.

მიმდინარე წლის 29 მარტს, ციხეში ჩატარებულ სპეცოპერაციას შეეწირა რამდენიმე პატიმარი, მათ შორის სრულიად უდანაშაულო ცხოვრებოვი, რომელსაც დაჭრის შემდეგ 40 წუთის განმავლობაში არ აღმოუჩინეს აუცილებელი სამედიცინო დახმარება და იგი გარდაიცვალა სისხლის დაკარგვის შედეგად. დღემდე საქმეში დაზარალებულად ცნობილი არ არის მისი რომელიმე უფლებამონაცვლე.

რაც შეეხება სამოქალაქო საქმეებს, აქ მართლმსაჯულების განხორციელების მნიშვნელოვან შეზღუდვად უნდა მივიჩნიოთ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში, საჩივრების დასაშვებობისას, დავის საგნის ღირებულების განსაზღვრა 1.000 და 50.000 ლარზე მეტი ოდენობით, ნაცვლად ადრე არსებული 500 და 1000 ლარისა. ამ ცვლილების ავტორებს ალბათ ჰქონდათ ილუზია, რომ მოსახლეობის მატერიალური შემოსავლები რევოლუციის შემდეგ 50-ჯერ მაინც გაიზარდა, რაც, სამწუხაროდ, ასე არ არის.

საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებზე, რომელიც მანამდე იყო უფასო, დანესდა სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით, თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, საკმაოდ გართულდა სასამართლოს გზით ამ ღონისძიების მიღწევის შესაძლებლობა. სრულიად გაუგებარია — რატომ, მაგრამ ბოლოდროინდელი სასამართლო პრაქტიკით, აშკარა ქონებრივ დავებშიც კი, სადაც საქმე ეხება უძრავი

ქონების უკანონოდ გასხვისებას, მოსამართლეები თავს არიდებენ უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარებას და შესაბამისად, სადავო ქონების დაყადაღებას, რითაც მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანის რისკის ქვეშ აყენებენ ადამიანებს. როგორც ჩანს, კანონმდებელმა ზემოაღნიშნული ბაჟის დაწესებით მხოლოდ საბიუჯეტო შემოსავლებზე იზრუნა, სანაცვლოდ კი მნიშვნელოვნად შეიზღუდა სასამართლოს გზით უფლებათა დაცვის შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნული საკმაოდ მოკრძალებულად, მაგრამ მაინც გვიქმნის წარმოდგენას, რა მდგომარეობაა დღეისათვის საქართველოში სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელებისა თუ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ის კი უდავოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, სამწუხაროდ, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სტანდარტებისგან ჯერ კიდევ შორს ვდგავართ.

კონსტიტუციური უფლებების დაცვის ქსელი

ალექსი შოშიკელაშვილი,

რეგიონული პოლიტიკის პრობლემები

წარმოდგენილი აუდიტორიის ყურადღებას მივაპყრობ საქართველოში ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდგომ კახეთის რეგიონში განვითარებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებს, თუ რამდენად გამართლდა რეგიონის მოსახლეობის მოლოდინი რეგიონში დადებითი ცვლილებების განხორციელების კუთხით და შეძლო თუ არა ხელისუფლებამ მოსახლეობისათვის თუნდაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების დადებითად გადაწყვეტა.

თვალშისაცემია ადგილებზე რაიონის გამგებლის თანამდებობებზე მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნა ისე, რომ არ არის გათვალისწინებული ადგილობრივი მოსახლეობის ნება და ძირითად შემთხვევებში რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ხვდებიან ადამიანები, რომლებიც ნდობის არანაირი მანდატით მოსახლეობის მხრიდან არ სარგებლობენ. მეტიც, ისინი რაიონის საკრებულოს წევრებიც კი არ არიან. კანონით გათვალისწინებული პროცედურების შემოვლის გზით, ეს პირები ხელთ იგდებენ რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობას და ადგილებზე ხელისუფლების სრულ უზურპაციას ახდენენ. კერძოდ: კახეთში, თუ ავიღებთ თელავის მაგალითს, ყოფილი ხელისუფლების თანამდებობის პირების გათავისუფლებას მოჰყვა ყველანაირი კრიტიციუმის გარეშე ადგილებზე თანამდებობების დაკავება პარტიული ნიშნით. არსებითაა საზოგადოების სამოქალაქო ცნობიერების დონის ამაღლება და ადგილებზე ისეთი ლიდერების გამოკვეთა, რომლებიც მართლაც შეეცდებიან ადგილობრივი პრობლემების მოსახლეობის ინტერესების სფეროში მოგვარებას.

დღევანდელი მდგომარეობით, რეგიონში ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე შეღებულ შენობასა და საჩვენებლად სახელდახელოდ გაკეთებულ რამდენიმე სპორტულ მოედანს თუ სკვერს. აღნიშნული პიარ-სიმბოლოების უკან იმალება კარგად შენიღბული კორუფცია როგორც მმართველობით, ისე სამართალდამცავ ორგანოებში. კორუფციამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია თავად რაიონისა და რეგიონის მაღალი თანამდებობის პირების საქმიანობაში. ადამიანის უფლებების დარღვევის, დემოკრატიული ღირებულებების ფეხქვეშ გათელვის, სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების იგნორირების ხარჯზე, რეგიონისა და რაიონის ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები, ადგილზე მოქმედ მათთვის მისაღებ ფინანსურ კლანებთან ერთად, აქტიურად არღვევენ რაიონის ე.წ. უუფლებო მოსახლეობის უფლებებს.

ახალმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ ადვილად გამოიხატა საერთო ენა მათთვის მისაღებ ფინანსურ კლანებთან, მათთან ე.წ. წილში ჩაჯდომით მწვანე შუქი აუთო ასეთ კლანებს იმის ნაცვლად, რომ ურჩი მენარმეების მიმართ რეპრესიული სისხლისა და ადმინისტრაციული კანონმდებლობის გამოყენებით მოეხდინა ასეთების საზოგადოებიდან იზოლაცია, რაც ხშირ შემთხვევაში გამოიხატება მათ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემაში. არსებული საგადასახადო კანონმდებლობისა და შერჩევითი მართლმსაჯულების გამოყენებით ბიზნესი ფაქტობრივად მთლიანად კრიმინალიზებულია, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკას დაუმორჩილებელი ბიზნესმენი — თავისუფლებაშეზღუდული.

მეორეს მხრივ, უნდა ითქვას, რომ რეგიონის ბევრი უჩინო პიროვნება იმდენად დიდი გავლენით სარგებლობს ადგილობრივ ხელისუფლებაზე, რომ ფაქტობრივად ადგილობრივი ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოები ასეთი პირების ინტერესების გამტარებლები არიან. გვაქვს რეალური შედეგი, როდესაც რეგიონის მოსახლეობის დაახლოებით 1%-ის ინტერესები თავსმოხვეულია მთელი საზოგადოებისთვის, ხოლო საზოგადოების პროტესტის გამოხატვის ფორმები ასევე მიჩუმათებულია ადგილზე მოქმედი ხელისუფლებისა და კლანების ერთობლივი მცდელობის შედეგად. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა — გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვამ, სიცოცხლის უფლების აშკარა ხელყოფამ, სამართლიანი სასამართლოს არარსებობამ, გამოძიების ორგანოებში გაბატონებულმა დაუსჯელობის სინდრომმა, მათ მიერ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სტანდარტების, საპროცესო მოთხოვნების ხშირმა დარღვევამ მოსახლეობაში გააჩინა უსამართლობის შიში, რამაც საბოლოო ჯამში საზოგადოება ინდიფერენტული გახადა ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესების მიმართ. რეალურად სახეზეა ხელისუფლებისა და საზოგადოების გაუცხოება. ჩვენი საზოგადოება ცდილობს, გაემიჯნოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს და მიიჩნიოს, რომ ეს მას არ ეხება, რაც უხარისხო მმართველობის სახით გვიბრუნდება უკან.

არჩევნების გზით მოსული თანამდებობის პირის საქმიანობის შეფასებისთვის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია ამომრჩევლებთან შეხვედრების მოწყობა და განეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა. საინტერესოა, რომელ ამომრჩეველს უნდა შეხვდეს სხვადასხვა რაიონისა თუ ქალაქის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი და რამდენ ხანს გაგრძელდება მოვალეობების დროებით შესრულება.

ახლოვდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და თუ დროულად არ გადაიდგა არსებითი ნაბიჯები არჩევნების სათანადო, დემოკრატიულ პრინციპებზე ჩატარებისთვის, თუ ადგილებზე არ წარმოჩინდა შესაბამისი ღირსების მქონე კადრები, არსებობს დიდი შანსი, რომ საზოგადოებამ კვლავ აირჩიოს ერთი, რეალურად კი რაიონები მართონ მეორეებმა.

საყოველთაოდ ცნობილი და მნიშვნელოვანი მოვლენაა, როდესაც მინას გამოუჩნდა მესაკუთრე და გლეხებმა საკუთრებაში მიიღეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გარკვეული ფართობი, დაახლოებით ერთი ჰა-ს ფარგლებში. ეს, ყველა ექსპერტის შეფასებით, უდავოდ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად ითვლებოდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში. დღეს რეგიონში გლეხი დარჩა შესაძლებლობის გარეშე, დაამუშავოს მის საკუთრებაში არსებული მიწა. სანავის ფასის არნახულმა მომატებამ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დამუშავებისთვის შესაბამისი ტექნიკის არარსებობამ, რეგიონის მოსახლეობის მწვავე სოციალურმა პრობლემებმა ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა ადგილზე მოქმედ კლანებსა და ასევე დედაქალაქიდან დაინტერესებულ ფინანსურ ჯგუფებს, ჩალის ფასად ხელში ჩაიგდონ კახეთისა და მთელი ქვეყნის

ძირითადი სიმდიდრე — მიწები, რაც ხდება არა მარტო დღეს ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებთან მიმართებაში. უკიდურესი გაჭირვების გამო, მოსახლეობა თავის საკუთრებაში არსებულ მიწებს მიზერულ ფასად ყიდის, ვინაიდან რეგიონში გამიზნულად შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გლეხებს აქეთკენ უბიძგებს.

შესაბამისად, ადგილობრივ ახალგაზრდებს არ აქვთ სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისა და სამსახურის შოვნის არანაირი პერსპექტივა და სამუშაოს ეძებენ საქართველოს ფარგლებს გარეთ. უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდების დასაქმება ძირითადად ხდება პოლიტიკური და კლანური ნიშნით. დაუსაქმებლობა ახალგაზრდებში იწვევს მიდრეკილებას ნარკომანიის, ალკოჰოლიზმის, კრიმინალის მიმართ.

პოლიტიკურად უნივერსიტეტები, სკოლები და სხვა დაწესებულებები. არსებობს სტერეოტიპი — ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია. ეს აჩენს შიშის სინდრომს ახალგაზრდებში, ასუსტებს ბრძოლისუნარიანობას და მათ არ შესწევთ ძალა, ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოსატონ თავიანთი პოზიცია.

დასასრულ, თუ ჩვენ ვერ შევძელით ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების წარმართვა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვის ფარგლებში, ვერ მივიღებთ სასურველ შედეგებს.

კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი

კობა ბოჭორიშვილი

თავისუფალი ბიზნესის სამართლებრივი პრობლემები

სახელმწიფოს სუვერენიტეტის ძირითადი განმსაზღვრელი თავისუფალი ბიზნესია.

რეკეტი — ასეთი კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს სახელმწიფოსა და ბიზნეს-სექტორის ურთიერთობას დღეს საქართველოში.

პრაქტიკამ და შემოსულმა საქმეებმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო, რომლის მიზანი უნდა იყოს ბიზნესის, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილის განვითარება, ხელს უშლის და პირდაპირ და არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენს ბიზნეს-გარემოს განვითარებაზე.

ხელისუფლების უპირატესი მოვალეობაა, ხელი შეუწყოს თავისუფალი ბიზნესის ჩამოყალიბებას, ლიბერალური საგადასახადო სისტემის შექმნას, უზრუნველყოს ბიზნესის კეთების კონკრეტული და უპირატესი პირობები მეზობელ ქვეყნებთან მიმართებაში.

ქვეყანაში არ არსებობს თავისუფალი და დამოუკიდებელი ბიზნეს-გარემო. ნებისმიერი წარმატებული საქმე სახელმწიფო მოხელეთა ინტერესის სფერო ხდება, სახელმწიფო მაღალჩინოსნები პირდაპირ წილში შედიან ბიზნესმენებთან იმ მოტივით, რომ ისინი უზრუნველყოფენ მათი საქმიანობის ხელშეუხებლობასა და დაცულობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიზნესი ხდება საგადასახადო და მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან სისტემატური დარტყმის ობიექტი, რასაც ხშირად მოჰყვა კიდევ კონკრეტულ ბიზნესმენტა დაპატიმრება.

პარლამენტის წევრთა და სახელმწიფო მოხელეთა ბიზნეს-საქმიანობა ხომ არაერთხელ გამხდარა საზოგადოების ყურადღების ობიექტი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ხელისუფალთა მზარდ ინტერესს აღნიშნული სექტორის მიმართ

და ხელს უშლის ბიზნესის სწორად წარმართვას, კანონიერად საქმის კეთების კულტურის ჩამოყალიბებას.

თანამედროვე საკანონმდებლო ბაზა, საგადასახადო კოდექსი, კანონი ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ არათანაბარ პირობებში აყენებს მწარმეებს და თითქმის მთლიანად გააკოტრა ის საწარმოები, რომლებიც მოიპოვებდა, გადაამუშავებდა, აწარმოებდა და ქმნიდა ეროვნულ პროდუქციას. სახელმწიფო ბიუჯეტი დღეს ივსება არა ბიზნესიდან მიღებული ეკონომიკური შემოსავლებით, არამედ ბიზნესის მიზანმიმართული კრიმინალური რეკეტივით.

აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე, მთლიანად განადგურდა რეგიონებსა და ქვეყანაში არსებული საწარმოო პოტენციალი.

ფასების ზრდისა და საქართველოში ცხოვრების გაუარესების მთავარი ფაქტორი არის ის, რომ სახელმწიფოს აქვს მაღალი გადასახადები ბიზნესის მიმართ, რომლებიც ოფიციალური გადასახადის სახით არის გათვალისწინებული.

გარდა ამისა, ბიზნესი ჩართულია სამთავრობო და არასამთავრობო პროგრამებში, რომლებიც მან უნდა შეასრულოს. ეს არის უფასო სასაბუღალტრო, საფეხბურთო ფან-კლუბების ჩამოყალიბება, პატრიოტთა ბანაკების მატერიალური უზრუნველყოფა და სხვა, რაც იძულებულს ხდის ბიზნესს, ამ ყველაფრის გამო გაზარდოს ფასები იმ პროდუქციასა და მომსახურებაზე, რასაც აწარმოებს. ეს არის ბუნებრივი და თანმიმდევრული პროცესი, რათა ბიზნესმა შეინარჩუნოს მოგების ის ნორმა, რომელიც მის ფუნქციობას უზრუნველყოფს, რაც თვითგადარჩენის ერთადერთი საშუალებაა. აღნიშნული კი, ბუნებრივია, ასახვას პოულობს ფასების ზრდაში, რაც აუარესებს ცხოვრების პირობებს და გაზრდილი ვალდებულების გადამხდელი თითოეული ჩვენგანი ხდება.

ქვეყანაში არ არსებობს თავისუფალი ბიზნესი, რომელიც, თავისი შეხედულებიდან გამომდინარე, გაატარებს წმინდა ბიზნეს-ინტერესებს, ის სახელმწიფო კონიუნქტურაში ზის, რაც აუცილებლად მიგვიყვანს კატასტროფამდე.

არსებული პრობლემა კი ხელს უწყობს მიმდინარე მიგრაციული პროცესების კიდევ უფრო გააქტიურებას და საქართველოდან მოსახლეობის საუკეთესო პოტენციალის გადინებას უცხოეთში.

არათანაბარ პირობებში ჩაყენებული ბიზნესი ვერ ქმნის კონკურენტუნარიან პროდუქციას, რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და აღმავლობას შეუწყობდა ხელს.

ვფიქრობ, არსებული სიტუაციის გამოსწორება მნიშვნელოვნად წაადგება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, კრიმინოგენური სიტუაციის გაუმჯობესებას, მზარდი მიგრაციული პროცესების შეჩერებასა და დასაქმების გაზრდას.

თითოეული ჩვენგანის მხარდაჭერა იმ პოზიციის მიმართ, რომ ბიზნესს საგადასახადო ტვირთი შეუშუბუქდეს, მოხდეს საგადასახადო და სამეწარმეო კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, სუბსიდირება გაეწიოს ადგილობრივ ბიზნესს, ხელი შეეწყოს რეგიონებში წარმოების განვითარებას, რითაც დასაქმდება ქვეყანაში დარჩენილი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, დადებით ზეგავლენას იქონიებს აღნიშნული პრობლემების მოგვარებასა და საქართველოს ეკონომიკურ აღმავლობაზე.

არასამთავრობო სექტორისა და ბიზნესის მჭიდრო ურთიერთობა საშუალებას მოგვცემს, გავააქტიუროთ ჩვენი საქმიანობა ბიზნესის მართვით, რაც მზარდი საკანონმდებლო და სახელისუფლებო ბერკეტების პირობებში საშუალებას მოგვცემს, მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი ბიზნესში არსებული პრობლემების გადაჭრას.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი

გიორგი ხუციშვილი

აფხაზეთი — მესამე გზა

მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა, ქვეყნის თანამედროვე ტიპის ცივილიზებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, ყველაზე ხელშემწყობი და კეთილგანწყობილი ხელისუფლების პირობებშიც კი არ ხდება თავისთავად და უმტკივნეულოდ. ეს მუდმივი ბრძოლის ველია, სადაც დემოკრატიამ უნდა სძლიოს ბიუროკრაციას, საზოგადოებაშიც და ხელისუფლებაშიც დამკვიდრდეს სამართლებრივი და ჰუმანური მსოფლმხედველობა და ქცევა. სამწუხაროდ, დრეს ამ ჭეშმარიტების გაცნობიერებამ განსაკუთრებით მტკივნეული ფორმები მიიღო ზოგიერთ და, მათ შორის, ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ, არსებულ გაყინულ ეთნოკონფლიქტებთან მიმართებაში. აქ ნათლად ჩანს ტოტალიტარული სისტემის მემკვიდრეობის გავლენა იმ ადამიანებზეც, რომელნიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბდნენ. მონინალმდეგესთან კომუნიციონების, შეფასების და თვითშეფასების უნარები, საკუთარი ნამოქმედარისთვის პასუხისმგებლობის აღება, სხვისი დანაშაულისთვის პასუხის მოთხოვნა, რისკის შეფასება და ქმედებათა შედეგების წინასწარ გათვლა, ყველაფერ ამის დეფიციტი იგრძნობა როგორც საზოგადოებასა და მას-მედიაში, ასევე ხელისუფლებაში. რატომ აღმოვჩნდით ასეთ მდგომარეობაში და სადაა გამოსავალი?

აფხაზეთის და სამაჩაბლოს კონფლიქტების მოუგვარებლობის შეფასებისას, გარკვეული ფაქტორების ზეგავლენით, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, საერთაშორისო წრეებში გავრცელდა ქართული მხარის უნიციტივიზობის, არასანდოობისა და უნიათობის სურათი, რომელიც უკავშირდებოდა არა იმდენად შევარდნაძის ხელისუფლებას, რომელიც ახერხებდა ამგვარი ბრალდებების აცხადებას, როგორც ქართული საზოგადოების პოსტ-ტოტალიტარულ მენტალიტეტს, ქვეყნის თავისებურებებს, და, ასევე, ქართველთა ხასიათს. იმაში, რომ საზღვარგარეთ საქართველოს უნიათო და მათხოვარი ქვეყნის რეპუტაცია დაუმკვიდრდა, ლომის წილი ექს-პრეზიდენტ შევარდნაძეს და მის გარემოცვას ეკუთვნის: მის მიერ არჩეულ მინიმალური რისკის და კრიმინალურ ძალთა დაბალანსების და დაკმაყოფილების პოლიტიკას სჭირდებოდა ქართველ ხალხში არასრულყოფილების კომპლექსის გაღვივება, რათა ყველას იმის შეშინებოდა, თუ რა ეშველებოდა ამ ქვეყანას შევარდნაძის ბრძნული მართვის გარეშე. ბუნებრივია, ამან თავისი დამანგრეველი შედეგი იქონია საქართველოს და გარე სამყაროს ურთიერთობის ჩამოყალიბებაში.

ამავე დროს, აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის შესახებ იმავე საერთაშორისო წრეების მხრიდან, მიუხედავად პოლიტიკურ დონეზე გაკეთებული მკაცრი განცხადებების და დიალოგისკენ ორივე მხარის ტრადიციად ქცეული მონოდებებისა, ჩამოყალიბდა გაცილებით უფრო რბილი და ჰუმანიზირებული სურათი: მცირერიცხოვანი გაჭირვებული ხალხი, რომელიც არავის თავს არ ესხმის, მეზობელ საქართველოში არასტაბილური ვითარებით და დევნილთა მასობრივი დაბრუნების შედეგად შურისძიების საფრთხით შეშინებული და თავისი ეთნოფონდის გადარჩენით შეწუხებული. გარდა ამისა, ბოლო წლების განმავლობაში პრო-

ცესების გარკვეული მიმართულებით წარმართვის შედეგად, ჩიხი მიზანმიმართულად ღრმავდებოდა, იზრდებოდა ბზარი და გაუცხოება გახლეჩილი საზოგადოების ნაწილებს შორის, და რა თქმა უნდა, მტრის ხატის ინტენსივობა.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, საყოველთაოდ აღიარებული შეფასებით, მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილური განვითარებისთვის ერთ-ერთ უდიდეს საფრთხეს წარმოადგენენ. ამიტომაც, მათი მოგვარება ანუ სამშვიდობო პროცესებისთვის ხელშეწყობა, საერთაშორისო დონეზე ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტულ და რთულ ამოცანად ითვლება. ამავ დროს, უმრავლესობა მსოფლიოში არსებული ეთნო-პოლიტიკური დისპუტებისა ათწლეულების განმავლობაში გადაუჭრელი რჩება, ხოლო თუ გვარდება, როგორც წესი, სეცესირებული ნაწილის ლეგიტიმიზაციის ხარჯზე (ისტ ტიმორი, ერიტრეა, ყოფილი იუგოსლავიის ნაწილები და სხვ.). პრაქტიკულად, ერთადერთი საპირისპირო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს სუეცის ქეისი ეგვიფტში. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მაგალითს უახლეს ისტორიაში პრაქტიკულად ვერ ვპოულობთ. რატომ? უპირველეს ყოვლისა, უნდა მკვეთრად გავმიჯნოთ ორი სურათი: პირველი - ინფორმაციული, რომელიც განკუთვნილია მასობრივ მომხმარებელზე. ეს სურათია ყველა იმ ძალისხმევისა და ქმედებისა, რომელიც ხორციელდება კონფლიქტის ზონაში, როგორცაა ოფიციალური მოლაპარაკებები, ჰუმანიტარული პროგრამები, სამშვიდობო ინიციატივები, შეხვედრები, დისპუტები, ეკონომიკური პროექტები და სხვ., ე.ი. მრავალარხიანი დიპლომატიის მთელი სპექტრი. ხოლო მეორე და სრულიად სხვაგვარია რეალური პოლიტიკის სურათი - დაუნდობელი, დაუკავშირებელი რაიმე ღირებულებებთან, გარდა მატერიალურისა - თამაში წესების გარეშე. ნებისმიერი კონფლიქტის ზონის გარშემო ყალიბდებიან იმ ძალთა გავლენის ჯგუფები, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ან კონფლიქტის მოგვარებაში, ან კონფლიქტის მოუგვარებლობაში. ის ფაქტი, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტი მოუგვარებელია, გვაფიქრებინებს, რომ რეალური გავლენა იმ ძალებისა, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი კონფლიქტის მოგვარებაში, კონფლიქტის მოგვარებაში დაინტერესებულ ძალთა გავლენასთან შედარებით აშკარად ჭარბობს.

ქართულმა მხარემ დღემდე ვერ შეძლო სამართლებრივი გზით იმ ბერკეტის გამოყენება, რომელიც აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ ჩატარებულ ეთნონომენდაში და დევნილთა მშობლიურ მიწაზე არდაბრუნებაში მდგომარეობს. საერთაშორისო თანამეგობრობა დუმს იმის თაობაზე, რომ რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალები თავისი საერთაშორისო მანდატის საპირისპირო როლს ასრულებენ კონფლიქტის ზონაში. ჩვენს ქვეყანაში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტების არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში კონფლიქტის წარმოშობასა და გაღვივებაში რუსეთის როლს გამოყოფილი და განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული. ამის შედეგად არა მხოლოდ მთელ რიგ საკითხებზე საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი იყო მიჩქმალული, არამედ კონფლიქტის ესკალაციაზე და შემდგომ გაყინვაზე უფრო ფართო კონტექსტის გავლენა ყურადღების მიღმა რჩებოდა, რაც, თავის მხრივ, რუსეთის როლის ჩარჩოების დადგენასაც უშლიდა ხელს. კერძოდ, აფხაზეთის ომის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებული ვითარება ხელსაყრელია მთელი რიგი ადგილობრივი, რეგიონული და გლობალური დონის აქტორებისთვის (დავარქვათ მათ ერთობლიობას, პირობითად, ვირტუალური კონსორციუმი). ამ ერთობლიობაში გამოიკვეთება მეტნაკლებად კოორდინირებულად მოქმედი ჯგუფები. ეს არც გლობალური შეთქმულებაა და არც სპეცსამსახურების დონეზე შემუშავებული და ერთი ცენტრი-

დან მართული ოპერატიული გეგმა, არამედ კუმულატიური ეფექტი მრავალგვარი ჯგუფების ინტერესის თანხვედრისა და ამ გარემოების გაცნობიერების შედეგად თანხვედრი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებისა. სოხუმის რეჟიმის კონსოლიდირებული და ურყევი პოზიცია ძლიერდება იმის შედეგად, რომ ეთანხმება გეოპოლიტიკური სტაბილურობის გარკვეულ სქემაში რეგიონისთვის და ჩვენი ქვეყნისთვის მიჩენილ ადგილს.

ერთ-ერთი მიზეზი მდგომარეობს შემდეგში: გაყინული, გაჭიანურებული კონფლიქტი სტაბილურობის შთაბეჭდილებას (სიმულაციას) ქმნის, რასაც საერთაშორისო პოლიტიკაში ჩართული ჯგუფებისთვის გარკვეული მიმზიდველობა გააჩნია. აქაც, ისევე როგორც სხვა სფეროებში, უნივერსალურად მოქმედებს უმცირესი ქმედების პრინციპი, რომელიც შეესატყვისება პოლიტიკოსთა სავსებით გასაგებ სწრაფვას გაიადვილონ საქმე იმით, რომ მართონ უმცირესი რესურსებით, გაამართვივოს ამოცანის პირობები და რისკის მინიმუმაცია მოასდინოს. ბიუროკრატიულ სისტემაში ეს პროცესი მახინჯდება და კონფლიქტების მენეჯმენტის სფეროში ლეზულობს გაჭიანურებისათვის ხელშეწყობის ფორმას.

ყოველი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის ზონის გარშემო საერთაშორისო დონეზე სპონტანურად იქმნება გარკვეული მხარდაჭერის და ლობირების სისტემა. შემდეგ დონეს წარმოადგენს ამგვარ სისტემათა ურთიერთმხარდაჭერის და ლობირების სისტემები (მაგალითად, აფხაზური სეპარატიზმის დაცვას და ლობირებას უზრუნველყოფენ მთიანი ყარაბაღის სეპარაციის დამცველი ძალები). მიუხედავად ამისა, (ან, შეიძლება, სწორედ ამის გამო) პროექტები, რომელთაც ჩიხში მივყავართ, კვლავ ფინანსდებიან.; არც ჩავარდნილი პროექტების წარუმატებლობის მიზეზები ანალიზდება ისე, რომ ფართო საზოგადოებისთვის გახდეს ცნობილი და შემდგომ შეცდომებს და ხარჯებს დაუდოს ზღვარი. ამას სამშვიდობო პროცესების სტერილიზაცია შეგვიძლია ვუწოდოთ. სტერილური პროცესი, რომელსაც არანაირი ნაყოფის გამოღება არ ძალუძს, პროცესი პროცესისთვის, პროფანაციად გადაქცეული პროექტები, ფინანსების, ადამიანთა ძალისხმევის, ნერვების ხარჯვა - ინფორმაციული სურათია იმისა, რომ რაღაც კეთდება, მაგრამ, ამასთან - საბოლოო ნულოვანი რეზულტატი წინასწარ განსაზღვრულია, სამშვიდობო პროცესი კი - განწირული. ამ მოჯადოებული წრის გარღვევას სჭირდება სულ სხვა დონის პოლიტიკური ნება, რომელიც, ყველას იმედი გვქონდა, რომ ვარდების რევოლუციის შემდგომ თვეებში დავინახეთ. ხოლო რაც ამის შემდგომ - 2004 წლის ზაფხულიდან დღემდე - ხდებოდა, შეიძლება დავახასიათოთ როგორც რეალური პოლიტიკის პი-არ პოლიტიკისთვის შენირვა და კონფლიქტების გაყინვის სისტემისადმი ადაპტირება.

საქართველოს ახალი ხელისუფლება აუცილებლობით ექცევა ურთიერთდაპირისპირებულ ძალთა გავლენის ქვეშ - ერთის მხრივ, ხალხი სამართლიანად მოითხოვს ამ საკითხის გადაჭრას, რეალური ნაბიჯების გადადგმას. ლიდერებს ესმით, ხალხმა უნდა დაინახოს, რომ ამ მიმართულებით რაღაც კეთდება. მაგრამ, მეორეს მხრივ, არსებობს საშიშროება, დიდი ცდუნება, როდესაც ამოცანა რეალურად განუხორციელებელია ან რთულია შესასრულებლად, შეიქმნას ილუზია, საინფორმაციო სურათი, რომ რაღაც კეთდება. ქვეყანაში ბოლო დროს დამკვიდრებული მოვლენათა შეფასების შავ-თეთრი სურათი, განსხვავებული აზრის მიუღებლობა დაღს ასვამს აგრეთვე ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტებისადმი მიდგომებს, დაბალანსებული კომპრომისის დისკრეტივაციას ახდენს მოსახლეობის თვალში. მიუხედავად ამისა, რეალურად არსებობს შესაძლებელი გზა, რომელიც ინტენსიური პოლიტიკური ქმედებებით და საზოგადოების მხარდაჭერით უნდა განხორციელდეს.

პირველი გზა, რომელმაც არ მიაშროტა: მეორე მხარე კონფლიქტის ზონაში კი არ უნდა ვეძიოთ (იქ ჩვენი საკადრისი მოსაუბრე არავინაა; აბა, კრიმინალებს რაზე ველაპარაკოთ, მათი ბოიკოტირება უნდა მოვახდინოთ), არამედ რუსეთში - ხომ სწორედ მასთან გვაქვს კონფლიქტი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის თაობაზე. ზოგადად ვილაპარაკოთ, რომ დიალოგის მომხრენი ვართ, და ამავე დროს ღიად განვაცხადოთ, რომ არ ვაპირებთ რაიმე დავუთმოთ, ხისტი და მკაცრი პოზიცია შევინარჩუნოთ, ვილაპარაკოთ ულტიმატუმების ენით, ყველას მოუწოდოთ, არ ითანამშრომლონ სეპარატისტებთან და მათ მფარველებთან, ჩავიკეტოთ შეურიგებელ პოზიციაში; არანაირი პასუხისმგებლობა არ ავიღოთ იმაზე, რაც მოხდა.

ქვეყნის შიგნით ასეთი პოზიცია და პოლიტიკა აღვივებს იმის შეგრძნებას, რომ აფხაზეთი მაინც დაკარგულია, ხელისუფლებას კი სახის შენარჩუნება სჭირდება, ამოტომაც ირჩევს ჩიხური სიტუაციის გენერირებას, საბოლოოდ ხომ მაინც რუსეთს დაბრალდება ყველაფერი. შანსი კი იმაშია, რომ ხალხის თვალში მაინც კაი ბიჭებად გამოჩნდებიან.

ქვეყნის გარეთ, ასეთ შემთხვევაში ძლიერდება ქართული მხარისადმი უნდობლობის ფაქტორი. მოლაპარაკების ჩიხში შეყვანა, საომარი მოქმედებების განახლების საფრთხის გაძლიერება, პრობლემის მოგვარების შანსის მკვეთრი დაქვეითება ჩვენი სტრატეგიული პარტნიორებისგან მხარდაჭერას ნაკლებად სავარაუდოდ ხდის.

მეორე გზა, რომელმაც ასევე არ გაამართლა: ლავირებისა და ყველას დაკმაყოფილების პოლიტიკის გატარება. ერთის მხრივ, მოლაპარაკების დროს ცალმხრივი დათმობებისთვის მზადყოფნა, ამავე დროს არაფრის ბოლომდე მიყვანისა და პოზიციის არდაკავების შედეგად გაურკვეველი სიტუაციის გაჩინება. მოვიფიქროთ ყველაზე ხელსაყრელი პირობები, რაზეც სეპარატისტები უნდა წამოეგონ, იქნებ ამით აფხაზები მოვხიბლოთ. საგარეოდ, საერთაშორისო სტრუქტურების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად და საშინაოდ, რადიკალების კრიტიკის ასაცილებლად რთულ თამაშებში ჩაბმა და, ქვეყნის საზიანოდ, ორმაგი სტანდარტების დამკვიდრება.

უკიდურესი პოზიცია იქნებოდა ის, რომ მთელი პასუხისმგებლობა მომხდარისთვის ჩვენ თავზე ავიღოთ, დევნილთა დაბრუნების მოთხოვნა მოვხსნათ, და აფხაზებს დავუხმაროთ სახელმწიფოებრივ მშენებლობაში ისე, რომ არანაირი წინაპირობები არ წავუყენოთ. ძნელი არაა იმის დანახვა, რომ არც ეს იქნებოდა გამოსავალი.

საყურადღებოა, რომ ორივე შემთხვევაში შედეგად ვღებულობთ კონფლიქტის გაყინვას. სამწუხაროდ, ეს ორი გზა აქამდე იხილებოდა როგორც ერთადერთი შესაძლო ალტერნატივა (და ეს ქმნიდა ჩიხის სინდრომს), მაშინ, როდესაც რეალურად კიდევ ერთი ალტერნატივა არსებობს.

მესამე გზა, რომელმაც უნდა გაამართლოს. ქვეყნის შიგნით, საჯარო განხილვის შედეგად უნდა მოხდეს კონფლიქტის მიზეზების და შედეგების ობიექტური შეფასება. კონფლიქტისათვის გარე მესამე ძალისთვის მთლიანი პასუხისმგებლობის დაკისრების მაგივრად, მოხდეს მომხდარის რეალური და ობიექტური სურათის დადგენა, ძირითად აქტორთა როლისა და პასუხისმგებლობის ჩვენებით. სითყვიით და საქმით, მოხდეს სამშვიდობო და არაძალადობრივი კურსისადმი ერთგულების დემონსტრირება.

ქვეყნის გარეთ, მოვასდინოთ საერთაშორისო თანამეგობრობის მობილიზება იმ კუთხით, რომ რასაც აცხადებენ (რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ურღვევია), ის პრაქტიკულად განახორციელონ. საერთაშორისო დონეზე რეალურად დადგეს აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე დევნილთა დაბრუნებისა და 1993-94 წლებში დადებულ ხელშეკრულებებში დადგენილი მოლაპარაკებათა ფორმატის გადასინჯვის საკითხი. კონფლიქტური ზონის ფართო მასშტაბიანი რეაბილიტაცია მოხდეს ის პირობით, რომ ეს კონფლიქტში ჩაბმულ მხარეთა დაახლოვებას და შერიგებას შეუწყობს ხელს (ეს პირობა დღემდე არ სრულდება). აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს შევთავაზოთ, ჩვენი შეფასებით, ნორმალური და სამართლიანი სტატუსი; ამავე დროს, ნუ განვიხილავთ სტატუსის საკითხს მოლაპარაკებათა საწყის ეტაპებზე, ამავე დროს, მოვისმინოთ მათგან მომდინარე წინადადებები. არ ვიკეკლუცოთ და არ ვეცადოთ მოვაჩვენოთ თავი იმად, რაც არ ვართ. ავიღოთ ჩვენ თავზე ჩვენი წილი რეალური პასუხისმგებლობისა. პარალელურად განვითარდეს პოლიტიკური (დიპლომატიის პირველი არხი) და საზოგადოებრივი (დიპლომატიის მეორე არხი) დიალოგი. საშუალება მივცეთ ბიზნესს, დევნილთა ორგანიზაციებს და დიასპორებს აქტიური როლი ითამაშონ კონფლიქტის მოგვარების ყველა ეტაპზე და ყველა დონეზე. ამავე დროს, ვეცადოთ, საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ნორმალიზება მოვახდინოთ. ყველაფერ ამის შედეგად, უნდა შეიქმნას ჯანსაღი გარემო და ხელსაყრელი წინაპირობები, რათა კონფლიქტები მშვიდობიანად მოგვარდეს. ხოლო გადამწყვეტი პირობა იქნება იმ საქმარისად ძლიერი სტიმულის ამოქმედება, რომელიც კონფლიქტის გადაწყვეტის სასარგებლოდ კრიტიკულ მასას შექმნის (მაგალითად, დიდი ინვესტიცია ან სხვ.). რა თქმა უნდა, მოვლენები შეიძლება არასასურველი სცენარით წარიმართოს და გეგმაც ჩაიშალოს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ქვეყნისაგან მოითხოვება პასუხისმგებელი და თანმიმდევრული პოლიტიკა.

დასკვნები:

არც ერთ შემთხვევაში აფხაზეთის პრობლემა არ გადაწყდება უახლოეს წლებში: ეს ხანგრძლივი დროის პერსპექტივაა და საერთოდ, განხორციელების შანსი აქვს მხოლოდ საქართველოს მხრიდან თანმიმდევრული, სტრატეგიულად გათვლილი და დაბალანსებული პოლიტიკური კურსის გატარების შემთხვევაში. ხელსაყრელ პოლიტიკურ პირობებში, ცხინვალის რეგიონის პრობლემა მოგვარების უფრო მეტი შანსი აქვს ახლო მომავალში. მაგრამ თუ კიდევ დრო დავკარგეთ, პრობლემას საერთოდ არ ექნება გადაწყვეტის შანსი. იმისათვის, რომ ახლო მომავალში პროგრესს მივაღწიოთ, ხოლო ცოტა უფრო დაცილებულ პერიოდში პრობლემა სამართლიანად მოგვარდეს, დღესვე უნდა დაიწყოს ის პროცესები, რაზედაც მოხსენების ბოლოს გვქონდა საუბარი. მადლობთ ყურადღებისათვის.

ჟურნალისტთა საერთაშორისო კავშირი ობიექტივი

ირმა ინაშვილი

ჟურნალისტთა კავშირი ობიექტივი 200-ზე მეტ ჟურნალისტს აერთიანებს. დაარსებიდან დღემდე კავშირის მთავარი პრიორიტეტი იყო თავისუფალი სიტყვის და შესაბამისად, ჟურნალისტთა უფლებების დაცვა. მოგხსენებათ, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ, პირველ რიგში, თავისუფალ სიტყვას „დაარტყა“. დაიხურა არაერთი გაზეთი და ტელეარხი. სამსახურიდან გაათავისუფლეს ათობით ჟურნალისტი. მათი შემცირება მოხდა პოლიტიკური ნიშნით. ქუჩაში დარჩენილი ჟურნალისტების დიდი ნაწილი უსახსროდ დარჩა, ნაწილი კომპრომისზე წავიდა და თანამშრომლობა დაიწყო ახალი ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტელეარხებთან. ეს „თანამშრომლობა“ გულისხმობს ხელისუფლების მხრიდან წამოსული დირექტივების უპირობო აღსრულებას. დღევანდელი ტელევიზორცე თავისი პათოსითა და შინაარსით ძალიან ჰგავს საბჭოთა დროის ტელევიზიას, რადგან პრაქტიკულად პროპაგანდის საბჭოური მეთოდითაა გამოყენებული. აქცენტი კეთდება არა პრობლემების ანალიზზე, არამედ შენების მაგალითებზე. ამ პროპაგანდით მოსახლეობა ფაქტობრივად ზომბირებულია; მეორე, - მინდა ყურადღება გავამახვილო შიშის ფაქტორზე, რომელსაც ხელისუფლება საზოგადოებაში ნერგავს. სატელეფონო მოსმენების, ფარული გადაღებების, უკანონო დაპატიმრებების ფაქტებმა შიში დაწერა თვით ყველაზე აპოლიტიკურ ფენებშიც კი. მაშინ, როდესაც მხოლოდ „ობიექტივის“ გადაცემები აშუქებდა პოლიტპატიმრების თემას, საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები თავს არიდებდნენ ჩვენს მედიაპროექტში მონაწილეობას. რა თქმა უნდა, ამისი მიზეზი იყო შიში. თავისუფალმა ჟურნალისტიკამ კი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას ამ შიშის განეიტრალებისა და დაძლევის საქმეში;

საგანგაშოა ის ფაქტი, რომ მმართველი პარტიის ლიდერები „მოდვრავენ“ ჟურნალისტებს. მაგალითად, გიგა ბოკერიას ცნობილი მუქარის შემდეგ, ირაკლი იმნაიშვილმა დატოვა ტელეკომპანია „მზე“. დიდი ზენოლა იყო და არის პრესის ჟურნალისტებზე. „რუსთავი-2“-ის ცნობილმა „სახეებმაც“ დატოვეს მშობლიური ტელევიზია. ცხადია, რომ ხელისუფლებისათვის ელექტრონული მედია საშიშ ძალად რჩება, ამიტომ მიდის სერიოზული ბრძოლა ამ სფეროს გასაკონტროლებლად.

კიდევ ერთი ფაქტორი — პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებებმა უკვე ტენდენციის სახე მიიღო. საინტერესო ფაქტი, რომ ხელისუფლებას აღარ სჭირდება სამართლებრივი საფუძველი ამა თუ იმ პირის დასაკავებლად. ჯაშუშობასა და აგენტობაში, შესაძლოა, დაადანაშაულონ ყველა ის, ვინც არ ფიქრობს ისე, როგორც, მაგალითისათვის - გიგა ბოკერია ან გივი თარგამაძე. ანუ, პოლიტიკური ნიშნით პოლიტიკური მოღვაწეების, შემოქმედებითი ინტელიგენციის და ჟურნალისტების დევნა გრძელდება...

ასეთ პირობებში ჟურნალისტთა საქმიანობის გააქტიურებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

თავისუფალმა ჟურნალისტიკამ უნდა გააანალიზოს ქვეყანაში შექმნილი ვითარება, დემოკრატიის ხარისხი...

შესაბამისად, ჟურნალისტიკა უნდა იყოს დაცული. თუნდაც, მესამე სექტორის მხრიდან. რა ამოცანასაც დღეს შეძლებისდაგვარად ასრულებს ჟურნალისტთა კავშირი „ობიექტივი“.

სოციალურ მეცნიერებათა ახალგაზრდული ასოციაცია /მოდრაობა ახალგაზრდული ალტერნატივა/

ლაშა ბლიაძე

განათლების რეფორმა და თვითმართველობა უნივერსიტეტში

პრობლემა

ახალგაზრდობის პრობლემები საქართველოში ძირითადად განათლების სფეროს უკავშირდება. სწორედ განათლების ხარისხი განსაზღვრავს სტუდენტების ჩართულობის ხარისხს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე მათ დასაქმებას მას შემდეგ, რაც დაამთავრებენ უმაღლეს სასწავლებლებს.

რევოლუციის შემდგომ დაწყებული უმაღლესი განათლების რეფორმის ძირითადი არსი სწორედ სტუდენტებისთვის უკეთესი განათლების მიღების პირობების შექმნა იყო. ასევე, წინასაარჩევნო პერიოდში ახალი ხელისუფლების ერთ-ერთ ძირითად ღონისძიებად საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში კორუფციის აღმოფხვრა, უნივერსიტეტების ბიუჯეტის გამჭვირვალობა, მისაღები საგამოცდო სისტემის შეცვლა სახელდებოდა. ხოლო უნივერსიტეტებში სტუდენტური თვითმმართველობების ჩამოყალიბებით უნდა განხორციელებულიყო სტუდენტების ჩართულობის გაზრდა გადაწყვეტილებების მიღების ყველა დონეზე. ამ სტრუქტურის განვითარებას საქართველოს ხელისუფლებისგან ბოლონის პროცესიც ითხოვს, რომელსაც ქვეყანა 2005 წელს შეუერთდა.

დღევანდელი გადმოსახედიდან, სტუდენტური თვითმმართველობა ისევე ვითარდება და ხორციელდება, როგორც მთელი უმაღლესი განათლების რეფორმა, ანუ ის ადამიანები, ვინც ამ რეფორმის სუბიექტები არიან, სრულებით ჩამოშორებულნი არიან თავად რეფორმის პროექტის შემუშავებას და მისი განხორციელების პროცესს. რეფორმა კი კვლავაც ცენტრალიზებულად ხორციელდება განათლების სამინისტროს მიერ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მხარდაჭერით.

რეფორმის დაწყების დღიდან უარყოფილია უნივერსიტეტის ავტონომიურობის პრინციპი, რომელიც ევროპული ქვეყნების უნივერსიტეტებში შუა საუკუნეებიდან მოქმედებს.

სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების მომზადებისა და არჩევნების დებულების შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ფაკულტეტების დეკანატები და რექტორი. ეს სტუდენტური თვითმმართველობის ზოგად პრინციპებს ეწინააღმდეგება, რაც მის სრულ დამოუკიდებლობაში გამოიხატება.

რა არის ამ პრინციპების დარღვევის მიზეზი:

I. ცოდნის დონე სტუდენტებს შორის სტუდენტური თვითმმართველობისა და ზოგადად თვითმმართველობის მნიშვნელობაზე, როგორც მთელს მოსახლეობაში, დაბალია.

ჩვენი ორგანიზაცია დააკვირდა სტუდენტური თვითმმართველობის I არჩევნებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ოფიციალური მონაცემებით, არჩევნებში მონაწილეობა სტუდენტების 32%-მა მიიღო. ეს იმ ფონზე, როდესაც ჩვენმა ორგანიზაციამ ბიულეტენების გაყალბებისა და ერთი და იმავე ადამიანის მიერ რამდენჯერმე ხმის მიცემის ფაქტები დააფიქსირა.

ანუ, სტუდენტების დიდ ნაწილს არ ესმის თავად თვითმმართველობის არსი.

II. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რაც ხელს უშლის ნორმალური თვითმმართველობების ჩამოყალიბებას სახელმწიფო უნივერსიტეტებში, არის

ხელისუფლების უხეში ჩარევა უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობაში კორუფციის დამარცხების ღონისძიებით. საუბარია ხელისუფლების მხრიდან ადამიანის სოციალური და პოლიტიკური უფლებების დარღვევაზე. ასევე, სახელისუფლებო პარტია დაუფარავად უჭერს მხარს რამდენიმე სტუდენტურ ჯგუფს, რომლებიც უნივერსიტეტში განსხვავებული აზრისადმი აგრესიული დამოკიდებულებით გამოირჩევიან.

III. კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც ხელს უშლის ნებისმიერი დემოკრატიული ტენდენციის განვითარებას უნივერსიტეტში, არის მსგავსი ტრადიციების არქონა. ნებისმიერი ხელისუფლება მიმართავს იგივე მეთოდებს (მოსყიდვა, მუქარა და ა.შ) ადამიანების „გასაჩუმებლად“, რასაც თავის დროზე კომუნისტები მიმართავდნენ.

ჩემი მოსხენება ძირითადად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეხებოდა. გაცილებით რთული მდგომარეობაა ალტერნატიული აზრის გამოსატვისა და ადამიანის უფლებების დარღვევის თვალსაზრისით სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურები გაცილებით აგრესიულად და დაუფარავად მოქმედებენ სხვა უნივერსიტეტებში თბილისში და მით უმეტეს, რეგიონებში. იქ არათუ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, პროცესტის დონეზეც კი არ გამოიხატება ალტერნატიული აზრი.

ანუ ხელისუფლებამ თითქმის მიაღწია იმას, რომ ჩაეხშო საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ნაწილი, რასაც საუნივერსიტეტო საზოგადოება და აქტიური სტუდენტობა ჰქვია.

სად არის გამოსავალი:

აუცილებელია, სტუდენტობა და საერთოდ ახალგაზრდობა აქტიურად იყოს ჩართული არა მხოლოდ საკუთარი უფლებების დაცვის, არამედ ზოგადად სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან უფლებების დარღვევისა, რაც უდიდეს პრობლემას წარმოადგენს არა მარტო ამ სფეროში, პრობლემად რჩება სტუდენტების ცოდნის ამაღლება ისეთ საკითხებში, როგორცაა სამოქალაქო ჩართულობა, ადამიანის უფლებების დაცვა, თვითმმართველობის იდეა, მისი განხორციელება და ა.შ.

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიათ დადებითი როლი შეასრულონ იმ საქმეში, რასაც ახალგაზრდობის სამოქალაქო შეგნების ამაღლება ჰქვია. ეს პროცესი აუცილებლად უნდა დაიწყოს, რათა ჩვენ არ მივიდეთ ახალი ტიპის „კომკავშირი“, რომელიც ნებისმიერ ხელისუფლებას მორჩილად დაუხრის თავს და არათუ სხვის, საკუთარ უფლებებსაც ვერ დაიცავს.

ყოფილი პოლიტიკატიმრები ადამიანის უფლებებისთვის

ნანა კაკაბაძე

არასამთავრობო ორგანიზაციები პოსტრევოლუციურ საქართველოში

ბოლო წლებში საქართველოს არასამთავრობო სექტორი ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე ძლიერად და წარმატებულად პოსტსაბჭოთა სივრცეში. გარკვეულწილად, ამაში იყო სიმართლის ნაწილი, რადგანაც ყოფილი ხელისუფლება იყო ძალიან სუსტი, არ სარგებლობდა მოსახლეობის მხარდაჭერით და ამიტომ ადვილად ექვემდებარებოდა სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლას. 2003 წლის რევოლუციის გზით მოსული ხელისუფლება, როგორც საძულველი მთავრობის მოშორების წამყვანი ძალა, თავის დროზე სარგებლობდა მოქალაქეთა დიდი ნაწილის მხარდაჭერით. ბევრი უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია ზოგ შემთხვევაში პოლიტიკოსებზე მეტადაც იყო ჩართული რევოლუციის დროს ხელისუფლებისთვის ბრძოლაში. **ხელისუფლებაში რევოლუციური ძალების მოსვლის შემდეგ კი ზოგიერთი არასამთავრობო ლიდერი უშუალოდ გამარჯვებული პოლიტიკური პარტიის საარჩევნო სიასა და პარლამენტში მოხვდა, ხოლო მესამე სექტორში დარჩენილი რევოლუციონერი არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილი, უბრალოდ, ხელისუფლების დანამატად და მისი პოზიციების გაძლიერებისთვის მებრძოლად გადაიქცა.** ასეთ სიტუაციაში არასამთავრობო სექტორი მნიშვნელოვნად დასუსტდა, რადგანაც რეალურად ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლი ყველა მოქალაქე (მათ შორის მესამე სექტორის მიუკერძოებელი წარმომადგენლები) კონტრრევოლუციონერებად მონათლა სახელისუფლებო პროპაგანდამ. როდესაც ხელისუფლებამ დაინახა, რომ ადამიანის უფლებათა სფეროში გაუარესებული მძიმე მდგომარეობის დაფარვა უკვე შეუძლებელია, ბოლო ხანებში ინტენსიურად ცდილობს, ნეიტრალურობის, ობიექტურობისა და პროფესიონალიზმის იმიჯი აღუდგინოს საკუთარ სატელიტ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რათა ეს ნიშაც სწორედ მათი მომხრეების მიერ იყოს დაკავებული, ხოლო მიუკერძოებელ და ობიექტურ არასამთავრობო ორგანიზაციებს არ ჰქონდეთ მუშაობის საშუალება. ამ უკანასკნელთა საქმიანობა ხელისუფლებისაგან იზოლაცია როგორც სახელისუფლებო, ისე ფინანსური (სამთავრობო ენჯეოების გავლენის ქვეშ მყოფი ფონდების) ბერკეტების მეშვეობით. გამონაკლისის სახით მუშაობის შესაძლებლობა ეძლევათ ისეთ არასახელისუფლებო არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც არც წინა ხელისუფლების დროს წარმომადგენდნენ რამე ანგარიშგასაწევ ძალას და დღესაც მათი საქმიანობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, რის გამოც არ უქმნიან არავითარ პრობლემას ხელისუფლებას. ესეც არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ რევოლუციის შემდეგ განვლილ პერიოდში ხელისუფალთა მხრიდან გახშირდა ადამიანის უფლებების, კანონისა და სამართლიანობის ნორმების თავხედური დარღვევები, რადგანაც სრულიად მოშლილია საზოგადოების მხრიდან ხელისუფლების კონტროლის მექანიზმები. ნიშანდობლივია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შევარდნაძის მმართველობის ბოლო ხანებში გახსნილი პოლიციის განყოფილებებისა და პენიტენციური სისტემის კარები ახალი ხელისუფლების შს და იუსტიციის მინისტრებმა მყარად მიხურეს და მხოლოდ სახელისუფლებო არასამთავრობოებისთვის არის დაშვებული მათ სისტემებში ფორმალური გამჭვირვალობა. თუმცა, რასაკვირველია, ეს გასაღდა, როგორც არასამთავრობო სექტორისთვის კარის გახსნა, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემუშავებული პოლიტიკის მიხედვით, ხელისუფლება ცდილობს სწორედ საკუთარი არასამთავრობოები (გონგოები) წარმოაჩინოს მესამე სექტორის სახედ.

მიუკერძოებელი და ობიექტური არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას ართულებს ახალი კანონმდებლობა, რომელმაც ერთის მხრივ განუსაზღვრელი ძალაუფლება მიანიჭა პროკურატურას, ხოლო მეორეს მხრივ თითქმის ფორმალობამდე დაიყვანა არა მხოლოდ ადვოკატების, არამედ მოსამართლეების ფუნქციაც. ასევე ახალმა კანონმდებლობამ შესაძლებლობა მისცა პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელობას, საკუთარი შეხედულებით გადაეწყვიტა ბევრი ისეთი საკითხი, რომლებიც ადრე კანონით იყო რეგლამენტირებული. მაგალითად, პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელობა (და არა კანონი) განსაზღვრავს, რომელ სასჯელს უნდა მიიღოს დაწესებულებაში რა სახისა და რაოდენობის ამანათები შეიძლება შეიგზავნოს, ვინ შეიძლება გათავისუფლდეს ვადად — პირობით და ვის შეიძლება გაუგრძელდეს სასჯელის ვადა. ასეთ პირობებში არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებისთვის ძნელია განსაზღვრა, რამდენად სამართლიანი და კანონიერი პატიმრის მიმართ გამოყენებული სანქცია თუ შეღავათი და რამდენად არის იგი განპირობებული პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელთა პირადი შეხედულებებით.

ზემოაღნიშნული წარმომადგენს საქართველოს მესამე სექტორში მომუშავე უფლებადამცველთა ძირითად პრობლემას, რაც მათ ხელს უშლის მუშაობაში. ეს განსაკუთრებით გვეხება ჩვენ და სხვა ისეთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ვმუშაობთ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის სფეროში.

„ჯანმრთელი სამყარო“

ირინა ფუტყარაძე

„სოციალური პოლიტიკა ქვეყანაში, სიღარიბე და ჯანმრთელობა“

საქართველოში ბოლო წლებში რთული და მრავალმხრივი პოლიტიკური მოვლენები განვითარდა, რომლებიც ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს შეეხო. შეიცვალა ცხოვრების წესი, დაირღვა ათწლეულების განმავლობაში მოქმედი ურთიერთობები, ტრადიციები, რამაც ურთულესი ცვლილებები გამოიწვია საზოგადოებრივი ცნობიერების ყველა სფეროში. სიტუაცია კიდევ უფრო გამძაფრდა უფლებადაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემების ფონზე, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არა მარტო ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე, არამედ მოსახლეობის ჯანმრთელობაზეც.

საქართველოში სოციალური და ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების რთული პროცესი მიმდინარეობს. ამ ერთგვარად ექსტრემალური ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა დღის წესრიგში არ დადგებოდა, თავის დროზე ქვეყანაში პირველად დაწყებული ჯანდაცვისა და სოციალური სისტემის რეფორმა ლოგიკურ დასასრულამდე რომ მისულიყო. ამჟამად ამ სექტორში სისტემის რეფორმის ფაქტობრივად მეორე ტალღა დაიწყო, **ძველი შეცდომების გამოსწორების ნაცვლად, პროცესი, წინა წლებისგან განსხვავებით, საგრძნობლად ბუნდოვან რეჟიმში მიმდინარეობს, მთელი რიგი სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგობების მიუხედავად, რეფორმების შედეგები იმდენად ნეგატიურია, რომ დღის წესრიგში სულ მალე დადგება საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური ყოფნა-არყოფნის საკითხი.** ოფიციალური სტატისტიკაც ამას მთელი სიცხადით გვიდასტურებს, **2006 წლის 1 სექტემბრის მონაცემებით, საქართველოში 744.254 უმწეოა,** თუმცა ეს

რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა, ხელისუფლებისვე მოთხოვნით რომ არ დახურულიყო მონაცემთა ბაზა. **300 ათასზე მეტი ოჯახი უახლოვდება სიღარიბის ზღვარს. შრომისუნარიანი მოსახლეობის 60%-ზე მეტს არ გააჩნია მუდმივი სამუშაო ადგილი. ორმილიონნახევარი ადამიანი არასრულფასოვნად იკვებება, რაც ქმნის მძიმე ფონს მოსახლეობის ჯანმრთელობის თვალსაზრისით.**

დღეს, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მოსახლეობის სიჯანსაღე ყველა განზომილებით უკიდურესად მძიმეა, დღითიდღე ხდება საზოგადოების დაუძღვრება ფსიქიკური, ეკონომიკური და ფიზიკური მდგომარეობის თვალსაზრისით.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლება არა მარტო ვერ აღიქვამს, არამედ არ აქვს გათვითცნობიერებული ამ პრობლემების რეალური საშიშროება. **სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის შიდა სახელმწიფო სოციალური პოლიტიკა იმდენად არაორდინალურია, რომ მას ანალოგი არ გააჩნია არც ერთი სახელმწიფოს მართვისა და განვითარების ისტორიაში.**

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ საქართველოს „რევოლუციური მთავრობის“ პროპაგანდა დადებით როლს თამაშობს ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის მთავრობის ლოიალურ დამოკიდებულებაზე საქართველოს ხელისუფლების მიმართ.

არასამთავრობო სექტორი მწვავედ აფასებს ამ სფეროში არსებულ პრობლემებს, რის გამოც ხელისუფლება სამოქალაქო სექტორს დესტრუქციულ ოპოზიციად მიიჩნევს.

შევეცდებით, ხელმისაწვდომი გავხადოთ ინფორმაცია საქართველოში არსებული ნეგატიური სოციალური პოლიტიკის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, დიპლომატიური მისიებისა და სხვა დაინტერესებული სუბიექტებისთვის, რათა სრული და რეალური წარმოდგენა შეექმნათ იმ ვითარებაზე, რომელიც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია.

საქართველოში ბოლო წლებში აღინიშნა სიღარიბის დონის მკვეთრი ზრდა. ეს გამომწვეული იყო უმუშევრობისა და ინფლაციის დონის მკვეთრი მატებით, რაც კიდევ უფრო მკვეთრად გამოიხატა ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდგომ წლებში.

როგორც ცნობილია, სიღარიბე და ცუდი ჯანმრთელობა ერთგვარ მანკიერ წრეს კრავს, შესაბამისად, ქვეყანაში არა მარტო მოსახლეობის სიღარიბის ზრდის ტენდენციაა, არამედ კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავებისაც. სიღატაკე ასოცირდება სიცოცხლის ხანგრძლივობის უფრო დაბალ დონესთან, ახალშობილთა სიკვდილიანობის მაღალ რისკთან, თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ხშირ მოხმარებასთან, დეპრესიების, სუიციდების, ძალადობის შემთხვევების გახშირებასთან და სხვ.

სიღარიბის დონის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი უმუშევრობაა, რომელიც ქვეყანაში ბოლო ორი წლის განმავლობაში დაახლოებით 40%-ით გაიზარდა.

როგორც უმუშევრობა, ასევე სამუშაოს დაკარგვის შიში უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე, ზრდის ფსიქოლოგიური დარღვევებისა და სუიციდების (თვითმკვლელობების) რისკს.

ოფიციალური ინფორმაციით, **2005 წელს სუიციდების რიცხვი 45%-ით გაიზარდა 2004 წელთან შედარებით.**

სოციალური გარანტიების ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს მინიმალური ხელფასი. **მაგალითად, ექიმისთვის, რომელიც აკეთებს ბავშვთა ქირურგიულ ოპერაციას, ანაზღაურება შეადგენს დაახლოებით 14 დოლარს, პოლიკლინიკის ექიმების ხელფასი კი მერყეობს 20-დან 60 დოლარამდე.**

არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა პედაგოგების სახელფასო ანაზღაურების მხრივ. მათი საშუალო ხელფასი შეადგენს 35 დოლარს თვეში. ამ ფონზე არაადეკვატურია საკანონმდებლო და სახელისუფლებო სტრუქტურების ჩინოვნიკების ხელფასები, რომლებიც 350-დან 2000 დოლარამდე მერყეობს, რასაც ემატება სოლიდური საპრემიო თანხები.

ბევრია კონკრეტული მაგალითები და ფაქტები, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილისგან დაუძღვრებულა და ტერმინალურ სტადიაში იმყოფება. მათ ელემენტარულად საკვები სჭირდებათ. ხელისუფლებამ სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფთათვის ბიუჯეტიდან 30 მილიონი დოლარი გამოყო, პროექტი ითვალისწინებდა ყოველთვიურ ფულად დახმარებას, ხოლო მოსამზადებელი სამუშაოს გასაწევად 1 მილიონ დოლარზე მეტი დაიხარჯა. პროგრამა, სამწუხაროდ, ამოქმედებამდე ერთი დღით ადრე ყველასთვის მოულოდნელად გაუქმდა. უფრო მოგვიანებით მთავრობამ შეიმუშავა ახალი პროექტი, სადაც პრიორიტეტი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას მიენიჭა, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 9 მილიონ დოლარს. შესაბამისად, მატერიალური დახმარების ნაცვლად ღარიბ მოსახლეობას სამედიცინო პოლისები დაურიგდა, რომლის გამოყენება იმდენი ბიუროკრატიული ბარიერის გადალახვასთან არის დაკავშირებული, რომ საბოლოოდ პოლისები თავის ფუნქციას კარგავს. აღსანიშნავია, რომ ეს სამუშაოებიც მიმდინარეობდა არაობიექტურად და ხარვეზებით, **ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, პიროვნება, რომელიც არის ოფიციალურად ინვალიდი, არ გააჩნია სამუშაო არც მას და არც მის ოჯახის წევრებს, არ იქნა რეგისტრირებული იმ მიზეზით, რომ იგი იაფფასიან სიგარეტს ეწეოდა. ან კიდევ აფხაზეთიდან დევნილს, ასევე ინვალიდს, უმუშევარს, რომელსაც არ გააჩნია საცხოვრებელი, უარი უთხრეს დახმარებაზე იმ მოტივით, რომ დროებით ცხოვრობს ახლობლის მიერ ნათხოვარ ფართში.** ამგვარი ფაქტები უამრავია, რაც მეტყველებს მოსამზადებელი სამუშაოების არასწორად წარმართვაზე. ამ პროგრამის მონიტორინგს ახორციელებს თავად სახელმწიფო სტრუქტურა, ხოლო სამოქალაქო სექტორისთვის ნებისმიერი ინფორმაცია ხელმიუწვდომელი და გასაიდუმლოებულია. ეს პოლისები ფარატიანა ქალაქად რომ დარჩება, იქიდანაც ჩანს, რომ 744.254 ადამიანის სამედიცინო მომსახურებისთვის წლის ბოლომდე გამოყოფილია 9 მილიონი დოლარი. მაშასადამე, ერთ ადამიანზე გამოყოფილია 11-12 დოლარი. ეს თანხა კი ელემენტარული სამედიცინო მანიპულაციისთვისაც არ არის საკმარისი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მოქალაქემ რომ ჩაიტაროს მკურნალობის სრული კურსი, უნდა გაიაროს მრავალი ბიუროკრატიული ბარიერი — უბნის ექიმიდან დაწყებული, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებით დამთავრებული. დასკვნის მიღების შემდეგაც მოქალაქეებს, რომლებიც საჭიროებენ ქირურგიულ ჩარევას, ხანგრძლივი დროით შეიძლება მოუწიოთ რიგში დგომამ. ამასთან ერთად, მთელი რიგი მიკროპროექტების მოქმედება გარკვეული დროით ჩერდება გაურკვეველი მიზეზებით. მაგალითად, აგვისტოს თვეში შეჩერებული იყო შაქრიანი დიაბეტით მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა.

ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე შექმნილი ფსიქო-სოციალური სტრესი ხელს უწყობს მთელი რიგი სოციალური ფაქტორებისა და დაავადებების განვითარებას, მათ შორისაა: გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ნევროზი, თვითმკვლელობები, ფსიქიკური დაავადებები და სხვ. აღნიშნული დაავადებები ხასიათდება ზრდის ტენდენციით საქართველოში, სადაც მწვავე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები ადეკვატური სოციალური პოლიტიკის არარსებობის ფონზე მიმდინარეობს. საქართველოში ჯანმრთელობის გაუარესებას ხელი შეუწყო ისეთი ფსიქო-სოციალური სტრესული მდგო-

მარეობის განვითარებამ, რომლებიც განპირობებული იყო უმუშევრობის მოსალოდნელი მატებით, დასაქმების არასტაბილურობით, გაღატაკების მასშტაბების ზრდით, მოსახლეობის მიგრაციით და სხვ.

მსოფლიო თანამეგობრობა უდიდეს ყურადღებას უთმობს იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობას. საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად 300 ათასზე მეტი უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანი იძულებით გადაადგილდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. იძულებით ადგილნაცვალ პირთა მდგომარეობა არასასურველია. მათი დიდი ნაწილი განსახლებულია საავადმყოფოებში, სასტუმროებში, სანატორიუმებში, საერთო საცხოვრებლებში და სხვ., სადაც არ არის ხანგრძლივი ცხოვრებისთვის შესაფერისი საყოფაცხოვრებო პირობები. თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს დავუმატებთ იმას, რომ დარღვეულია ყოფა-ცხოვრების ელემენტარული ნორმები (არასაკმარისი კვება, ოჯახის სტრუქტურის დაშლა, ჩვეული სოციალური სტერეოტიპების რღვევა, უმუშევრობა და სხვ.), არ არის გამორიცხული, უახლოეს დროში ამ კონტინგენტის ფსიქოლოგიური, სომატური და სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდეს.

სამწუხაროდ, ასეთი სოციალური სტატუსის მქონე პირების მიმართ სახელმწიფო აწარმოებს არასახელმწიფოებრივ პოლიტიკას. კონკრეტულად განხორციელებული ქმედებები, რომლებიც სასტუმროებიდან დევნილთა გამოსახლებას ეხებოდა, დასაგმობია. პროცესები ადგილნაცვალ პირთა მიმართ კვლავ ამ რეჟიმში ხორციელდება და ისინი კიდევ ერთხელ აღმოჩნდნენ დევნილის სტატუსით — ხელისუფლებისგან განწირულები.

განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც, ამ მხრივ აქტუალურია შიმშილის პრობლემა, მთელი რიგი კვებითი ინგრედიენტების (ცილები, ცხიმები, მიკროელემენტები და სხვა) დეფიციტი, რაც, თავის მხრივ, მოსახლეობაში იწვევს ავითამინოზს, ანემიებს, ბავშვებში ზრდისა და განვითარების დაქვეითებასა და სხვ.

